

საქართველოს სოფლის მუნიციპალიტეტის
მაცნეობაში აკადემია

თამაზ კუნჭულია
გურაბ ბუკია

მარავების აღდგენის
აუცილებლობა
საქართველოში

თბილისი
2019

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

თამაზ კუნჭულია
ზურაბ ბუკია

მეცნიერებების აღდგენის
აუცილებლობა საქართველოში

თბილისი
2019

რედაქტორი: აკადემიკოსი გურამ ალექსიძე

რეცენზიონები: აკადემიკოსი გალერიან ცანავა
აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი
აკადემიკოსი როლანდ კოპალიანი

ISBN 978-9941-8-0604-9

UDC (უაკ) 633.72(479.22)
კ-909

რედაქტორისაგან

საქართველოში მეჩაიეობა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთი გამორჩეული, ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანილი დარგი იყო. ჩაის ფოთლის კრეფისა და გადამუშავების სფეროში დაწყებული იყო ცალკეული სამუშაოების ავტომატიზაციის პროცესები.

ჩაის პლანტაციებში მუშაობდა ქართველი კონსტრუქტორებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პერსონალის მიერ შექმნილი, მსოფლიოში პირველი, ჩაის საკრეფი მანქანის ორი მოდიფიკაცია. დარგს ემსახურებოდა ორი სამეცნიერო-კვლევითი, ერთი სასწავლო ინსტიტუტი და სპეციალიზებული ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, საკონსტრუქტორო ბიუროები, მანქანათმშენებელი და სარემონტო ქარხნები. ჩაის ფოთლის მკრეფავებს დაბალი ტარიფით უნაზღაურებდნენ უამინდობით გამოწვეულ განაცდურს.

საქართველოში ჩაის პლანტაციების სამრეწველო გაშენება დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში და 1985 წლისათვის ჩაის ნარგაობაშ შეადგინა 67,7 ათასი ჰა.

საქართველოზე მოდიოდა სსრკ-ში წარმოებული ჩაის პროდუქციის 95%. ჩაის წარმოებაში დასაქმებული იყო 180 ათასზე მეტი ადამიანი. დარგი უზარმაზარი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი იყო.

მოხდა გაუგონარი რამ. ასეთი ორგანიზებული, უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე დარგი საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დროს აღმოჩნდა სრულიად უცურადღებოდ. წარმოების თავისებურებების გამო მას დამოუკიდებლად, სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული ყურადღების გარეშე, კრიზისიდან გამოსვლა არ შეეძლო. ეს დახმარება დარგს არავინ არ გაუწია - არც სახელმწიფომ და არც ჩაის ფაბრიკების მესაკუთრეებმა, რომელთაც დიდი ენთუზიაზმით მოახდინეს მათი პრივატიზება. უფრო მეტიც, მეჩაიეობის გადარჩნისათვის შემუშავებული კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო 1996

წლის აპრილში, მიღებიდან ორი თვის შემდეგ, ისევ პარ-ლამენტმა გააუქმა, როგორც შეუსაბამო საქართველოში რეფორმების განხორციელების პოლიტიკასთან. ასე აღმოჩნდა ყველას ერთობლივი მეცადინეობით მეჩაიეობა განადგურების პირას. ამჟამად, საქართველოში შემორჩენილია 10 ათას ჰექტარამდე ჩაის გაველურებული პლანტაციები, რომელებიც, როგორც მეჩაიეობის უმეტეს ქვეყანაში, სახელმწიფომ უნდა აღადგინოს. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციასა და თანხის ამოგების დროებს შორის დიდი სხვაობის გამო (7 წელი), კერძო ბიზნესი ამით დაინტერესებული არ არის. რაც მთავარია, სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება, პლანტაციის შემოლობვის ჩათვლით, ძალიან ძვირია. იგი რეაბილიტაციის ფორმებისაგან დამოკიდებულებით, პირველ წელს 4-7 ათასი ლარის მოცულობისაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეაბილიტაციის ნებისმიერი ვარიანტის შემთხვევაში, ყველა სახის ფიზიკურ სამუშაოს (სასუქების შეტანა, ჩათოხნა, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა, პლანტაციის შემოლობვის სამუშაოები და სხვა) ასრულებს მესაკუთრე .

ჩაის პლანტაციების თხილის კულტურით მასობრივა ჩანაცვლებამ მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. პირიქით, ნარგაობის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად გაჩნდა სხვადასხვა დაავადებები და მავნებლები (აზიური ფაროსანა და სხვა), რომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად სახელმწიფომ 60 მილიონ ლარზე მეტი გამოყო და როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სოფელს დახმარება შემდგომაც დასჭირდება.

ჩაის ბუჩქს, რომელსაც 25 წელია არავითარი აგროტე-ქნიკური ღონისძიება არ ჩატარებია, არც ერთი სახის დაავადება და მავნებელი არ გასჩენია. თხილის კულტურა არც იმდენად ეროზიაგამძლეა, როგორც ჩაი და ფართობის ერთეულიდან შემოსავლითაც ჩამორჩება მას.

სპეციალისტების გაანგარიშებით, საქართველოში შესა-ძლებელია გვერდეს 20-25 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია, რაც

საშუალებას მოგვცემს არა მარტო დავაკმაყოფილოთ საკუთარი მოთხოვნა, არამედ საექსპორტოდ ვაწარმოოთ განსაკუთრებული სურნელების, ნაკლებად მწკლარტე ქართული შავი და მწვანე ბაიხის ჩაი, რომლებზეც მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება.

მეჩაიერბის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებას, რაც გულისხმობს მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებას და მაღალი შემოსავლების მიღებას. ერთ ჰექტარ პლანტაციაში შესაძლოა დავასაქმოთ 3,5-4 მეტრული დარგის აღორძინება გამოიწვევს ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე აგრონომების, საშუალო დონის სპეციალისტების რაოდენობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ჩაის პლანტაცია რეაბილიტაციის პროცესშიც კი ინკლუზიური ხასიათისაა, ხოლო აღდგენის შემდეგ შესაძლებელია 29-30 ათასი ადამიანის დასაქმება.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ უარი არ უნდა თქვას ბუნების ასეთ შემოთავაზებაზე და გადადგას ნაბიჯები დარგის ასაღორძინებლად, რაც გაზრდილი ეკონომიკური შესაძლებლობით დაუბრუნდება თითოეულ მეჩაიეს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს.

*გურამ ალექსიძე
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი*

შესავალი

გასულ 2017 წელს, ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნში - „ქართული მეჩაიეობა - უახლესი წარსული“ (გამომცემლობა-„მწიგნობარი“. -195 გვ.) შევეცადეთ აღგვეწერა (ზოგჯერ, ზედმეტად დეტალურადაც კი) ის მიზეზბი, რომლებმაც საქართველოში უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვის მქონე დარგის-ქართული მეჩაიეობის განადგურება გამოიწვია.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ დამანგრეველი პროცესები განვითარდა ყველა დარგში, განსაკუთრებით ექსპორტზე ორიენტირებული მრავალწლიანი კულტურების მომსახურე დარგებში, რომელთაგან აღსანიშნავია -მეჩაიეობა და ეთერზეთების წარმოება. ამ დარგებში წარმოებული ნებლეული გადამუშავების გარეშე ყოვლად გამოუსადეგარია.

ჩაის ფოთლის კრეფა 450-500 ათასი ტონიდან შემცირდა 2-3 ათას ტონამდე, ხოლო მზა პროდუქციის წარმოება 100-120 ათასი ტონიდან - 500-600 კილოგრამამდე. საქართველო ჩაის ექსპორტიორი ქვეყნიდან იმპორტიორად იქცა და ბოლო წლების მონაცემებით მას სტაბილურად შემოაქვს სხვადასხვა ქვეყნიდან 1700-2000 ტონა მზა პროდუქცია.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ ბოლო წლებში სრული უყურადღებობა გამოიჩინა მეჩაიეობისადმი, რაც ფაქტიურად ნიშნავდა მეჩაიეობის დარგის რაიონების მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობის იგნორირებას, მეჩაიეობის სექტორში საქართველოში დასაქმებული 180 ათასი ადამიანის, მათი ოჯახის წევრების, ქართველი გლეხობის, მუშების, სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე აგრონომების, ინჟინერ-ტექნიკოსების, კონსტრუქტორების, მეცნიერთა არმიის უმუშევრობას და მასთან დაკავშირებული უარყოფითი პროცესების განვითარებას, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სოფლიდან მიგრაციას, უმეტეს შემთხვევაში-საზღვარგარეთ. დღესაც

სეზონური მიგრაციის პროცესები აქტუალურია. ჩაის კრეფის სეზონისათვის საქართველოდან თურქეთში ჩაის ფოთლის საკრეფად თუ ჩაის ფაბრიკებში სამუშაოდ, და ბოლო დროს, თხილის საკრეფად, 12-15 ათასი ქართველი გადის და არაადამიანურ პირობებში შრომით ცდილობს თავისთვის და ოჯახის შესანახად ფულის შოვნას. ეს ხდება მაშინ, როცა ჩაის წარმოებით დასპეციალიზებული რაიონების მოსახლეობის ოჯახებში არალეგალურად დასაქმებული ჰყავდათ ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე რესპუბლიკების მოქალაქეები.

სანარმოო ძალების განვითარების მიხედვით, ზოგიერთი ევროპული ქვეყნის დონისა და სხვა ზოგიერთი დარგის მიხედვით, მსოფლიოს მონინავე ქვეყნების რიგში მდგომი, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ამ დონემდე დაცემა პირველ რიგში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არასწორად არჩეული პოლიტიკის შედეგია, ეკონომიკური მეთოდების, განსაკუთრებით ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებისა, რაც ნიშნავდა პროცესების მართვაში სახელმწიფოს როლის უკიდურესად შემცირებას - ე.ნ. „მცირე სახელმწიფოს“ პოლიტიკის გატარებას ქვეყანაში.

მეჩაიობაში განვითარებული პროცესები სწორედ ასე-თი მიდგომის შედეგია. მოსახლეობას ვერ წარმოედგინა, რომ ხელისუფლება ბედის ანაბარა მიატოვებდა ადამიანებს და მოთმინებით ელოდა მეჩაიობისადმი სახელმწიფო პოლიტიკის გამოხატვას, მაგრამ, როცა ხელისუფლებამ ჩაის სანარმოები მიჰყიდა თხილის მწარმოებელ იტალიურ კომპანია „ფეროს“, ყველაფერი გასაგები გახდა და მოთმინებით და-ღლილმა და პერსპექტივის უქონელმა მოსახლეობამ ხელი მიჰყო ჩაის ნარგავების ამოძირევას და მის ადგილზე თხილის გაშენებას.

ხელისუფლება კმაყოფილებას ვერ მაღავდა, რადგან გა-ღარიბებული მოსახლეობა მისგან თხილის გასაშენებლად არაფერს არ თხოულობდა.

ფაქტიურად ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შედეგად, ანუ როგორც იტყვიან, ბაზარს მინდო-

ბილმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩაის თხილის კულტურით ჩანაცვლებას, მაგრამ ამ პროცესებმა ვერ გამოიწვია მოსახლეობის დასაქმების გაზრდა, რადგან თხილი მთელს მსოფლიოში აღიარებულია ზარმაცების კულტურად და ვერც შემოსავლებს ზრდის მნიშვნელოვნად, ყოველ შემთხვევაში, ჩაის პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებთან შედარებით.

გარდა ამისა, მოხდა ის, რაც მრავალ ქვეყანაში მოხდა - ახალი კულტურის კონკურენციის ზრდასთან ერთად, დაავადებისა და მავნებლის, ან ორივეს ერთად გაჩენამ, პრობლემა შექმნა. ფაროსანას გამოჩენის შემდეგ ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ საბრძოლველად უკვე გამოყო 60 მილიონ ლარამდე, რაც მხოლოდ საწყის ხარჯად შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ფაროსანასთან ბრძოლის პრატიკა ადასტურებს, მისი რაოდენობის შემცირებას რამდენიმე წელი დასჭირდება.

რაც შეეხება მოსახლეობას, მას ახალი გამოწვევა წინ აქვს. მჟავე ნიადაგებზე გაშენებული თხილის პლანტაციების გადასარჩენად ნიადაგის განეიტრალების სამუშაოების ჩატარება გამორიცხული არაა მოსახლეობამ სახელმწიფოსაგან მოითხოვოს. ამ დროს ჩაის ბუჩქს, რომელსაც 25 წელია არც ერთი აგროტექნიკური ღონისძიება არ ჩატარებია, არავითარი დაავადება და მავნებელი არ გასჩენია. პასუხი კითხვაზე-რომელი ეკონომიკური პოლიტიკა სჯობია - ლიბერალური თუ სახელმწიფოს მონაწილეობით შემუშავებული, ვფიქრობთ ნათელია.

რაც მთავარია, ჩაის კულტურა იძლევა ინკლუზიურად მზარდი ეკონომიკური მოდელის დამკვიდრების საშუალებას, რაც ნიშნავს მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებას და ადამიანების მიერ შემოსავლების თვითონ გამომუშავებას ანუ სახელმწიფოს მიერ სილარიბის აღმოსაფხვრელად მიმართული სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაის კულტურა თავისი ინკლუზიურობით, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით რეაბილიტაციის პროცესშიც, ინარჩუნებს ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

თავი I

საქართველოში მეჩაიერების აღდგენის აუცილებლობის შესახებ

1.1. საქართველოში მეჩაიერების რეაბილიტაციის არგუმენტები

ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში სოფლის მეურნეობის წილობრივი მოცულობის გაზრდისათვის, მოსახლეობის დასაქმებისათვის, სასიცოცხლოდ აუცილებელია მეჩაიერების აღდგენა:

1. მეჩაიერება ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო.

თვითონ ჩაის მცენარე შენდება მისი ნაზი დუყებისათვის, რომლისაგანაც მზადდება სხვადასხვა დანიშნულებისა და ფორმის პროდუქტი და რომელსაც მოსახლეობა მრავალი დანიშნულებით იყენებს.

ჩაიში შემავალი ყველა კომპონენტი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ქმნიან ბიოლოგიურ კომპლექსს, რომელსაც ადამიანის კვების რაციონის გამდიდრებისათვის, დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის შეუცვლელი როლი აკისრია.

2. მეჩაიერებას უდიდესი დამსახურება მიუძლვის საქართველოს აყვავებაში. ჩაი ქართველი ხალხის სიამაყედ იქცა. იგი მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მემცენარეობიდან მიღებული შემოსავლის 49,3% ჩაიზე მოდიოდა, რაც საგრძნობლად მაღალი იყო ყველა დანარჩენი შრომატევადი და მაღალშემოსავლიანი კულტურებიდან მიღებული შემოსავლების ფონზე.

ჩაის კულტურა საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ფარავდა მთელი რიგი არარენტაბელური დარგების ზარალს, რომელთა განვითარება აუცილებლობით იყო გამოწვეული.

მეჩიაიეობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაღალი შემოსავლების გამო, სხვა დარგების მიმართ ლოკომოტივის როლს ასრულებდა.

3. მეჩიაიეობის დარგი უზრუნველყოფილი იყო სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო ლაბორატორიების, საკონსტრუქტორო ბიუროების, მანქანათმშენებელი და სარემონტო ქარხნების, ჩაის გადამამუშავებელი ავტომატიზებული საწარმოების ფართო ქსელით, შრომის ანაზღაურების მოწესრიგებული სისტემით. მსოფლიოში პირველად - საქართველოში შეიქმნა ჩაის საკრეფი მობილური მანქანები.

დარგში დასაქმებული იყო 180 ათასზე მეტი ადამიანი. მეჩიაიეობა ოჯახების, რაიონების, ქვეყნის ბიუჯეტის შევსების გარანტირებულ წყაროს წარმოადგენდა.

4. მეჩიაიეობა წარმოადგენდა დარგს, რომელიც წარმოების პროცესის თავისებურების გათვალისწინებით ყველაზე მეტად ასაქმებდა ადამიანებს და ინტეგრირებული წარმოების პროცესში შესაძლებელს ხდიდა ყველაზე მაღალი ანაზღაურების მიღებას.

5. საქართველოს ყველა პირობა გააჩნია ჩაის წარმოებისა და პროდუქციის ქვეყნიდან გატანის გასაზრდელად, რადგან იგი მიეკუთვნება მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი იმ ქვეყნების მცირე ჯგუფს, რომლებიც წარმოებული პროდუქციიდან ადგილზე მას მცირე რაოდენობით მოიხმარენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული ჩაი მსოფლიოში მიჩნეულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტად, რადგან ბუჩქებს, განსხვავებით ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნებისაგან, ქიმიური საშუალებებით რამდენიმეჯერ დამუშავება არ სჭირდებათ. გარდა ამისა, ჩაის ბუჩქი ღრმად განვითარებული ფესვთა სისტემის გამო, წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

6. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეჩიაიეობა არც ერთ ქვეყანაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე არ განვითარებულა, რაც ძირითადად გამოწვეულია კერძო ინ-

ვესტორების მეჩაიეობით ნაკლებად დაინტერესებით - ინვესტიციის ჩადებასა და მისი ამოგების დროს შორის დიდი სხვაობის გამო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მეჩაიეობა კაპიტალურადი დარგია და მისი რეაბილიტაცია არც ერთ ქვეყანაში, მით უფრო საქართველოში, სახელმწიფოს მხრიდან სერიოზული დაბანდებების გარეშე ვერ განხორციელდება.

7. მსოფლიო პრაქტიკამ და დრომ დაადასტურა მეჩაიეობის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რის გამოც ჩაის სახალხო კულტურასაც კი უწოდებდნენ.

8. დარგის აღდგენის აუცილებლობა განპირობებულია იმითაც, რომ საქართველო მეჩაიეობის ყველაზე ჩრდილოეთი ქვეყანაა. მიუხედავად ამისა, ქართული ჩაი გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი განსხვავებული თვისებებით, რასაც ქართველი მეცნიერები დღისა და ღამის ტემპერატურას შორის დიდი სხვაობით სხინან.

ქართული მეჩაიეობა იმითაცაა განსხვავებული, რომ კლიმატური პირობების გამო ჩაი ექვსი თვის განმავლობაში იყრიფება.

ჩაის ბუჩქები ისეა ჩამჯდარი ქართული სუბტროპიკული ფლორის სისტემაში, რომ მისი ჩანაცვლება სხვა კულტურით წარმოუგენელია.

9. ჩაის კულტურა და მისი პროდუქცია შეუცვლელია მედიცინაში. არსებობს ცნობილი კლინიკებისა და დარგის აღიარებული სპეციალისტების კლინიკური და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები, რომლითაც დასტურდება ამ კულტურის პროდუქციის დიდი როლი დავადებათა პრევენციისა და მკურნალობის პროცესში.

10. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეჩაიეობის ცნობილი საექსპერტო ფირმების შეფასებით, ჩაის ექსპორტის გაზრდის ყველაზე მეტი პერსპექტივები აქვთ ჩაის მნარმოებელ იმ ქვეყნებს, რომლებიც ადგილზე მას მცირე რაოდენობით მოიხმარენ. ასეთებია - კენია, ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნები, საქართველო. ჩვენს ქვეყანას იმავე ფირმების შეფასებით, ჩაის წარმოების ძეველი პარამეტრების შენარჩუნების პირობებში, მსოფლიო ბაზარზე შეეძლო გაეტანა 72-78 ათასი ტონა პროდუქცია.

საექსპორტო პროდუქციის გაზრდის ამ შანსის გამოყენების აუცილებლობითაც უნდა იქნას დარგი აღდგენილი.

11. სერიოზული ღონისძიებების გატარების გარეშე მეჩაიერ-ბაში საბაზრო ეკონომიკის გარემოს ფორმირება შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია ისიც ,რომ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტი ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო არასდროს ყოფილა ანუ იგი არასდროს ყოფილა ყოვლისმომცველი და მუდამ მიისწოდა მომგებიანი სეგმენტებისაკენ.

საქართველოს მეჩაიეობა დღეისათვის მთელი რიგი პარა-მეტრების მიხედვით ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობს და სპეცი-ალური ღონისძიებების გატარების გარეშე, ვერც მომავალში უპასუხებს.

როგორც რამდენიმეჯერ აღვნიშნეთ, დარგს უდიდესი სო-ციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ამ ფაქტის გამო დარგი სახელმწიფოს ყურადების გარეშე ვერ დარჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს მეჩა-იეობის რაიონებში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების საკითხი და მასთან ერთად აქ მცხოვრები მოსახლეობის დასაქ-მების, სილარიბის შემცირებისა და ეკონომიკური ზრდის ამოცა-ნები უნდა გადაწყდეს იმ გზებისა და მეთოდების გამოყენებით, რასაც ობიექტური რეალობა გვიკარნახებს.

12. დარგის აღდგენის აუცილებლობის უტყუარი მტკიცებუ-ლებაა ქართული მეჩაიეობის ძლიერი მხარეების გათვალისწინება:

-ქართული მეჩაიეობა ახლოსაა პროდუქციის გასაღების ბაზრებთან. მასზე დიდი მოთხოვნაა რუსეთში, ცენტრალური აზის ქვეყნებში, მონლოლეთში. ქართული ჩაისაღმი ინტერესი სერიოზულად იზრდება ევროპის ქვეყნებში.

- ქართული ჩაი გამოირჩევა განსაკუთრებული სურნელე-ბით, ბუკეტით, ნაკლები სიმწკლარტით -ტანინების დაბალი შემ-ცველობის გამო.

- საქართველოში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მეჩაიეობის კლასიკურ ქვეყნებთან შედარებით, ნაკლები დანა-ხარჯებით შესაძლებელია უმაღლესი სტანდარტის მწვანე ჩაის წარმოება.

- საქართველოში შემორჩენილია 10 ათას ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია, საიდანაც პერსპექტიულია 7,5 -8,0 ათასი ჰექტარი. დამატებით, ტიპურ ნიადაგებზე შესაძლებელია 10-15 ათასი ჰექტარი ახალი პლანტაციის გაშენება.

- საქართველოში გამოყვანილი და წარმოებაში დანერგილია, საუკეთესო სამეურნეო და საგემოვნო თვისებების მქონე, ჩაის რამდენიმე ჯიში. მათ შორის უნიკალური ჯიში - „კოლხეთი“.

- ჩაის პლანტაციების 60% გაშენებულია გორაკებზე და დაქანებულ ფერდობებზე. ჩაის ფესვები ყველაზე კარგად იცავს ნიადაგს წყლისმიერი ეროზისაგან.

- საქართველოში არსებობს ჩაის პლანტაციებში მუშაობის სურვილის მქონე ყველა თაობის ადამიანი, აგრონომი და საინჟინრო პერსონალი, სამეცნიერო კადრები.

- სხვა კულტურებისაგან განსხვავებით საქართველოში ჩაი ყველაზე ნაკლებად ზიანდება სხვადასხვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან, სტიქიური მოვლენებისაგან.

13. საერთაშორისო ვაჭრობის საგნად ჩაის ნაწარმის კიდევ ერთხელ გადაქცევა გამოიწვევს სავაჭრო- ეკონომიკური კავშირების უფრო გაღრმავებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, რასაც ბუნებრივია, დიდი პოლიტიკური და სოციალურ- ეკონომიკური დატვირთვაც ექნება.

ჩაი, როგორც ეროვნული პროდუქტის მნიშვნელოვანი ნანილი, დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელს მსოფლიოში.

14. მეჩაიეობის დარგის ალდგენის სხვა დაინტერესებული მხარის ინიციატივაც არ უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე, თუმცა სახელმწიფოს ფულადი სახსრების გამოყოფა პრიორიტეტული უნდა იყოს. უნდა დაწესდეს სახელმწიფო სახსრების ხარჯვისა და სესხად აღებული თანხების დაბრუნების მკაცრი კონტროლი.

15. რაც მთავარია, მეჩაიეობა იძლევა ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის გამოყენების საუკეთესო შესაძლებლობას- ადამიანების მაქსიმალურად დასაქმებისა და მათ მიერ შემოსავლების გამომუშავების გამო. ინკლუზიურობა გულისხ-

მობს სახელმწიფოს მიერ მაქსიმალური პასუხისმგებლობის აღებას, როგორც პრიორიტეტების შერჩევაში, ასევე ეკონომიკური პროცესების მართვაში. აღსანიშნავია, რომ ინკლუზიური ზრდის ეკონომიკურ შესაძლებლობას მეჩაიეობა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხით, რეაბილიტაციის პროცესშიც ინარჩუნებს.

1.2.-მეჩაიეობის განვითარების ტენდენციები მსოფლიოში

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), აგრეთვე მეჩაიეობის აღიარებული საექსპერტო ფირმების (Pomar International) მონაცემებით, მოსახლეობის ზრდისა და სხვა ფაქტორების, პირველ რიგში მუსულმანურ სამყაროში ნავთობიდან შემოსავლების ზრდის გამო, მოსალოდნელია ჩაიზე მოთხოვნილების ზრდა. პროგნოზით, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ზრდა არ მოხდება და იგი შენარჩუნებული იქნება 0,9 მილიარდი სულის დონეზე. ამის გამო ჩაიზე მოთხოვნილება გადაინაცვლებს მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპების მქონე ისეთ რეგიონებში, როგორიცაა აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ინდოეთი, ჩინეთი.

მოსახლეობის რიცხვი დედამიწაზე , რომელმაც 1999 წლის ოქტომბერში 6 მილიარდს მიაღწია, 2010 წლისათვის 7 მილიარდი იყო, ხოლო 2020 წელს- 8 მილიარდს გადააჭარბებს.

მსოფლიოში ჩაის მწარმოებელი ყველა ქვეყანა ცდილობს გამოიყენოს ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია - გაზარდოს პროდუქციის წარმოება (ცხრილი N1).

ცხრილი N1

ჩაის წარმოება და ექსპორტი მეჩაურბის ქვეყნების
მიერ (ათასი ტონა)

ქვეყანა	1983-1985	1983-1985	1993-1995	1993-1995	2005-2008	2005-2008
წარმოება	ექსპორტი	წარმოება	ექსპორტი	წარმოება	ექსპორტი	ექსპორტი
ინდონეზია	618	213	749	159	1015	165
კენია	128	106	222	203	300	276
შრი ლანკა	200	187	240	222	285	263
ჩინეთი	199	91	180	103	220	192
თურქეთი	117	1	122	16	170	25
ინდონეზია	92	78	105	89	160	140
ირანი	44	1	53	2	85	0
საქართველო	120		16		80	78
ბანგლადეში	41	28	49	27	55	32
არგენტინა	36	44	51	43	54	42
სულ მსოფლიოში	1858	929	1970	985	2681	1292

X) ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის(FAO) მონაცემების მიხედვით.

ჩაის წარმოებისა და ექსპორტის სამი პერიოდის მონაცემების მიხედვით ინდოეთში ჩაის წარმოება თითქმის 400 ათასი ტონით, კენიაში 172, შრი-ლანკაში 85 ათასი ტონით გაიზარდა. მთლიანად მსოფლიოში კი - 823 ათასი ტონით გაიზრდება. აღნიშნულიდან გამონაკლისია მხოლოდ საქართველო, სადაც შესადარის წლებში აღინიშნება ჩაის წარმოების შემცირება. რაც შეეხება საპროგნოზო გაანგარიშებებს, იგი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მსოფლიო პაზარზე შეუძლია გაიტანოს 72-78 ათასი ტონა პროდუქცია, რაც 310-320 ათასი ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფის ტოლფასია.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო წლებში ჩაის ექსპორტი ინდოეთიდან შემცირდება თითქმის 48 ათასი ტონით, რაც მისი ადგილობრივი მოხმარების ზრდითაა გამოწვეული.

პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება კენიიდან-170 ათასი ტონა, შრი - ლანკადან-76, ჩინეთიდან- 101 ათასი, ინდონეზიდან 62 ათასი ტონა.

მთლიანად მსოფლიოში ჩაის ექსპორტი გაიზრდება 352 ათასი ტონით, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ 1985-1995 წლებში ექსპორტის ყოველწლიური მატება 0,6%-ს არ აღემატებოდა, ბოლო წლებში მისი ყოველწლიური ზრდა 3,5% იქნება. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება იმ ქვეყნებიდან, რომლებმიც მისი მოხმარება პროდუქციის წარმოებასთან შედარებით მცირეა. ასეთ ქვეყნებს ეკუთვნის კენია, რომელიც მსოფლიოში ჩაის ყველაზე დიდი ექსპორტიორია. ჩაის წარმოება და ექსპორტი გაიზრდება აფრიკის მეჩაიერობის სხვა ქვეყნებიდანაც (უგანდა, ტანზანია, მალავი). ბოლო დროს ჩაის ექსპორტი იზრდება შრილანკიდანაც.

უახლოეს ათწლეულში და შემდგომ პერიოდში ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციას მეჩაიერობის ყველა ქვეყა-

ნა ადექვატური ღონისძიებებით პასუხობს, რაც ნათლად ჩანს ფართობის, მოსავლიანობისა, პროდუქციის წარმოების ზრდის მაჩვენებლებიდან (ცხრილი N2).

ცხრილი N2
მეჩაიერი ქვეყნებში ჩაის პლანტაციების ფართობების,
საპექტარო მოსავლიანობისა და წლიური
წარმოების მაჩვენებლები

N	ქვეყანა	ფართო ბი (ათა- სი ჸა)	ფართო ბი (ათა- სი ჸა)	მოსავ- ლია ნობა (კგ-ჸა)	მოსავ- ლია ნობა (კგ-ჸა)	წარმო- ება (თასი ტონა)	წარმო- ება (თასი ტონა)
		1989-91	1996-98	1989-91	1996-98	1989-91	1996-98
1.	2	3	4	5	6	7	8
1.	ჩინეთი	847	880	662	720	561	634
2.	ინდოეთი	415	445	1693	1843	703	820
3.	შრილანკა	222	189	1023	1434	227	272
4.	კენია	95	115	2045	2238	194	257
5.	ინდონე-ზია	93	113	1565	1382	146	156
6.	თურქეთი	90	78	1475	1603	132	125
7.	ვიეტნამი	59	70	536	701	32	49
8.	მიამარი	57	63	235	513	14	34
9.	იაპონია	58	52	1532	1734	89	90
10.	ბანგლადეში	47	48	902	1046	43	51
11.	საქართველო	65	47	1653	722	120	32
12.	არგენტინა	3	38	1280	1193	49	46
13.	ირანი	32	35	1115	1918	36	67
14.	უგანდა	11	21	601	1015	7	21
15.	მალავი	18	20	2146	2124	40	42
16.	ტანზანია	15	19	1263	1181	19	22
17.	ტაილანდი	17	17	304	300	5	5
18.	სამხრეთი აფრიკა	9	11	1333	1129	12	12
	სულ მსოფლიოში	2265	2324	1113	1212	2521	2818

X) ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის(FAO) მონაცემების მიხედვით.

მეჩაიეობის 18 ქვეყნიდან, რომელზეც მსოფლიოში წარმოებული ჩაის 97% მოდის, საანალიზო ნლებში მხოლოდ 2 ქვეყანაში (საქართველო, თურქეთი) შეინიშნება ჩაის პლანტაციების ფართობების შემცირება.

საქართველოში მას სტიქიური ხასიათი აქვს. თურქეთი კვლავ იწყებს ჩაის პლანტაციების ზრდას თხილის ნარგაობის შემცირების ხარჯზე, რაც ამ ქვეყანაში განვითარებული ფინანსური კრიზისის გამო, სახელმწიფოს მიერ თხილის წარმოების სუბსიდირების შეწყვეტის აუცილებლობითა და ჩაიზე მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების ამოცანითაა განპირობებული.

N2 ცხრილის მონაცემები მიუთითებს, რომ მსოფლიოში ჩაის პლანტაციების ფართობები ბოლო 7 წელიწადში 59 ათასი ჰექტარით გაიზარდა, რაც 2,6%-ს შეადგენს. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ 100 კგ-ით, ხოლო მზა პროდუქციის წარმოებამ - 297 ათასი ტონით მოიმატა.

ზემოთ მოტანილი ძვრები ძირითადად ჩინეთში, ინდოეთში, კენიასა და ინდონეზიაში აღინიშნა.

ბოლო მონაცემებით, ჩაის პლანტაციების გაფართოების სერიოზული პროცესები ხორციელდება ვიეტნამსა და აფრიკის ქვეყნებში. ჩაის წარმოების დაწყებას და მის გაფართოებას გეგმავს სამხრეთ ამერიკა, მათ შორის - ბრაზილიაც.

ქვეყნების მიხედვით ჩაის ადგილობრივი წარმოების, იმპორტისა და მოხმარების დინამიკა მიუთითებს იმაზე, რომ 2005-2008 წლებში ლათინურ ამერიკაში მოსალოდნელი იყო ჩაის მოხმარების 18 ათასი ტონიდან 41 ათას ტონამდე, ახლო აღმოსავლეთში - 282 ათასი ტონიდან - 584 ათას ტონამდე გაზრდა. მათ შორის ირანში - სამჯერ და მეტად.

ინდოეთში ჩაის მოხმარება 413 ათასი ტონიდან - 832 ათას ტონამდე გაიზრდება. საანგარიშო პერიოდში ჩაი დაკარგავს

წამყვან პოზიციებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ბრიტანეთის დიდი სამეფო და კანადა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ცნობილი მიზე-ზების გამო, 1985 წლიდან 1995 წლამდე, ჩაის მოხმარება 218 ათასი ტონიდან- 154 ათას ტონამდე შემცირდა. შემდგომ წლებში, საექ-სპერტო შეფასებით, მოსალოდნელი იყო ჩაის მოხმარების ზრდა და მან 2005-2008 წლებისათვის 250 ათას ტონას მიაღწია.

მოსახლეობის ზრდის გეოგრაფიულ გაადგილებასთან ერ-თად მოხდება ჩაიზე მოთხოვილების გადანაცვლება და უახლეს 20 წელიწადში განვითარებად ქვეყნებში ჩაის მოხმარება - 1235 ათასი ტონიდან-1950 ათას ტონამდე გაიზრდება. განვითარებულ ქვეყნებში პირველ ათ წელიწადში იგი 641 ათასი ტონიდან 566 ათას ტონამდე შემცირდება.

ჩაის მოხმარების ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა რუსეთ-ში, სადაც საქართველოს ჩაის მიწოდების დიდი გამოცდილება არის. ჩაიზე მოთხოვნილების ზრდაა მოსალოდნელი აზერბაი-ჯანსა და ერაყში.

სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებით ქართულ მეჩა-იეობას გარანტირებული პერსპექტივები აქვს (ცხრილი N 3).

ცხრილი N3.

ჩაის იმპორტისა და მოხმარების დინამიკა ძირითადი
იმპორტიორი ქვეყნების მიხედვით

	1983-85 საშუალო იმპორტი	1983-85 საშუალო გონიერება	1993-95 საშუალო იმპორტი	1993-95 საშუალო მონებარება	2005-პრო- გნზი, იმპორტი	2005- პრონოზი, მონებარება
დათ	69	218	139	154	180	250
პაკისტანი	87	87	113	113	140	160
დიდი ბრიტანეთი	165	165	148	148	135	135
ეგვიპტე	71	70	62	62	100	90
აშშ	79	79	83	83	92	92
ერაყი	41	41	1	1	54	54
ირანი	30	43	34	34	37	122
გერმანია	16		17		32	
ოკეანია	27	28	20	21	28	28
ნიდერლანდი	10		15		16	
მაროკო			33			
სირია			21			
სულ შსოფლიოში:	911	1876	986	1970	1268	2669

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია გაეროს სურსათისა და სოფ-ლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით.

მასში შეტანილი არაა იაპონიის მონაცემები, სადაც ადგი-ლობრივი წარმოება 91 ათას ტონას შეადგენს, ხოლო იმპორტი -52 ათას ტონას.

ჩაის მოხმარების ზრდის საერთო ტენდენციის პარალელუ-რად, ჩაის აუქციონებზე შეინიშნება საბითუმო ფასების გარკ-ვეული სტაბილიზაცია (ზოგჯერ ზრდა), ხოლო მის კონკურენტ პროდუქციაზე (კაკაო, ყავა), ფასების დაცემის ტენდენცია (ცხრილი N4).

ცხრილიN4.

ჩაიზე,კაკაოსა და ყავაზე საბითუმო ფასების დინამიკა
1975-2001 წლებში (1კგ/აშშ დოლარი)

პროდუქციის დასახელება	1975	1985	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
ბაიხის ჩაი, აუქციონი	2.53	2.55	1.25	1.62	1.90	1.96	1.84	1.88	1.66
ჩაი, ლონდონის აუქციონი		2.89	1.38	1.76	2.07	1.89	1.90		
კაკაო	2.76	3.29	1.20	1.55	1.49	1.61	1.14	0,91	1.02
ყავა დაუფევავი	2.98	3.86	2.32	1.84	1.60	1.75	1.49	0.91	0.66

X) ცხრილი შედგენილია მოცემული სახის პროდუქციის მსოფლიო აუქციონების მონაცემების მიხედვით. მასალები მოპოვებულია ინტერნეტის მეშვეობით.

ბოლო მონაცემებით ჩაის ნარგაობამ 3 მილიონ ჰექტარს გადაჭარბა და განაგრძობს ზრდის ტენდენციას ძირითადად აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ხარჯზე. ჩაის წარმოება 3,5 მილიონ ტონას გასცდა. ყოველწლიურად ექსპორტზე გადის 1,7 მილიონ ტონაზე მეტი ჩაი.

მწვანე ჩაის ექსპორტში ლიდერია ჩინეთი (75%).

ჩაის კლასიკურ ქვეყნებს, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი და სხვა, ექსპორტის მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალება არა აქვთ - ჩაის კულტურისათვის ვარგისი ფართობების ამონურვისა და ადგილობრივი მოხმარების ზრდის გამო.

მეჩაიერების ცნობილი საექსპერტო ფირმების შეფასებით, ჩაის ექსპორტის გაზრდის ყველაზე მეტი პერსპექტივები აქვთ ჩაის მნარმოებელ იმ ქვეყნებს, რომლებიც ადგილზე მას მცირე რაოდენობით მოიხმარენ. ასეთებია კენია, ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნები, საქართველო, რომელსაც იმავე ფირმების შეფასებით, ჩაის წარმოების ძველი პარამეტრების შენარჩუნების პირობებში, მსოფლიო ბაზარზე შეეძლო გაეტანა 72-75 ათასი ტონა პროდუქცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის პარალელურად იზრდება ჩაის მნარმოებელი ქვეყნების რიცხვი და მან ბოლო მონაცემებით - 43-ს გადააჭარბა. აქედან - 19 ქვეყანა აფრიკაშია, 16 -აზიაში, 5-სამხრეთ ამერიკაში, 2- ევროპაში და 1- ოკეანის ქვეყნებში.

ჩვენ მიერ, მსოფლიო მეჩაიერების განვითარების ტენდენციების შესახებ მოყვანილი მონაცემები სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ფაქტორების გავლენით გარკვეული, ზოგჯერ სერიოზული, ცვლილებები არ მოხდება იმ ექსპერტულ შეფასებებში, რომელსაც ჩვენი პროგნოზები ეყრდნობა. საკმარისია აღინიშნოს სირიაში განვითარებული მოვლენები, რაც

იმის საფუძველს გვაძლევს, რომ პროგნოზის საწინააღმდეგოდ, იქ ,უახლეს წლებში ჩაის მოხმარების ზრდა არ მოხდება. იგივე გავლენა შესაძლოა ოქონიოს ჩაის მოხმარებაზე ნავთობზე მსოფლიო ფასების დაცემამ, რაც მოსახლეობის მიერ ყველა სახის სასურსათო პროდუქტის, მათ შორის ჩაის, მოხმარების შემცირებას გამოიწვევს. ჩაის წარმოების, მისი მოხმარებისა და ექსპორტის შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება იქცეს ჩაის გასაყიდი ფასების იმდენად დაცემა, რომ მისი წარმოება არარენტაბელური გახდეს. ასეთ ფაქტი დაფიქსირდა ინდოეთში 2000 წელს, როცა ჩაის პლანტაციების ასოციაციის კომიტეტმა (ჩპკი) მიიღო გადაწყვეტილება-დეკემბრის შუა რიცხვებიდან, ჩაის ფოთლის კრეფის მთლიანდ შეწყვეტის შესახებ.

ამით მათ სურდათ შეემსუბუქებინათ რუსეთის მიერ ინდური ჩაის დიდი პარტიების შესყიდვის შეწყვეტით გამოწყვეული ზიანი, რაც ჩაის პროდუქციის ჭარბწარმოებასა და მასზე ფასების დაცემაში აისახა.

ჩაის წარმოებაზე შესაძლებელია გავლენა სხვა ფაქტორებმაც იქონიოს. მაგალითად, ისეთი გლობალური სტიქიური მოვლენა, როგორც 2004 წლის დეკემბრში განვითარდა ცეილონსა და ინდოეთის სანაპირო ზოლში ცუნამის სახით, ან დღგ-ს შემოღებამ ან სხვა სახის ფისკალური ხასიათის გადაწყვეტილებებმა. ასეთი იყო რუსეთის ფედერაციის მიერ ჩაიზე შემოღებული საიმპორტო მოსაკრებელი, რომელიც საკონტრაქტო ფასის 20% -ს შეადგენდა.

ცხადია, ცალკეული ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები შემდგომშიც შეიტანენ გარკვეულ კორექტივებს მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილების ჩამოყალიბებაში, მაგრამ, როგორც ექსპერტები მიუთითებენ, ზრდის ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებული იქნება. შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მისი გეოგრაფიულ სივრცეში გადაადგილება. ცხადია ისიც, რომ ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენციები განსაკუთრებით ხელსაყრელია საქართველოსთვის. თუ საქართველო ვერ შეძლებს მეჩაიეობაში ჩამოყალიბებული ხელსაყრელი გარემოს გამო-

ყენებას, მის ადგილს დაიკავებენ სხვა ქვეყნები. ეს მოხდება იმ მიზეზის გამო, რომ მსოფლიოში მოსახლეობის ზრდის ტენდენციის მიუხედავად, მრავალი ფაქტორის გამო, თითოეული სახის პროდუქციის, მათ შორის ჩაის, ეფექტიანად წარმოების არეალი შეზღუდულია და თუ ამ ტენდენციაში დროზე ვერ ჩაეწერე, შემ-დგომ მისი მიღწევა ძნელი ან შეუძლებელი იქნება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კენიის მსგავსად, საქართველო განეკუთვნება მეჩაიეობის ისეთი ქვეყნების რიცხვს, სა-დაც ჩაის ადგილობრივი მოხმარება მცირეა და პროდუქციას ძირითადად საექსპორტო დანიშნულება აქვს.

1.3.-მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნები და კენია

ჩინეთი

ჩაისა და მისი პროდუქციის მოხმარების კულტურის პრიორიტეტი ამ ქვეყანას სამართლანად ეკუთვნის.

ჩინელებმა პირველად აღმოაჩინეს იგი, მისი პირველივე გადამუშავებლებიცა და მომხმარებლებიც თვითონ იყვნენ.

დღეს ჩაი კულტივირებულია ჩინეთის 19 რაიონში. ჩაის მოყვანის არეალი გადაშლილია აღმოსავლეთით - ტაივანამდე, დასავლეთით - ტიბეტამდე, სამხრეთით - ხაინამდე და ჩრდილოეთით - შანდუნის პროვინციამდე.

სახელმწიფოს ტერიტორია დიდია, და ამიტომ, ჩაი იქ მოჰყავთ სხვადასხვა კლიმატურ სარტყელში და სხვადასხვა სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

არსებობს ჩაის მრავალი სხესხვაობა, რომელსაც აქ აწარმოებენ.

აღიარებულია ამ ქვეყნის პრიორიტეტი ჩაის კულტურის დანერგვისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ჯუან-ვან ფანის მიერ მოწოდებული ცნობის მიხედვით, ჩინელებმა ეს მცენარე გაიცნეს ჩვენს წელთაღიცხვამდე. ეს პერიოდი ამ მცენარის ფოთლების წამლად გამოყენებას ეხება.

არის ცნობები იმის შესახებ, რომლის მიხედვითაც მცენარის ფოთლებს საკვებადაც იყენებდნენ. არის მინიშნება იმის შესახებაც, რომ ჩაის მცენარის კულტურაში დანერგვის საწყისად მითითებულია 221-263 წელი.

ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ ჩინეთში ტანის დინასტიის მმართველობისას, ბერმა ძიალანმა ინდოეთიდან ჩამოიტანა ჩაის ნერგები და სიჩუანის პროვინცია მინშანის მაზრაში გააშენა ისინი.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის აკადემიკოსი ტ.ყ. კვარაცხელია: ხუბეისა და სიჩუანის პროვინციაში ჩაის ფოთლებისაგან მზადდებოდა ფილები, რომელსაც ხალავდნენ შენითლებამდე, მის ფხვნილს ყრიდნენ ჩაიდანში, ასხამდნენ მდუღარე წყალს, უმატებდნენ ნიორს, კოჭას, ფორთოხალს და იყენებდნენ საჭმელად.

არის ჩანაწერები, რომელიც ჯუან-ვან ფანს ეკუთვნის. ამ ჩანაწერების მიხედვით, მერვე საუკუნეში შედგენილი ლო-უს ნაშრომის - „წიგნი ჩაის შესახებ“ აღნიშნულია, რომ ჩაი ისე ითე-სება პლანტაციაში, როგორც გოგრა და მესამე წელს შესაძლოა მასზე ფოთოლი მოიკრიფოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ავტორი გვაწვდის პირველ ცდებსაც ამ მცენარის ფოთლების გადამუშავების შესახებ.

საინტერესოა ამ ქვეყნის ბუნებრივ-ეკოლოგიური დახასიათება, როგორც ჩაის მწარმოებელი კლასიკური ქვეყნისა.

ამ უზარმაზარი ქვეყნის განსაკუთრებული რაიონები არის ძირითადად ჩაის წარმოებისათვის გამოსადეგი. ზონები, სადაც ჩაი მოჰყავთ, მოთავსებულია როგორც ტროპიკულ, ისე სუბტროპიკულ სარტყელში. არის ზონები, სადაც შესაძლოა რაიონები ზომიერ სარტყელსაც მიეკუთვნოს.

ლიტერატურული მონაცემებით ტერიტორიას, სადაც ჩაი მოჰყავთ, ყოფენ ხუთ ეკოლოგიურ რაიონებად:

1.მეჩაიერობის ჩრდილო-ცენტრალური რაიონი - ეს რაიონი გამოირჩევა დაბალი საშუალო-წლიური ტემპერატურით. ხასიათდება ხანგრძლივი ზამთრით. ეს ზონა მდებარეობს ჩრდილო

განედის 31 და 32 გრადუსებს შორის და მოიცავს ანხოის ჩრდილო რაიონს. მას აკუთვნებენ აგრეთვე სენანის პროვინციისა და შენისის პროვინციის სამხრეთ რაიონებს. როგორც ვხედავთ, ჩაის მოყვანის ზონები ჩინეთში საკმაოზე მეტად დიდია.

მეჩაიერბის ამ ზონის კლიმატური მახასიათებლები ასეთია: ნალექები - 1200 მმ-მდე, ზამთარში მოდის წლიური ნალექის 15 %-მდე. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ნალექების რაოდენობა აღნიშნულზე ორჯერ მაღალია- 35-36 პროცენტი.

2. სამხრეთ-ცენტრალური ჩინეთის მეჩაიერბის რაიონი-მდინარე იანძის მიმდებარე სამხრეთი რაიონია. ყველა ეს რაიონი ხასიათდება შედარებით თანაბარი ტემპერატურით. ხასიათდება ზაფხულის მაღალი ტემპერატურითა და ზომიერი ზამთრით. შემოდგომა ამ ზონაში სიგრილით გამოირჩევა. ქარების განვითარებას ამ ზონაში თან სდევს ტემპერატურის დაცემა ნულ გრადუსამდე.

ჩაის პლანტაციები აქ განლაგებულია მთიან ზონაში, სადაც ზაფხულის განმვალობაში ჰაერის ტემპერატურა მაღალი არ არის.

მეჩაიერბის ეს დასახელებული რაიონი მოიცავს შემდეგ პროვინციებს: ძიანში, ხუბეი, ხუნანი, ჯეძიანი.

უნდა გამოიყოს მეჩიერბის ხუნანის რაიონი, რომელსაც მახასიათებლები თავისებური აქვს. აქ, ნალექების წლიური რაოდენობა გაცილებით მაღალია, ვიდრე ხუბეის პროვინციაში და იგი შეადგენს 2000-2200 მმ-ს.

3. სიჩუანის ქვაბულისა და იუნან-გუი-ჯოუს მაღალმთიანი პლატოს რაიონები ჩაის გაშენების უძველესი რაიონია, რაზე-დაც მიუთითებს მრავალი ლიტერატურული წყარო.

კლიმატური მახასიათებლები ასეთია ამ ზონისა (სიჩუანის ქვაბული): ზაფხული ხასიათდება სიგრილითა და ტენით. უნდა აღინიშნოს ზამთრის სითბო- 17-18 გრადუსი საშუალო ტემპერატურით.

იუნან-გუი-ჯოუს მაღალმთიანი პლატო გეოგრაფულად მდებარეობს სიჩუანის ქვაბულის სამხრეთით. აქ, მაღალმთიანი სუბტროპიკების ტიპური კლიმატია, რაც მხედველობაშია მიღე-

ბული საწარმოო პლანტაციების გასაშენებლად. იანვრის თვის საშუალო ტემპერატურა აქ 4 გრადუსი და მეტია.

რაც შეეხება იუნანის სამხრეთ ნაწილს, ის განსხავებულია ტროპიკული კლიმატით.

4. სამხრეთი ჩინეთის მეჩიაიეობის რაიონი მდებარეობს ცინ-ლიანის ქედის სამხრეთით. აქ კლმატი-ტროპიკულ-სუბტროპიკულია და შეიმჩნევა ტემპერატურის მკვეთრი რყევა ზღვის დონიდან სიმაღლის ცვალებადობის კვალობაზე.

საშუალო წლიური ტემპერატურის მაჩვებებელი აქ შეადგენს-12-22 გრადუსს. ყველაზე ცხელი თვე-ივლისია. იანვრის თვის მრავალწლიური საშუალო შეადგენს 13-14 გრადუსს.

ესაა ის ოთხი ძირითადი რაიონი, სადაც ჩაის კულტურის მოყვანას ჩინეთში საწარმოო დანიშნულება აქვს.

არის ერთი თავისებურება ჩინეთში ჩაის გავრცელების რაიონებისათვის-უმრავლესობა მდებარეობს მთაბორცვიან რაიონებში და ბორცვის ციცაბო ფერდობებზე. აქვს ამასაც თავისებური ახსნაც, რადგან ითვლება, რომ ჩაის მაღალი ხარისხი სწორედ მთებშია უზუნველყოფილი.

მთიანი ადგილებისათვის დამახასიათებელი მყარი მაღალი ტემპერატურა, ხშირი ნისლი, ჰაერის მაღალი ტენიანობა, ნოკიერი ნიადაგი რაც მთებშია, უზრუნველყოფს ნედლეულის მაღალ ხარისხს. ასეთი რეჟიმის დროს ჩაის ყლორტის წამოქმნა მიმდინარეობს შედარებით ნელა და თანდათან და, რაც მთავარია, აქ, ყლორტები სწრაფად არ უხეშდება.

დიდია ზონა ჩინეთში მეჩიაიეობის განვითარებისათვის და ადვილი წარმოსადგენია ის სიჭრელე ნიდაგებისა, რაც ამ დიდ ზონაში შესაძლოა შეგხვდეს.

ჩაის მცენარისათვის სავარგული ნიადაგები ძირითადად იანძის სამხრეთითაა და ისინი მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან მექანიკური და ქიმიური მახასიათებლებით. ნიადაგის სიჭრელე ძირითადად წარმოდგენილია სამი-ოთხი ტიპით.

წითელმიწები-ყველაზე მეტადაა გავრცელებული. ეს ნიადაგები გვხვდება ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი სარ-

ტყულის მეჩაიეობის რაიონებში. იქმნება ნიადაგების სახესხვაობანი წითელმიწებში - ტენისა და ტუტეების რაოდენობის არაერთგვაროვნების გამო.

მსგავსია ყვითელმიწებიც ამ ტიპის ნიადაგებისა, იმ განსხვავებით ,რომ ისინი ფერით ყვითელია.

ზოგიერთი ჩინელი მეცნიერი ამ ორი ტიპის ნიადაგის გაერთიანების მომხრეა ერთ ჯგუფში.

თვისებებით ჩამორჩება ენერი ტიპის ნიადაგები წითელმიწებს, თუმცა მათ ჩინეთის ჩაის მრეწველობის ზონაში საკმაო გავრცელება აქვთ. ისინი გვხვდებიან ჩინეთის სამხრეთსა და დასავლეთ ნაწილებში.

ნიადაგების სხვა ტიპებიცაა ჩინეთის ჩაის გავრცელების რაიონები- ესენია ყავისფერი და მურა ნიადაგები. პირველი ტიპის ნიადაგები გავრცელებულია მდინარე იანძის ჩრდილოეთით, ხოლო მეორე კი- მხოლოდ ზოგიერთ პროვინციაშია წარმოდგენილი.

პირველსაწყისი დანერგვა ჩაის მცენარისა მოხდა ჩინეთში- სიჩუანის პროვინციაში და აქედან იღებს სათავეს მისი გავრცელება ქვეყნის სხვა პროვინციებში.

ჩინური ჩაი-Thea Sinensis L.-ბუჩქია, საშუალო სიდიდის ფოთლებით. მისი გავრცელების გეორგაფია არის იაპონიასა და ჩინეთში.

არსებობს ჩინური ჩაის ფართოფოთლიანი ნაირსახეობა - Thea Sinensis var. Macrophublsieb.. ამ მცენარეს ისეთი ფორმის ფოთლები აქვს, რომ ძლიერ ჰგავს ასამის ჩაის, მაგრამ მისგან გამოირჩევა ენაკის უქონლობითა და უხეშობით.

ამ მიზეზის გამო მისი ფოთლები პროდუქციის დასამზადებლად არ გამოიყენება. კარიოლოგიის ხარისხით ტრიპლოიდია- 3n=45.

ჩინური ჩაის სახეობიდან საქართველოში ცნობილია - იაპონური და ჩინური ჩაი.

ჩინური ჩაი საქართველოში დატოტვილი ბუჩქის სახითაა. მისი სიმაღლე აღწევს-სამ მეტრამდე.

მისი ფოთლები ჩვენთან ხასიათდება ზომებით - სიგრძით 6,0- 7,0 სმ და სიგანით -3,0-3,5 სმ.

ფოთოლი ფორმით მოკლე და ბლაგვია, ზოგჯერ ორად გა-
ყოფილი ბოლოთი.

ფირფიტა გლუვი, მწვანე, სუსტი დაძარლვით. თესლნერგე-
ბი და ნერგები ანტოციანური შეფერილობისაა.

მცენარის გვირგვინის ფურცლები თეთრი შეფერილობისაა,
იშვიათად მკაფიო ვარდისფერი.

სანაყოფე კოლოფი - სამსაგდულიანია, ხშირად, ანტოცია-
ნური შეფერვის.

თესლი მომრგვალო, ყავისფერი, ოდნავ ბრჭყვიალა.

ეს ნაირსახეობა წარმოდგენილია პოპულაციებით: იანლო-
უდუნ, კიმინი, კანგრა და სხვა.

ჩინური ჩაის ვეგეტაცია ჩვენთან გრძელდება 7 თვის განმავ-
ლობაში. დუყები ინტენსიურ განვითარებას იწყებენ მაისში და
აგრძელებს სექტემბრის ბოლომდე.

ჩინური ჩაი ვეგეტაციური გამრავლებისადმი უფრო მიღრე-
კილია.

ამ ნაირსახეობის საშუალოფოთოლა ჩინური ჩაი ჩვენთან
გავრცელების მიხედვით პირველ ადგილზე იყო. მეორე პოზიცია
ეკავა მსხვილფოთოლა ჩინურ ჩაის.

ჩინეთში ჩაი ძირითადად თესლით მრავლდება, აქ, სპეცია-
ლური სათესლე პლანტაციები არა აქვთ. თესლებს აგროვებენ
ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში საუკეთესო მცენარეებიდან.

ჩინეთის სახალხო მეურნეობისათვის ჩაი დიდი მნიშვნელო-
ბისაა და დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში, როგორც
პირველადი მოხმარების პროდუქტი.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ჩინეთში შემოღებული
იყო დასაბეგრი ტარიფები მეჩაიერებაშიც. იბეგრებოდა მოსავ-
ლის ერთი მესამედი.

მთავრობამ ამ ქვეყანაში დარგზე სახელმწიფო მონოპოლია
გამოაცხადა და ზრუნვის მთავარ საგნად აქცია.არსებობდა ასე-
თი მითითებებიც, რომ წვრილ მესაკუთრეებს ჩაის ბუჩქები სა-
ხელმწიფო პლანტაციებში უნდა გადაერგათ. ეს ფაქტი ისე უნდა
შეფასდეს, როგორც სახელმწიფოს მიერ ძირითადი ეკონომიკუ-

რი წყაროს ხელში აღება. ფაქტმა უკმაყოფილებაც გამოიწვია და სახელმწიფოც იძულებული შეიქნა დაეთმო. გააუქმა კანონი მეჩაიერბის სახელმწიფო მონოპოლიად გადაქცევის შესახებ. სამაგიეროდ შემოიღეს ჩაის ნარგავებზე დიდი გადასახადები, რაც გლეხობისათვის ძნელი შეიქნა. უკმაყოფილება დაფიქსირდა „მეჩაიერა აჯანყების“ სახელით-1128 და 1171 წელს. იგივე განმეორდა სხვა პროვინციებშიც.

ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ცვლილების კვალობაზე იცვლებოდა ჩაის ფართობებიც და, ბუნებრივია, მას თან სდევდა ნარმოების დონის ცვლაც.

ლიტერტურაში არის მინიშნებები იმის შესახებ, რომ ჩაი, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის საგანი, ჩინეთს გასცდა მე-16 საუკუნის დასაწყისიდან.

ამ სახელმწიფოში ჩაის ფართო გამოყენება- მოხმარებაზე მეტყველებს ის, რომ თითქმის ყველა ქვეყანა კმაყოფილდებოდა ჩინური ჩაის ხარჯზე. ბუნებრივია, ამ კულტურას ამ სახელმწიფოს ექსპორტში პირველი ადგილი ეჭირა.

გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის ჩინეთში ჩაის ფართობები 650-750 ათას ჰექტარს შეადგენდა და ანარმოებდა 210 ათასამდე ტონა მზა პროდუქციის. სხვა ქვეყნებში (იაპონია, ცეილონი, ინდოეთი) კონკურენციის ზრდამ ჩინეთიდან გასატანი პროდუქციის შემცირება გამოიწვია.

ჩინეთში სახალხო რესპუბლიკის დამყარებას ემთხვევა ყველა წარმატება და, ბუნებრივია, ის შეეხო სოფლის მეურნეობა-საც. ჩაის ადგილობრივი მოხმარების მაჩვენებელი თითქმის 10 პროცენტი გახდა.

მკვეთრად გაიზარდა ჩაის ნარგავების ფართობები და წესრიგში მოიყვანეს ნარგაობანი. აღდგენილია პლანტაციები და შექმნილია მსხვილი სახელმწიფო მეურნეობები, სადაც მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები.

ჩინეთი, როგორც ცნობილია, ლიდერია მწვანე ჩაის ექსპორტით (75%). ისე, ცნობისათვის, ჩაის მნარმოებელი ქვეყნების ლიდერია ეს ქვეყანა - (1,3 მლნ. ტონა).

ჩაის მწარმოებელ ამ კლასიკურ ქვეყანას ჩაის ექსპორტის გაზრდის შესაძლებლობა არა აქვს - ადგილობრივი მოხმარების ზრდისა და ჩაის კულტურისათვის საჭირო ფართობების რაო-დენობის ამონურვის გამო.

ჩაის გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარების მნიშვნე-ლოვანი წილი მზადდება ჩინეთში.

ჩინეთში დარგის რეგულირებისათვის ფუნქცია მთლიანდ არის სახელმწიფოს ხელში. მისი უშუალო ჩარევითა და ხელ-შეწყობით ხდება კერძო სტრუქტურების ჩამოყალიბება, პრო-დუქციის ადგილზე მოხმარებისა და ექსპორტის ხელშეწყობა (წარმოების სუბსიდირებით, საგადასახადო შეღავათებით, ბაზ-რის დაცვის მექანიზმის გამოყენებით). მეჩაიერდის ბევრ კლასი-კურ ქვეყანაში და აქაც, დარგის განვითარებას კურირებს მაღა-ლი რანგის სახელმწიფო მოხელეები, თვით პრემიერ- მინისტრის მოადგილის ჩათვლით.

ინდოეთი

ჩაის მცენარის გავრცელება- განვითარებისათვის ინდოეთ-ში არის ტროპიკული და სუბტროპიკული ზონები.

ამ ქვეყანაში კლიმატის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახ-დენს იქ გაბატონებული მუსონები. ჩაის წარმოების განვითარე-ბა ამ ქვეყანაში კლიმატური ზონების მიხედვით ხდება.

ჩაის წარმოება ინდოეთში კონცენტრირებულია შემდეგ შტატებში: ასამის, დასავლეთ ბენგალის, დუარსის ოლქი, ტამი-ლანდრა და ქერალი. აქ თავმოყრილია ჩაის პლანტაციების უდი-დესი ნაწილი და ქვეყნად წამოებული პროდუქციის 98%-ზე მეტი ამ ადგილზე მოდის.

არის ჩაის მოვლა- მოყვანის ჩრდილო- დასავლეთის რაიონი, სადაც ჩაი მოჰყავთ დასავლეთ ჰიმალაის ასამის დაბლობ ხეობა-ში(ტერაია, დურსი).

ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი მოდის მდინარე ბრაჟმაპუტრას ხეობაზე, სადაც იწარმოება ქვეყანაში წარმოებული ჩაის ნახევარზე მეტი.

დასახელებული მდინარის ორივე ნაპირზე მოჰყავთ ჩაი -ზღვის დონიდან 50-120 მეტრ სიმაღლეზე.

დარჯილინგის ჩაი მოჰყავთ ჰიმალაის ფერდობებზე - ზღვის დონიდან 300-1800 მეტრამდე. აქ, ძალიან დიდია მოსული ნალექების რაოდენობა - 2500-5000 მმ. ზამთრის პერიოდი შედარებით მშრალია. მაღალი ხარისხის ჩაი იკრიფება აპრილ-მაისიდან ნოემბრამდე.

აქ მოყვანილი ჩაი ითვლება მსოფლიოში ყველაზე უფრო მაღალხარისხოვნად.

ინდოეთში ჩაის კულტურის განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია. ამ ქვეყანაში ჩაი გაშენებულია ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ გეოგრაფიულ რაიონში. ესაა ქვეყნის სამხრეთი და ჩრდილოეთი რაიონი.

კლიმატური პირობების მიხედვით ინდოეთი იყოფა რიგ სა-სოფლო- სამეურნეო სარტყლებად.

ჩრდილო- აღმოსავლეთში მდებარეობს შტატი ასამი, რომელიც ჩაის წარმოების მიხედვით ძირითადი რაიონია.

ინდოეთში ჰავა ტროპიკულია, გარდა უკუდურესი ჩრდილოეთი რაონებისა. აქ, ტემპერატურა ნულს ქვემოთ არასოდეს ეცემა. ჩრდილში ტემპერატურა ყველა შტატში ცვალებადობს 22-23 გრდუსს შორის.

მაისსა და ივნისში ტემპერატურა ჩრდილში აღწევს 40-42 გრადუსს.

მეჩაიერის მთიან რაიონებში ჰაერის ტემპერატურა გაცილებით დაბალია ზამთრისა და ზაფხული თვეებში, ვიდრე მეჩაიერის სხვა რაიონებში.

ერთნაირი არაა ნალექების განაწილება ინდოეთის ტერიტორიაზე შტატების მიხედვით. მაგალითისათვის, ასამისათვის წლის პერიოდში მოდის 2000 მმ ნალექი, ასამის მთების კალთების რაიონების - ჩერაპუნჯის რაიონში მოდის 12000 მმ ნალექი. ზოგჯერ, შესაძლოა, დღე-ღამეში მოვიდეს 1000 მმ ნალექიც.

ბუნებრივია, კლიმატური პირობების ასეთი ცვლილება თავისებურ გავლენას ახდენს ჩაის კულტურის მოყვანაზე სხვადასხვა შტატში.

შტატებში, სადაც ჩაი მოჰყავთ, ნიადაგური საფარის დიდი სიჭრელეა. ასამის ზონაში ნიადაგის ძირითადი ტიპია წითელი თიხნარი. პენჯაბის შტატში-ალუვიური და მთისნინების ტყის ნიადაგები, ხოლო დარჯილინგის რაიონებში გავრცელებულია მთა-ტყის ნიადაგები.

ინდოელები ჩაის მცენარეს გვიან ეცნობიან, გამომდინარე მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან.

პირველშეხებითი ძვრები ამ კულტურასთან ემთხვევა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს -1870-იან წლებს. პირველი პლანტაციების გაშენებისათვის საწყისი მასალა ჩინეთიდან ჩამოიტანეს.

ჩაის კულტურის გავრცელებას აქ ხელი შეუწყო ინგლისელი კოლონიზატორების ინიციატივამ. ჩინეთიდან ჩამოტანილი თესლით აქ მრავალი პლანტაცია გაშენდა.

თესლის პირველადი ჩამოტანის კვალობაზე ცდას, პლანტაციების გასაშენებლად, შედეგი არ მოჰყოლია.

ჩაის კულტურის გავრცელებასა და მის პოპულარიზაციას ამ ქვეყანაში აწარმოებდა პირველსაწყისად-, „ბენგალიის ჩაის კომპანია“ (1839).

მისი ცენტრი მდებარეობდა კალკუტაში. რაც შეეხება ლონდონში დაფუძნებულ „ჩაის სააქციონერო საზოგადოებას“, პირველთან კოორდინაციის საფუძველზე, გაერთიანების შედეგად შეიქმნა „ასამის კომპანია“. ამ უკანასკნელის სასიცოცხლო ფუნქცია იყო ჩაის კულტურის პოპულარიზაცია, ნედლეულის წარმოების გადიდება და სავაჭრო ფუნქციების გადიდება - მოგების მიღების მიზნით.

ინდოეთში წარმოებული საბოლოო პროდუქციის ხარისხი სხვადასხვაგვარია, დამოკიდებულებით ზონისა და მოვლა-მოყვანის პირობებისაგან.

ჩაის პლანტაციების გაშენების ძირითადი ხერხია მისი გაშენება სანერგეში გამოყვანილი ნერგით.

იმ დროს, როცა საჭიროა პლანტაციების რემონტი - მიმართავენ ვეგეტაციურ გამრავლებას.

ძირითადი ჯიშები ინდური ჩაისა (რომელთაგანაც ზოგიერთს საწამოო მნიშვნელობა აქვს), ასეთი სახით წარმოგვიდგება:

ასამის ადგილობრივი ჩაი - ზომით ამ ჯიშის მცენარეები ბუჩქი ან პატარა ხემცენარეები არიან. შტამბეჭდავია მათი ფოთლების ზომები-10-18,0 სმ სიგრძეში, ხოლო 5-8,0 სმ სიგანეში. ზოგჯერ, არის პატარა ვარირება ზომებში, რაც უმნიშვნელოა.

ფოთლის ფირფიტა ფორმით კვერცხისებრია. ფერით კიღია მწვანე.

ფოთოლი ნაზი და დაბუშტულია, რაც ამ ჯიშის ჩაის დიაგნოსტიკური ნიშანიცაა. ჩაის ეს ჯიში ძალზე გავრცელებული და ძვირფასი სახესვაობაა. მისი წარმომადგენელი ფორმები ან ჯიშებია: სინგლო, ბაზალონი და სხვა.

ლუშაი- ზომით ჩაის ეს სახესვაობა ძალზე დიდია და მისი სიმაღლე შეადგენს 15-18 მეტრს. მისთვის დამახასიათებელია ყველაზე დიდი ფოთლის არსებობა. ესეც ამ ჯიშის ჩაის დიაგნოსტიკური ნიშანია. ფოთლები -20,0-35,0 სმ სიგრძისაა და სიგანით კიდევ-10,0-15,0 სმ.

მისი გავრცელების არეალი შეზღუდულია და გვხვდება მხოლოდ სიხელტისა და ჩიტაკონგის შტატებში. ის ცნობილია, როგორც გარეული ჩაი.

ნაგახილი- ესეც გარეულად მოზარდი ხემცენარეა. მისი ვერტიკალურად მიმართული ფოთლები ზომით 10,0-12,0 სმ სიგრძისაა და სიგანით კი-5,0-7,0 სმ.

მისი გავრცელებაც არაა ფართო და აშენებენ ძირითადად ასამში და სელექციური მიზნებით იყენებენ (ასამის ჩაისთან შესაჯვარებლად).

მანიპური- გარეული ხემცენარეა. ნახეს მანიპურის ტყეში. ცნობილია კოჩარაში, სილხეტსა და ასამშიც. მას იყენებენ სხვა ფორმებთან შესაჯვარებლად. აქვს დიდი ზომის მოგრძო-ოვალური ფოთლები, რომლის ზომებია- 15,0-20,0 სმ და სიგანე- 6,0- 8,0 სმ.

ბურმა და შანი ნაკლებად შესწავლილია.

მანიპური და ცეილონის ჰიბრიდი -ჩაის ასამის სახეობები-დან საქართველოში ორივეა ცნობილი. ეს უკანასკნელი ინდოეთში ძირითადი საწამოო ჯიშია.

ინდური ჩაი საქართველოში პატარა ხემცენარეა, მკვეთრად გამოხატული შტამბით და უფრო მეჩერი განტოტვით. შესაძლოა ეს მისი ბოლომდე დაუმთავრებელი ნატურალიზების პროცესით იყოს განპირობებული.

გამოირჩევა ვეგეტაციური ნაწილების სიგრძით. ფოთლების ზომები შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება: სიგრძე-15,0- 18,0 სმ, ხოლო სიგანე კი- 5,0-8,0 სმ.

ფოთლის ფირფიტის ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშანია მისი მბზინვარება და დაბუშტულობა. მას ორგანოლეპტიკური მახასიათებლების მარკერადაც თვლიან. ფოთლისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გადახრილობა და ტალღისებრი კიდეების არსებობა.

ჩაის ამ ჯიშის ახალგაზრდა თესლნერგისა და ნათესარისათვის დამახასიათებელია ანტოციანური შეფერილობის არარსებობა.

მცენარეს გვირგვინის ფოთლები თეთრი შეფერილობის აქვს.

რაც შეეხება თესლების ზომას, ისინი დიდია, რაც კარგი მახასიათებელია სახეობის კონსტანტურობისათვის, გამრავლებისათვის.

ეს ჯიში საქართველოში წარმოდგენილი იყო პოპულაციებით: „დოქტორ უაიტითა“ და „მანიპურითა“.

ჩვენთან, ინდური ჩაი ვეგეტაციას იწყებს უფრო გვიან. არის ვადები, როცა მისი ამონაყრების რაოდენობა მაქსიმუმს აღწევს და ეს პერიოდი ემთხვევა ივლისის თვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მეჩაიეობის დარგის განვითარების პიკის დროს, ინდურ ჩაის გავრცელების მიხედვით, ბოლო- მეოთხე ადგილი ეკავა.

ჩაი ინდოეთში ძირითადად თესლით მრავლდება. ამ სახელმწიფოში მიღებულია ჩაის სათესლეების სპეციალური სისტემა.

არის სხვაობა ინდოეთში რეგიონების მიხედვითაც, სადაც მიღებულია სათესლეების მოწყობა. ასეთად იქ ესახებათ ჩრდილოეთი რაიონები, დარჯილინგის რაიონის გამოკლებით. აქ, არაა შესაფერისი ნიადაგურ-კლიმატური პირობები ამგვარი

მეურნეობის გასაწევად და თესლს აგროვებენ ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში.

როგორც მოსალოდნელია, სათესლე პლანტაციების მოსაწყობად იყენებენ ინდოეთის ჩაის სამეურნეო ჯიშებს.

არის შემუშავებული აგროლონისძიებების სისტემა, რაც გულისხმობს მცენარეთა რაციონალურ გაადგილებას - მაქსიმალური ეფექტის მისაღებად.

ნორმალური დატოტიანებისა და ძირითადი ვარჯის მისაღებად მიღებულია მცენარეთა გაადგილება კვების არით-2,0 X 2,0 მეტრზე.

შესაძლოა არასასურველი შედეგი დადგეს მცენარეთა ჯვარედინი დამტკერვის გამო. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად იყენებენ სივრცითი იზოლაციის მეთოდს. ყურადღებაშია მისაღები ამ დროს მცენარეთა ყვავილობის ხარისხი და მისი პიკის დრო.

ინდოეთში ჩაის მცენარის ყვავილობის დრო შემოდგომაა. ნაყოფის მომწიფების ვადები ემთხვევა ნოემბერსა და იანვარს.

არის შემუშავებული წესებიც, რაც დაკავშირებულია თესლის შეგროვებასთან. მას, პირდაპირ ხეებიდან ან მიწიდან აგროვებენ, რისთვისაც მათ ბერტყავენ. არის შემთხვა, როცა თესლების კრეფა ხდება პირდაპირ ხეებიდან. ამ დროს გამოიყენება სიმაღლეში მათი სპეციალური ფორმირება.

მოკრეფილი კოლოფები რამდენიმე დღის განმავლობაში შრება.

განმენდილი თესლის შენახვა ხდება იქვე, პლანტაციაში, გრილ ადგილას.

იმ დროს, როცა საჭიროა თესლის დიდი ხნით შენახვა, მას მარხავენ.

თესვის ნინ ხდება მათი დახარისხება, რისთვისაც მას ყრიან წყალში და აშორებენ ყველა თესლს, რომელიც ამოტივტივდება. ამის შემდეგ, გამორჩეულ თესლს აშრობენ.

სათესლე მასალის მოსავლიანობა ინდოეთში-1200 კგ-ია ჰექტარზე.

ინდოეთში ჩაის პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის დინამიკა ასეთ სურათს გვაძლევს:

1983-1985 წლები-წარმოება 618000 ტონა, ექსპორტი-213000 ტონა;
1993-1995 წელი -წარმოება-749000 ტონა, ექსპორტი-159000 ტონა;
2005-2008 წელი-წარმოება-1015000 ტონა, ექსპორტი-165000 ტონა;
ჩაის წარმოებისა და ექსპორტის სამი პერიოდის მონაცემებით,
ინდოეთში ჩაის წარმოება თითქმის 400000 ტონით გაიზარდა.

აღსანიშნავია ისიც ,რომ ჩაის ექსპორტი ინდოეთიდან შემ-
ცირდება თითქმის 48 ათასი ტონით, რაც მისი ადგილობრივი
მოხმარების ზრდითაა გამოწვეული.

არის მონაცემებიც ,რომლის თანახმადაც პროდუქციის ექს-
პორტი გაიზრდება ინდოეთიდან 62000 ტონით.

ინდოეთში ჩაის მოხმარება 413000 ტონიდან 832000 ტონამ-
დე გაიზრდება.

ჩაის მწარმოებელ ამ კლასიკურ ქვეყანასაც, ჩინეთის მსგავ-
სად, ექსპორტის გაზრდის საშუალება არა აქვს- ჩაისათვის სა-
ჭირო ფართობების ამოწურვისა და ადგილობრივი მოხმარების
ზრდის გამო.

ამ ქვეყანაში სიტისის ტიპის ჩაისაც აწარმოებენ (მარცვლო-
ვანი ჩაი, რომელსაც დაფლეთილი ფოთლებიდან აწარმოებენ).

ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელ დანადგარებსაც აწარ-
მოებენ ამ ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, ინდოეთი მსოფლიოში ჩაის მწარმოე-
ბელი ერთ-ერთი აღიარებული ლიდერია(მეორე ადგილი, ჩინე-
თის შემდეგ)-8,5 -9,0 მლნ. ტონა.

ინდოეთშიც დარგის რეგულირებისათვის ფუნქცია მთლი-
ანდ არის სახელმწიფოს ხელში. მისი უშუალო ჩარევითა და ხელ-
შეწყობით ხდება კერძო სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ჩაის ექსპორტი სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებულ ფირ-
მებს შეუძლიათ. ინვაციური ტექნოლოგიების დანერგვა სა-
ვალდებულოა ჩაის ყველა კერძო ფაბრიკისათვის.

ისე, როგორც მეჩაიეობის ბევრ კლასიკურ ქვეყანაში, აქაც
დარგის განვითარებას კურირებს მაღალი რანგის სახელმწიფო
მოხელეები, თვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგი-
ლის ჩათვლით.

შრი- ლანკა

1869 წლამდე აქ ანარმოებდნენ ყავას. 1869 წელს ამ ქვეყანაში დაიწყო ჩაის წარმოება. ჩაის პირველი ბუჩქები აქ გაჩნდა 1824 წელს, ხოლო მისი პირველი პლანტაცია გაჩნდა 1867 წელს. ეს ითვლება თარიღად საწყისისა.

პრიორიტეტი ეკუთვნის ჯეიმს ტეილორს, რომელმაც ჩაის წარმოების ჩვევები შეისწავლა ინდოეთში და ჩაუყარა საფუძველი პირველ პლანტაციას -8 ჰექტრის რაოდენობით.

1890 წელს ცეილონზე ჩამოვიდა ტომას ლიპტონი, რომელმაც მოკლე ხანში გააშენა საკუთარი პლანტაციები და გახსნა ფაბრიკა გადამუშავებისათვის.

დღეს შრი-ლანკა ერთ-ერთი მსხვლი ექსპორტიორია ჩაისა მსოფლიოში.

აღსანიშნავია, რომ დღესაც პლანტაციების ნაწილი ინგლისელებს ეკუთვნით.

შრი- ლანკა ბუნებრივი პირობებით საუკეთესოა ჩაის კულტურის წარმოებისათვის მთელი წლის განმავლობაში.

ყველაზე კარგი ხარისხის ჩაის დებულობენ მთიანი მასივის ცენტრში(კუნძულის სამხრეთი ნაწილი) -1200 მეტრზე ზღვის დონიდან.

ცეილონში ჩაი მოჰყავთ დიდ მასივებზე. აქვე მიმდინარეობს მისი საბოლოო დამუშავება- მზა პროდუქციამდე.

კუნძულზე ჩაის მრეწველობით დაკავებულია მოსახლეობის ერთი მეხუთედი ნაწილი - 6 მილიონი კაცი.

დღეს, იგი ჩაის რიგით მესამე მნარმოებელია და მასზე მოდის მსოფლიოში წარმოებული ჩაის 9%.

შრი- ლანკა ანარმოებს პროდუქციას CTC მეთოდით.

1996 წელს აქ ანარმოეს 258000 ტონა ჩაი. ექსპორტზე გავიდა 234000 ანუ 22% მსოფლიო ექსპორტისა.

ამ ქვეყნის ჩაისათვის მყარი ბაზარია ყოფილი სსრკ-ის ქვეყნები, სირია იორდანია, ემირატები, ირანი.

შრი- ლანკის ჩაი უფრო მუქია, დარჯილინგის ჩაისთან შედარებით და მსუბუქია, ვიდრე ასამისა,

აქ აღინიშნება ნიადაგისა და ჰავის კეთლგავლენა ჩაის გავ-
რცელება- განვითარებისათვის. კლიმატისათვის დამახასიათე-
ბელია დიდი ნაირგვარობა.

კუნძულის ორი მესამედი ღებულობს ტენის ძირითად ნა-
ნილს მხოლოდ ერთი მუსონიდან, ამიტომ გასაკვირი არაა ამ რა-
ონებისათვის გვალვის არსებობა.

კუნძულის დანარჩენი რაიონები იმყოფება ორი მუსონის
გავლენის ზონაში და მდიდრია მცენარეულობით.

არის დამახასიათებელი გარემოება ამ კუნძულზე ჩაის გარ-
ცელებისათვის, რაც განპირობებულია მათი ხელსაყრელობით
ჩაის კულტურისათვის.

პლანტაციების უმეტესობა აქ განლაგებულია ზღვის დონი-
დან 800 მეტრზე და ისინი განლაგებულია ციცაბო ფერდობებზე.

პლანტაციების სამრეწველო ფართობები განლაგებულია
ცენტრალურ პროვინციებში- მთიანი მასივის ცენტრში. მეჩაიეო-
ბის ძირითადი ცენტრებია: კანდი, ნუვარა, ელია, ბადურა და სხვა.

ნიადაგები კლიმატური ნიშნების მიხედვით ორი კლასისაა-
ტენიანი და მშრალი.

ჩაის ის ძირითადი ფორმები და ჯიშები, რაც აქ გავრცელე-
ბულია და რომელთაც საწარმოო დატვირთვა აქვთ, ღირებუ-
ლია და მნიშვნელოვანია ამ ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ცეილონის ჩაი ჰიბრიდული ნარმოშობისაა, რომელიც უფრო
უახლოვდება ასამის ჩაის.

ამ ჯიშის მცენარეებისათვის დამახასიათებელია კარგი გან-
ვითარება.

ჯიშის მცენარეებისათვის დამახასიათებელია უფრო დიდი
ზომის ფოთლების განვითარება, ვიდრე ჩინური ჩაისათვის.

ის, როგორც დამოუკიდებელი ჯიში, ბუნებრივია, მისი მა-
ხასიათებლებით გამოირჩევა, მაგრამ თავი ვერ დააღწია სახე-
ობის მთლიან იზოლირებას და აღენიშნება ნათესაური კავში-
რი ჩინურ ფორმებთან. ფენოტიპური ნიშნებიდან გამოიყოფა
ფოთლის ნიშნები. კერძოდ, ესაა ფოთლის უხეშობა და სუსტად
გამოხატული დაძარღვა.

ცეილონის ჰიბრიდების ჩაისათვის დამახასიათებელია ფო-
თლის საშუალო ზომის განვითარება- 10,0-14,0 სმ სიგრძე და
4-0,5,0 სმ სიგანე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ცეილონის ჩაი -Thea Sinensis და
Thea Assamica -ს სახეობებს შორის ბუნებრივი ჰიბრიდია. საქარ-
თველოში მას ინდო-ჩინურ ჩაისაც უწოდებენ.

ამ სახეობის ჩაის ბუჩქები სიმაღლეში აღწევენ 3-4 მეტრს.
სასიათდებიან პატარა შტამბით. აქვთ გაშლილი ტოტები.

ფოთლის სიდიდე და ფირფიტა ტიპურ ცეილონის ჰიბრიდს
მოგვაგონებს.

ინდო-ჩინურ ჩაის საქართველოში გავრცელების მასშტაბე-
ბის მიხედვით მეოთხე პოზიცია ეკავა.

ჩაი ცეილონში ძირითადად თესლით მრავლდება.

საინტერესო ისტორია აქვს ჩაის მეთესლეობის განვითარე-
ბას ამ ქვეყანაში.

XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება ფოთოლსაკრეფი
პლანტაციების გადაყვანა სათესლებად, რადგან ჯიშური თვი-
სებების შენარჩუნებას ყურადღება არ ექცეოდა.

შემდეგ დაიწყეს სპეციალური სათესლე პლანტაციების გა-
შენება. აქ, მიღებულია მცენარეთა გაადგილება კვების არით-
3,5x3,5 და 4,4 x4,5 მეტრზე.

კვების ასეთი არე და მცენარეთა ნორმალური მოვლა უზ-
რუნველყოფს მცენარეთა მიღებას 4-5 მეტრი სიმაღლისათ-
ვის, ვარჯის დიამეტრით-3-4 მეტრი.

ცეილონსა და ინდოეთში პრაქტიკაშია უფრო დიდი მცენა-
რების მისაღებად ცენტრალური ლეროს შეკვეცა.

სათესლედ მიჩნეული მცენარეები ცეილონში ყვავილობენ
მთელი წლის განვავლობაში, მაგრამ ყველაზე პროდუქტიული
პერიოდია- დეკემბრიდან- მარტამდე.

თესლიც მწიფდება მთელი წლის განვალობაში და აგროვე-
ბენ მას მომწიფების კვალობაზე.

შრი-ლანკაში სათესლე პლანტაციის მოსავლიანობა ერთ
ჰექტარზე შეადგენს-2,5- 3,0 ტონას.

კვების არით- 2x 2 მეტრზე ჰექტარზე თავსდება 2500 მცენა- რე. მცენარეთა სიმაღლის ზრდის კვალობაზე მას გამოხშირავენ და რჩება საბოლოოდ -625 ან 400 მცენარე.

პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის დინამიკა ამ ქვე- ყანაში ასეთ სურათს გვაძლევს:

1983-1985 წლები -წარმოება 300000 ტონა, ექსპორტი- 187000 ტონა;

1993-1995 წელი -წარმოება- 240000 ტონა, ექსპორტი- 222000 ტონა;

2005- 2008 წელი-წარმოება- 285000 ტონა, ექსპორტი- 263000 ტონა;

ბოლო დროს ჩაის ექსპორტი იზრდება შრი- ლანკადანაც. ჩაის წარმოებისა და ექსპორტის სამი პერიოდის მონაცემებით ჩაის წარმოება შრი- ლანკაში 85 ათასი ტონით გაიზრდება.

არის სხვა მონაცემებიც, სადაც უთითებენ, რომ პროდუქ- ციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება შრი- ლანკადან -76000 ტონის რაოდენობით.

მოუმზადებელმა რეფორმამ ამ ქვეყანაში დარგი ძლიერ და- აზარალა, თუმცა სახელმწიფოს ძალისხმევით მაღლე გამოსწორ- და. ჩაის საწარმოების მოუმზადებლად განკერძოების შედეგად მეჩაიერბა დალუპვის პირას მივიდა, რის გამოც სახელმწიფო იძულებული შეიქნა მოეხდინა მათი ნაციონალიზაცია და ემარ- თა იგი, როგორც სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული დარგი, ხოლო აღორძინების შემდეგ, ისევ დაეწყო პრივატიზების ხელა- ხალი პროცესი.

შრი- ლანკაში პრივატიზებული ჩაის პლანტაციები და ფაბ- რიკები სახელმწიფომ უკან გამოისყიდა, აღადგინა წესრიგი, და- აწესა კერძო მენარმეების შემზღვდავი რეგულაციები და ისევ გაყიდა კერძო პირებზე.

კენია

აფრიკაში ჩაის ყველაზე დიდი მწარმოებელი და ესქპორ- ტიორია კენია. ჩაის წარმოების კულტურა მათ მიიღეს ინგლისე- ლებისაგან, რომელთაც 1903 წელს აქ გააშენეს ასამის ჩაი. შემ- დგომ, აქაური გლეხობის თაოსნობით გაჩნდა ჩაის ნარგაობები კერიჩოსა და ნანდის რაიონებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისელებმა აქ დააფუძნეს ჩაის წარმოება, მაგრამ მიმდინარობდა ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ,რაც წარმატებით დასრულდა 1964 წელს.

ამავე წელს დაფუძნდა ჩაის საქმის განვითარების სამმართველო კენიაში და ყავის წარმოების პარალელურად ის მთავარ პრიორიტეტად იქცა. ის ეყრდნობოდა ქვეყნად წვრილ მენარმეებს და იზრდებოდა სწრაფად.

1964 წლიდან ჩაის საქმით დაკავდა 20.000- მდე ჩაის მწარმოებელი წვრილი საწარმო, საერთო ფართით ჩაისა 4,4 ჰა.

90-იანი წლების ბოლოსათვის კენიაში უკვე იყო 270 წვრილი მეურნეობა და 889.000 ჰექტარი პლანტაცია.

თუკი 60-იანი წლებში მუშაობდა ჩაის მხოლოდ ერთი ფაბრიკა, 90-იანი წლებისათვის მან შეადგინა 44 ერთეული და ამუშავებდნენ ისინი 13 რაიონის პროდუქციას.

მეჩაიერების ძირითადი რაიონი აქ არის კენიის მთიანეთი, რომელიც ზღვის დონიდან 1600-3000 მეტრზეა განლაგებული.

წვიმების სიუხვე, რომელიც ვიქტორიის ტბის სიახლოვით რეგულირდება, ხელს უწყობს აქ ხარისხიანი ჩაის მიღებას.

საუკეთესოდ ითვლება იანვრის თვის მოსავალი. აგრეთვე კარგია თებერვლისა და ივლისისაც.

კენიაში უზრუნველყოფილია ჩაის ხარისხიანი და სტაბილური მოსავლის მიღება.

კენიური წარმოების ჩაი,,ორთოდოქსი“ და CTC, რომელიც შეიცავს ჩაის გაუშლელი ფოთლების ფრაქციას, დიდი მოთხოვნით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე.

კენიის ჩაი იყიდება მომბასისა და ლონდონის აუქციონების მეშვეობით. მისი ძირითადი პარტიები იყიდება ინგლისში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, იაპონიაში. დიდი მოწონებით სარგებლობს ჩაი, კენიური ჩაის კუპაჟით.

დღეისათვის კენიის ჩაის საბჭო კოორდინაციას უწევს 270000 წვილ მენარმეებს ,რომლებიც ჩაის მოყვანით არიან დაკავებულნი 110000 ჰექტარზე.

კენიაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩაის წარმოებითაა დაკავებული 2 მილიონი ადამიანი.

ჩაის წარმოების მოცულობა ამ ქვეყანაში შეადგენს 240000 ტონას.

დიდი მთავარი დაბლობის (რიფტის) ორივე მხარეს განლა-
გებულია მთავარი მასივები ჩაის პლანტაციებისა.

აქ, სამხრეთ დასავლეთში, „ჩაის დედაქალაქ“ კერიჩოში, 1500-2800 მეტრზე ზღვის დონიდან, ბუნებამ შექმნა ჩაის ვეგეტა-
ციისათვის შესანიშნავი პირობები. თბილი წვიმები და ჰაერის მაღ-
ლი ტენიანობა (ტბა-ვიქტორიას ახლომდებარეობის გამო) ხელს
უწყობს ჩაის ვეგეტაციას მთელი წლის განმავლობაში. მას იღებენ
მთელი წლის განმავლობაში, ყოველი 17 დღის გავლის შემდეგ.

ჩაის სულ უფრო მზარდი ხარისხი კენიური ჩაის ავტორიტე-
ტად იქცა.

1966 წელს კენიამ გაუსწრო შრი- ლანკას ჩაის ექსპორტით.
მან ანარმოა 257,4 მლნ. კგ ჩაი და ექსპორტზე გაიტანა-244,5 მლნ
კგ ჩაი.

კენიის ჩაი ძირითადად იწარმოება CTC ტექნოლოგიით, ხო-
ლო ტრადიციული ტექნოლოგიის წილი ჩაის გადამუშავებაში
უმნიშვნელოა.

კენია იკავებს მესამე ადგილს შავი ჩაის წარმოების მოცუ-
ლობით- ინდონეზიისა და შრი-ლანკას შემდეგ.

ჩაი ამ სახელმწიფოს აძლევს 28%-ს საექსპორტო მოგებისა.
მისი ძირითადი კლიენტებია: ინგლისი, ეგვიპტე, პაკისტანი, კა-
ნადა პოლანდია.

კენიური ჩაი გვაგონებს ასამისას. იძლევა მოწითალო ოქ-
როსფერ ნაყენს, ჰარმონიული გემოთი.

მზა პროდუქციის წარმოება -ექსპორტის დინამიკა ამ ქვეყა-
ნაში ასეთი სახისაა: 1983-1985 წლები -წარმოება 128000 ტონა, ექ-
სპორტი-106000 ტონა;

1993-1995 წელი -წარმოება-222000 ტონა, ექსპორტი-203000 ტონა;

2005- 2008 წელი-წარმოება-300000 ტონა, ექსპორტი-176000 ტონა;

ჩაის წარმოებისა და ექსპორტის სამი პერიოდის მონაცემე-
ბით, ჩაის წარმოება კენიაში 172 ათასი ტონით გაიზარდა.

პროდუქციის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება
კენიიდან -170000 ტონის რაოდენობით.

მეჩიაიობის დარგის ყველაზე ცნობილი ექსპერტების მონაცემებით, ჩაის ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა მოხდება იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც მისი მოხმარება, პროდუქციის წარმოებასთან შედარებით მცირეა.

ასეთი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის კენიაც, რომელიც მსოფლიოში ჩაის ყველაზე დიდი ექსპორტიორია.

კენიაში ჩაის პლანტაციების გაშენების სამუშაოებს სახელმწიფო აფინანსებს.

ამ ქვეყანაშიც ყალიბდება ჩაიზე მოთხოვნილების ზრდის ტენდენცია.

ნიშანდობლივია, რომ ჩაის ექსპორტში დაწინაურების გარდა იქნება დარგის განვითარების პერსპექტივებიც, რომელიც უპირატესად სახელმწიფოს მიერაა მხარდაჭერილი.

1.4.-ქართული მეჩიაიობა

ძვირფასი საგემოვნო და პროფილაქტიკური თვისებების გამოჩაის კულტურა ჩინეთის ნაციონალური სასმელი გახდა და გასცდა მის ფარგლებს - იქცა რა საერთაშორისო ვაჭრობის საგნად.

ჩაის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აშენებენ, სადაც კი ამ მცენარისათვის საჭირო ნიადაგურ-კლიმატური პირობები არსებობს.

ძირიდადი მახასიათებელი, რამაც ამ მცენარის ნედლეულით მოსახლეობის ცხოველი დაინტერესება გამოიწვია, არის მასში ალკალიდების სასარგებლო ჯგუფის არსებობა, რომელიც აღადგენს ენერგიას, ხსნის დაღლილობას, სასარგებლოდ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ხსნის თავის ტკივილს, სასარგებლოდ მოქმედებს ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებზე.

ჩაის ღირსებები განპირობებულია მისი ბიოქიმიური მაჩვენებლებით. მასში კოფეინის შემცველობა -2,3-5 %ია. ტანინის შემცველობა მწვანე ჩაიში 20-30%-ია, შავში კი-15-18%. რაც შეეხება პოლისაქარიდებსა და ცილებს, მათი შემცველობა შესაბამისად-10-12 და 19-20%-ია.

თანამედროვე ბიოქიმია აფიქსირებს ჩაის მზა პროდუქციაში მნიშვნელოვანი შენაერთისა და ელემენტის არსებობას. ესე-

ნია-ეთეროვანი ზეთები, ალკალინიდები, ცილოვანი ნივთიერებები, კოფეინი, ვიტამინები, პიგმენტები, ფერმენტები, მიკრო და მაკროელემენტები და მრავალი სხვა.

საინტერესოა ამ კულტურის ნაყენში შემავალი კომპონენტების ურთიერთშეხამება იმ ბიოლოგიური კომპლექსის შესაქმნელად, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება.

ჩამოთვლილი და სხვა თვისებების გამო ჩაიმ მსოფლიოში დაიმკვიდრა სახალხო სასმელის სახელი.

ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო ჩაის წარმოებით პირველ პოზიციაზე იყო. დარგი დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი იყო და დიდი ადგილი ეკავა სახალხო მეურნეობაში.

საქართველოში მეჩაიერბა, სახელმწიფოს ძალისხმევით, მოკლე პერიოდში იქცა ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ინდუსტრიულ დარგად.

მეჩაიერბა წარმოების პროცესის თავისებურებების გათვალისწინებით წარმოადგენს დარგს, რომელიც ყველაზე მეტად ასაქმებს ხალხს და ინტეგრირებული წარმოების პროცესში შესაძლებელს ხდის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მიღებას.

ჩაის კულტურას უდიდესი დამსახურება მიუძღვის საქართველოს აყვავებაში. ჩაი ქართველი ხალხის სიამაყედ იქცა. იგი მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მემცენარეობიდან მიღებული შემოსავლის **49,3%** ჩაიზე მოდიოდა, რაც საგრძნობლად მაღალი იყო ყველა დანარჩენი შრომატევადი და მაღალ-შემოსავლიანი კულტურებიდან მიღებულ შემოსავალთან შედარებით.

საქართველო მეჩაიერბის ყველაზე ჩრდილოეთი ქვეყანაა. მიუხედავად ამისა, ქართული ჩაი გამოირჩევა მისთვის დამასასიათებელი განსხვავებული თვისებებით, რასაც ქართველი მეცნიერები დღისა და ღამის ტემპერატურას შორის დიდი სხვაობით ხსნიან.

საქართველოში ჩაის ბუჩქებს, განსხვავებით მეჩაიეობის კლასიკური ქვეყნებისაგან, არ სჭირდებათ მავნებლებისა და და-ავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად ქიმიური საშუალებების მრავალჯერ გამოყენება. ქართული მეჩაიეობა იმითაცაა განსხვავებული, რომ კლიმატური პირობების გამო ჩაი ექვსი თვის განმავლობაში იკრიფება.

ჩაის ბუჩქი, რომლის ფესვებიც ღრმად ჩადის ნიადაგში, იცავს მას წყლისმიერი ეროზისაგან.

მცენარის გაშენებას ფერდობებზე გარკვეული რისკიც ახ-ლდა-ეროზიული პროცესების შესაძლო გააქტიურების გამო.

პრაქტიკაში საწინააღმდეგო დაადასტურა, ოღონდ საჭირო იყო გარკვეული პირობების დაცვა - უნდა გაეშენებინათ ჩაი ფერდობებზე გარდიგარდმო - შპალერული წესით.

ჩაის პლანტაციების უმრავლესობა გაშენებულია გორაკ-ბორცვიან ადგილებში. ჩვენთან პლანტაციების ფართის საერთო რაოდენობიდან 26 ათასი ჰა (40%), გაშენებულია ვაკე და 8 გრა-დუსამდე დაქანებულ ფერდობებზე, 8 და 20 გრადუსს შორის იყო 20 ათასი ჰექტარი ანუ-33,0%, 20 გრადუსზე ზემოთ გაშენებული იყო - 20,4 ათასი ჰა პლანტაცია, ანუ საერთო რაოდენობის 27%.

ამრიგად, 66,7 ათასი ჰექტარი ფართობიდან 40,4 ათასი ჰა ანუ 60%, 8-30 გრადუსი ქანობის ფერდზეა.

70-იან წლებში საქართველოში ფაქტობრივად ამოინურა ჩა-ის გასაშენებლად ვარგისი ფართობები.

მეჩაიეობასა და მის მომსახურე დარგებში დასაქმებული იყო 180 ათასზე მეტი ადამიანი. ჩაი ოჯახების, რაიონების, სა-ხელმწიფოს ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარ-მოადგენდა. მეჩაიეობა საზოგადოებრივ მეურნეობებში, მაღა-ლი შემოსავლიანობის გამო, სხვა დარგების მიმართ ლოკომო-ტივის როლს ასრულებდა.

მას სოციალური დარგის სტატუსი ჰქონდა.

უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ისიც, რომ სხვა კულ-ტურების გაშენება იქ, სადაც ჩაია გაშენებული, შეზღუდულია ნიადაგის მაღალი მუავიანობის გამო.

საინტერესოა აგრეთვე ჩაის მცენარე, როგორც ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების გარანტი.

ხანგრძლივი განოყიერებით ჩაის პლანტაციაში იზრდება მიკროფლორული აქტივობა. ასეთ პლანტაციებში გაცილებით მეტია სასარგებლო მიკროფლორა, ვიდრე ჩვეულებრივ ყამირზე ან გაეწრებულ ნიადაგში.

ჩაის მცენარის ქვეშ ნიადაგი ნაკლებად განიცდის ფიზიკო-ქიმიურ ცვლილებებს - ნორმაშია ტენისა და ტემპერატურის მაჩვენებლები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ჩაის კულტურა იძენს ეკოლოგიურ მნიშვნელობასაც. ეს კი დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ- ეკოლოგიურ პირობებს უნდა დაუკავშირდეს.

საქართველოში მეჩაიერობა ეკონომიკური შედეგების გამო მაღე გახდა პოპულარული. ჩაის ინტენსიური გაშენება სახელმწიფოს ინიციატივითა და ეკონომიკური წახალისების გამოყენებით დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში. წელიწადში საშუალოდ 7,5 ათასი ჰექტარი შენდებოდა. 1940 წელს ჩაის ნარგაობამ 47, ხოლო 1985 წელს - 67,7 ათასი ჰექტარი შეადგინა. ჩაის პირველადი ფაბრიკების რიცხვი შესაბამისად - 37 და 79 იყო.

ჩვენთან ძირითადად ჩაის ჩინური ჯიშები შენდებოდა. ქართულ სელექციურ ჯიშებს საერთო ფართობის 20-22% ეკავა.

მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ წახევარში(1638) რუსეთის მეფის სასახლე გაეცნო ჩაის, როგორც სასმელს. მეთვრამეტე საუკუნეში კი ჩაი იყიდებოდა მოსკოვის სავაჭროებში.

მზა ჩაისათვის რუსეთის იმდროინდელი მთავრობა დიდალ ფულს ხარჯავდა- შემოჰქონდათ რა ყოველ წელს დიდი რაოდენობით ჩაი.

პირველსაწყისად შესყიდვა ხდებოდა გაცვლითი სახით. ფულზე შესყიდვა ჩაისა გვიან დაიწყეს.

ლიტერატურაში რუსეთის ტერიტორიაზე ჩაის შემოტანის საწყისად მიჩნეულია 1815 წელი. ეს ის დროა, როცა ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში დარგეს ვილმორენების (პარიზი) ფირმიდან მიღებული მცენარეები. ეს ცდა იყო უშედეგო, რადგან მცენარეები

დაიღუპნენ და განმეორებით შემოიტანეს 1833 წელს. ჩინეთიდან მიღებული ნერგები მაინც ვერ დამკვიდრდა იქ.

ჩაის პირველი ბუჩქები საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემოიტანეს გამოსაცდელად, ხოლო სამრეწველო პლანტაციების გაშენება გასული საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო.

საქართველოში საწარმოო გავრცელება აქვს ჩინური ჩაის ორ სახესხვაობას - ჩინურსა და იაპონურს, ხოლო სელექციაში იყენებენ ასამის სახესხვაობიდან - მანიპურსა და ცეილონის ჰიბრიდებს.

როგორც მივუთითეთ, ჩაის მცენარის სამშობლოდ ჩინეთი ითვლება. მისი გენიალოგია აქ უკავშირდება სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის მაღალმთიან რაიონებს: იუნანს, სიჩუანს, გუიჯოუსა და სხვა პროვინციებს.

საქართველოში ჩაის მოხმარების საწყისად მკვლევარები მე-16-18 საუკუნეებს მიიჩნევენ, რადგან ამ პერიოდში იწყება სავაჭრო ურთიერთობა ინდოეთთან.

ჩვენთან ჩაის მცენარის შემოტანის საწყისად- 1815 წელი ითვლება (ნიკიტის ბოტანიკური ბაღი).

საქართველოში ჩაის მცენარის შემოტანის პერიოდ-ად რამდენიმე თარიღია დასახელებული ლიტერატურაში - 1830, 1833, 1842, 1845, 1848 წელი.

ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში დაცული შრომების მიხედვით ჩაის ნერგი ნიკიტის ბოტანიკური ბაღიდან შემოიტანა სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა - 1842 წელს, ხოლო 1847 წელს კი ჩაის რამდენიმე სახესხვაობა გაუგზავნიათ ოზურგეთის სააკლიმატიზაციო სადგურში, სადაც მათ კარგად იხარეს.

აღნიშნული სადგურიდან ჩაის ნერგები გადაუტანიათ 1857 წელს - გორაბერეჟოულში (ჩოხატაურის რაიონი) - მიხეილ ერის-თავის ბაღში.

სოხუმის ბოტანიკური ბაღიდან 1840-49 წლებში ნერგები წაუღიათ ზუგდიდში-დავით დადიანის ბაღში.

საქართველოში ჩაის კულტურის პერსპექტივებზე ყველაზე სწორი, პირველი დასკვნა მოგვცა მიხეილ ერისთავმა - 1860

წელს. მანვე საკუთარი წარმოების ჩაის ნიმუშები წარადგინა პეტერბურგში -რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე -1861,1862,1863 წლებში და თბილისში - კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში -1862,1863,1864 წლებში.

ქართული ჩაის დამზადების შემდეგი ცდა ეკუთვნის გამოჩენილ რუს მეცნიერს - ა. ბუტლეროვს -1885 წელს და ა. სოლოვ-ცოვს -1890 წელს, ჩაქვში მიღებული ნედლეულიდან.

1899 წელს საუფლისწულო მამულის ჩაის ფაბრიკამ პირველი პროდუქცია გამოუშვა.

1900 წელს ქართულმა ჩაიმ მსოფლიო გამოფენაზე პარიზში ოქროს მედალი დაიმსახურა.

1872 წელს საქართველოში, კავკასიის სასოფლო- სამეურნეო საზოგადოების მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა სააქციონერო ამხანაგობა, რომელმაც კალკუტიდან მოიწვია ჩაის ცნობილი სპეციალისტი -ვალტერ ლაიელი. მან, თან ჩამოიტანა ჩაის რამდენიმე სახეობისა და ფორმის თესლი და ნერგები.

საქართველოში ჩაის პლანტაციის გაშენების პარალელურად ეწყობა ნედლეულის გადამამუშავებელი პატარა ქარხანა -სალიბაურში.

ჩვენში ჩაის ფართობების გაზრდით დაინტერესდა საუფლისწულო უწყება და მისი სახსრებით 1895-96 წლებში მოეწყო ექსპედიცია პროფესორ ა. კრასნოვისა და აგრონომ ი. კლინგენის ხელმძღვანელობით - ინდოეთში, შრი-ლანკაზე, ჩინეთსა და იაპონიაში. ექსპედიციამ, სხვა კულტურებთან ერთად, ჩამოიტანა 6000 ცალი ჩაის ნერგი და რამდენიმე ტონა თესლი. ნერგები დარგეს და თესლი დათესეს ჩაქვში - საუფლისწულო მამულში. ნელი ტემპით, მაგრამ მაინც გაიზარდა ჩაის პლანტაციის ფართობი საუფლისწულო მამულში და მან - 546 ჰექტარს მიაღწია.

საქართველოში მეჩაიერების დარგში დიდი დამსახურება მიუძღვის ერმილე ნაკაშიძეს, რომელიც 1896 -1905 წლებში მუშაობდა მიწათმოქმედების დეპარტამენტში - აგრონომ -ინსპექტორად და ხელმძღვანელობდა ჩაის გავრცელებას საქართველოში, ხოლო 1905 წლიდან მუშაობდა ოზურგეთის საცდელ სადგურში.

ამ სადგურის ბაზაზე 1930 წელს შეიქმნა სრულიად საკავ-შირო სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც ფასდაუ-დებელი როლი შეასრულა ჩაისა და სხვა სუბრტოპიკული კულ-ტურების კვლევის, ნარმოებაში დანერგვისა და პოპულარიზა-ციის საქმეში - საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი სსრკ - ახალი რაიონი იყო მაჩაიერობისა მსოფლიოში - მან პირველი ადგილი დაიკავა ჩაის კულტურის აგროტექნიკის, სელექციის, მექანიზაციისა და ტექ-ნოლოგიის დამუშავების საქმეში.

საქართველოში მეჩაიერობის პირველი მძღავრი მეურნეობა შეიქმნა ჩაქვის ბაზაზე - 1893 წელს. ამ მეურნეობის ბაზაზე იყო აგრეთვე სხვა სუბტროპიკული კულტურებიც.

ჩაის კულტურის გავრცელებისა და მეურნეობრიობის აღმავ-ლობა უკავშირდება მეოცე საუკუნის 30-იანი წლების დამდეგს.

უფრო ადრე, 30-იან წლებამდე, შეიქმნა აქციონერული სა-ზოგადოება-„ქართული ჩაი“. საზოგადოებას ძალზე დიდი ფუ-ლადი სახსრები გამოიყო ჩაის კულტურის განვითარებისათვის.

შემდგომ წლებში დასახელებულმა საზოგადოებამ ტრან-სფორმირება განიცადა ორჯერ და გადაკეთდა საკავშირო გა-ერთიანებად(1931), ხოლო გვიან- იმავე სახელდების საკავშირო ტრესტად.

შემდგომ, მართვის სრულყოფისა და საქმიანობის კონკრე-ტიზების მიზნით, ტრესტი-„საქართველოს ჩაი“ გაიყო ორ ტრეს-ტად: „ჩაის მეურნეობების ტრესტად“ და ტრესტად - „საქართ-ველოს ჩაი“. ეს უკანასკნელი მოწოდებული იყო გადამამუშავე-ბელი სისტემის სრულყოფისათვის.

ყოფილი სსრკ-ის ჩაის მრეწველობის ორ რეგიონში - კრას-ნოდარის მხარესა და აზერბაიჯანშიც შეიქმნა მსგავსი ორგა-ნიზაციები.

ჩაის კულტურის გაფართოების სტიმულირების მიზნით მთავრობის მიერ ხორციელდებოდა სერიოზული ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა. გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი(გრძელვადიანი სესხები გლეხობისათვის, წამახა-

ლისებელი ღონისძიებანი, უფასო აგრონომიული მომსახურება, თესლითა და სასურსათო პროდუქტებით მომარაგება) ამისი ნა-თელი მაგალითია.

საქართველოში ფართოდ გაჩაღდა ჩაის სპეციალიზებული მეურნეობების ორგანიზება. სულ რაღაც მცირე ხნის მანძილ-ზე(1927-32) 13 მსხვილი მეურნეობა გაჩნდა (ოჩხამური, ნასაკი-რალი, აჩიგვარა, ლაითური, ხეცერა, წალენჯიხა, მოქვი და სხვა).

განსხვავებული იყო მიდგომა მათი ფუნქციონირებისადმი, რაც დარგის შემდგომი წარმატებული განვითარების გარანტი გახდა.

პირველსაწყისად ორიენტირი აიღეს ვიწრო დარგობრივ პრიციპზე, ხოლო შემდგომ, გზა დაუთმეს ძირითად დარგებ-თან ერთად, დამხმარე დარგებისა და დამატებითი ხასიათის სა-მეურნეო წამოწყებების მშენებლობას.

დარგის გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა სათესლე მასალით უზრუნველყოფის საკითხი. მის სასწარაფო და ეფექ-ტურ გადაჭრაზე დიდად იყო დამოკიდებული დარგის შემდგომი წარმატებული ფუნქციონირება.

დროებითი სათესლე დანიშნულების მეურნეობებად გადა-კეთდა ამ მიზნით სალიბაურისა და ჩაქვის ჩაის საფოთლე და-ნიშნულების მეურნეობები.

გატარდა ღონისძიებები სათესლე მასალით მეურნეობების უკეთ უზრუნველყოფისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა რი-გი მეურნეობების ფარგლებში ჯიშური სათესლეების მოწყობა. იმხანად ასეთი სათესლეების საერთო ფართობი 310 ჰექტარზე მეტს შეადგენდა.

მიხედავად იმისა, რომ ამ გზაზე ქმედითი ღონისძიებები ტარდებოდა, სათესლე მასალით უზრუნველყოფა ბოლომდე მაინც ვერ ხერხდებოდა და სახელმწიფოს უხდებოდა დამატე-ბითი ხარჯების გაღება საზღვარგარეთიდან (ჩინეთი, იაპონია) თესლის შემოტანისათვის.

დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში თან-დათან გაფართოვდა ჩაის გავრცელების არეალი და იგი გასცდა აჭარა- გურიის ფარგლებს (სამეგრელო, აფხაზეთი, იმერეთი).

ბუნებრივია, ჩაის წარმოების ასეთი რეგიონების შემომატებამ დამატებითი შემოსავლების წყარო გააჩინა საქართველოში.

საქართველოში ჩაის ფართოებების ზრდა მიმდინარეობდა თანდათან, გარკვეული კანონზომიერებით, იმ ანგარიშით, რომ გაზრდილიყო დარგის ეფექტურობა.

საქართველოში ჩაის ფართოებების რაოდენობაზე, საერთო მოსავალსა და მოსავლიანობაზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილიN5.

ცხრილიN5.

ნარგაობების ფართოებები, ჩაის საერთო მოსავალი და
საშუალო მოსავლიანობა 1913-1975 წლებში

წლები	პლანტა-ციის ფარ-თობი (ათასი ჰა)	საერ-თო მოსა-ვალი, ტონა	საშუალო საპექტარო მოსავლია-ნობა,კგ.
1913	0,9	550	610
1917	1,0	420	-
1921	1,0	550	540
1922	1,2	950	790
1928	35	1,060	-
1932	25,5	1,600	-
1936	37,2	15700	2060
1940	49,6	51,300	2290
1950	48,6	83,700	2080
1960	55,6	156,800	3190
1965	62,6	186,100	3660
1968	63,1	216,200	4130
1969	63,2	231,600	4390
1970	64,8	258,900	4750

1971	65,6	265,900	4830
1972	66,7	276,000	4830
1973	66,7	290,000	5000
1974	66,3	312,000	5300
1975	66,5	335,000	5500

X ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით.

გადამამუშავებელი მრეწველობა ერთ-ერთ გადამწყვეტი როლს თამაშობდა დარგის განვითარების გზაზე. ჩაის ფაბრიკების რიცხობრივ ზრდას თან სდევდა მათი შეიარაღების სრულყოფა და ტექნოლოგიური ხაზების წარმადობის დახვეწა.

ახალი ფაბრიკების მშენებლობა საქართველოს მეჩაიერისათვის დაიწყო 1926 წელს. ამ პერიოდისათვის ფაბრიკების მშენებლობით გამოირჩა გურიის რეგიონი. 1926 წლით თარიღდება შრომისა და აცანის ჩაის ფაბრიკების ექსპლუატაციაში შესვლა.

უფრო გვიან, 1927 წელს, აჭარაში ამოქმედდა ბობოყვათის ჩაის ფაბრიკა. შედარებით უფრო გვიანდელი პერიოდისაა (1930) ჩაქვის, ზუგდიდისა და გალის ფაბრიკები, აგრეთვე ნატანების ჩაის ფაბრიკაც.

1930 წლის დამდეგისათვის საქართველოში ჩაის ფაბრიკების საერთო რაოდენობა შეადგენდა 10-ს.

რაც შეეხება პერიოდს 1932 წლისათვის, ამ დროისათვის პირველადი ჩაის ფაბრიკების რაოდენობა იყო-14. საგრძნობლად გაიზარდა წარმადობის ფონზე ფაბრიკების რაოდენობა სულ რაღაც ხუთიოდე წლის განმავლობაში და შეადგინა 36 ერთეული (1937). მათ რიცხვში შედიოდა ანასეულისა და ჩაქვის ჩაის საწნეხი ფაბრიკებიც.

სახელმწიფოს მზუნველობით ყველაფერი კეთდებოდა ნაკვეთების ბიოპროდუქტიულობის გაზრდისათვის, რაც ბუნებრივია, მზა პროდუქციის რაოდენობის გაზრდაზეც პირდაპირ მოქ-

მედებდა. გადამამუშავებელი მრეწველობის სინქრონული მუშაობა უზრუნველყოფდა მოსავლის უდანაკარგოდ გადამუშავებას.

ახალი მოთხოვნები ახალ გამოწვევებს კარნახობდა. უახლესი პერიოდისათვის (1940 წლამდე) ნავარაუდევი იყო 11 ახალი ფაბრიკის გაშვება ექსპლუატაციაში. ეს ეხებოდა პირველადი გადამუშავებისა და ზუგდიდის აგურა ჩაის საწნეს ფაბრიკასაც.

ფაბრიკების მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ომის შემდგომ პერიოდში. ახალი რიგის ფაბრიკების მშენებლობა დაიწყო 1943 წლიდან. მანამდე, ლესიჭინესა და კოჩარაში განახლდა დაკონსერვებული მშენებლობები.

1949 წელს გაუშვეს ექსპლუატაციაში კოჩარისა და ინგირის ფაბრიკები. ერთი წლის შემდეგ, 1950 წელს უკვე მოქმედებდა ფაბრიკები მუხაესტატეში, გურიანთაში, ლესიჭინეში.

1951 წელს კი ფაბრიკები მოქმედებდა აჭყვაში, ჭუბურხინჯში, ბახვში, განახლებაში, გუბში, საჯიჯაოში და წალენჯიხაში (მეორე ფაბრიკა).

ყოველი წელიწადი ალინიშნებოდა მატერიალური ბაზის გაუმჯობესებით - ჩაის გადამუშავებისათვის. ესაა პერიოდები 1952- 1954 წლებისა.

1952 წელს მწყობრში ჩადგა ფაბრიკა კინდლში, სენაკსა და ორჯონიკიძეში (ზუგდიდი).

1953 წელს ფაბრიკები მოქმედებდა ხელვაჩაურში, ბაილეთში, ოფურჩეთსა და ზუგდიდში (მეორე ფაბრიკა).

უფრო გვიანდელი პერიოდისაა ოქუმისა (1954) და ჯვარის (1955) ჩაის ფაბრიკები.

მოსავლიანობის ზრდის კვლობაზე უნდა გაზრდილიყო ფაბრიკების მშენებლობა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ასეც მოხდა.

1980 წლისათვის საქართველოში პირველადი გადამუშავების თითქმის ცხრა ათეულამდე ფაბრიკა იყო (88 ერთეული).

ბუნებრივია, დიდი იყო სანარმოო სიმძლავრე, რაც ფაბრიკების წამადობის მაჩვენებელი იყო. წლიური სიმძლავრე 575 ათასი ტონა იყო, სადლელამისო კი-10800 ტონა.

1985 წლისათვის საქართველოში პირველადი გადამუშავების 93 ერთეული ფაბრიკა იყო.

იმ პერიოდისათვის მუშაობდა პირველადი გადამუშავების 32 მიკროფაბრიკა, რომლებიც ნახევარფაბრიკატს ამზადებდნენ. ისინი შენდებოდა უმუალოდ პლანტაციების გვერდით, ნედლეულის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

1990 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 105 ერთეული, 1995 წლისათვის -115, ხოლო 2000 წლისათვის კი-122 ერთეული პირველადი გადამუშავების ფაბრიკის მშენებლობა. საქართველოს ჩაის მრეწველობის სისტემის ფაბრიკების რაოდენობის დინამიკა ასეთ სურათს გვაძლევს (ცხრილი N 6):

ცხრილი N 6
ჩაის ფაბრიკების რაოდენობა საქართველოში

წელი	ფაბრიკების რაოდენობა
1926	5
1930	10
1935	28
1940	35
1955	60
1959	65
1970	73
1972	77
1973	78
1975	82

საინტერესოა წარმოებული მზა ჩაის რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში რაოდენობრივი ზრდა მზა პროდუქციისა, მიმდინარებდა ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდის ხარჯზე. მოგვიანებით, ჩაის ხარისხის მკვეთრი დაცემა განპირობებული იყო სხვა მიზეზებით.

რაც შეეხება წარმოებულ პროდუქციაში პროდუქციის სახეთა წილობრივ რაოდენობას, ის ასე წარმოგვიდგება: 60% -შავი ბაიხის ჩაი, ხოლო 40%- მწვანე ჩაი.

ცხრილი N 7

ჩაის მზა პროდუქციის წარმოების დინამიკა საქართველოში

წელი	მზა პროდუქცია (ათასი ტონა)
1928	0,3
1932	0,5
1937	6,4
1940	11,1
1945	4,5
1950	20,2
1955	28,7
1960	38,2
1965	45,8
1969	57,2
1970	63,9
1972	66,0
1973	70,0
1975	84,0

პერსპექტივაში(70-იანი,80-იანი წლები)გავალისწინებული იყო დარგის განვითარება იმ ანგარშით, რომ ის უფრო ფართოდ განვითარებულიყო და დიდი წვლილი შეეტანა სახალხო მეურნეობაში, ფულადი შემოსავლების გაზრდაში. ორიენტირი კეთდებოდა როგორც ფართობების გაზრდაზე, ასევე მოსავლი-

ანობის გადიდებაზე. ეს უკანასკნელი კი წარმოებაში მონინავე ტექნოლოგიის დანერგვაზე და მოსავლიანი ჯიშების გამოყვანა -დანერგვაზე იყო დამოკიდებული.

სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით საქართველოში იმხანად (1971-85 წლები) ნავარაუდევი იყო პლანტაციების გაშენება 25-26 ათას ჰექტარზე. ამ რაოდენობის ფართობზე პლანტაციების გაშენება დაიყო ეტაპებად, რომელთა განხორციელება შესაძლებელი იყო დიდი წარმატებით. კერძოდ - 6,5 ათასი ჰა უნდა გაშენებულიყო 1971-75 წლებში, ხოლო 1976-80 წლებისათვის უნდა გაშენებულიყო 6,5 ათასი ჰა. განსხვავებული იყო გასაშენებელი ფართობის რაოდენობა 1981-85 წლებში და ის შეადგენდა-12 ათას ჰექტარს. ეს კეთდებოდა იმ ანგარიშით, რომ ჩაის პლანტაციების ფართობებს მიეღწია 1975 წლისათვის 68 ათასი ჰექტარისათვის. 70 ათასამდე უნდა ყოფილიყო 1980 წლისათვის, ხოლო 1985 წლისათვის უნდა გადაეჭარბებინა 82 ათასი ჰექტარისათვის.

კარგი იყო დასახული პერსპექტივებისათვის ხორცის შესხმა, რაც ერთობ წაადგებოდა ჩვენს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას და, ზოგადად, სახალხო მეურნეობასაც.

საბოლოო ანგარიშით ხარისხოვანი ნედლეულის ყოველწლიური წარმოება უნდა გაზრდილიყო 300 ათას ტონამდე.

ძირითადი მასივი, რომელზეც ეს ფართობები უნდა გაშენებულიყო, იყო კოლხეთის დაბლობის ჩაისათვის გამოსადეგი ზონები, სადაც კულტურ-ტექნიკური ღონისძიებების მთელი კასკადი იყო ამუშავებული. ძირითადი ორიენტირი კეთდებოდა ამ დაბლობის მასივებზე - ფართობით-30-40 ათასი ჰექტარი.


საყოველთაო აღნიშვნის ღირსია საქვეყნოდ ცნობილი ქართველი სელექციონერი - აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე, რომელმაც ჩაის ცნობილი ჯიშები გამოიყვანა.

საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს ჩაის პლანტაციებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზებისათვის ქართველი სპეციალისტების მიღწევები.

ქართველი კონსტრუქტორების დიდი მიღწევა იყო ჩაის მექანიზებული წესით საკრეფის მანქანების შექმნა („საქართველო“ და „ჩა-900“), რომელთაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს.



სურ. 1.ჩაის საკრეფი მანქანა-,,საქართველო“



სურ.2. ჩაის საკრეფი მანქანა-,,ჩა-900“

უნდა აღინიშნოს ,რომ შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის ზრუნვა დაიწყო პირველივე დღეებიდან.

1930-40 წლების პერიოდი ხასიათდება საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობის ფართოდ გაშლის პერიოდად.

ჩაის კულტურისათვის მონინავე აგროტექნიკის შემუშავების, ნედლეულის გადამუშავების პროცესების მექანიზებისათვის ქართველი სპეციალისტები შრომას არ იშურებდნენ და მათ მსოფლიოში ანგარიშსაც უწევდნენ.

საწარმოო პროცესების მექანიზაციის პრობლემების გადაჭრით იყვნენ დაკავებულნი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო- საწარმოო გაერთიანება-, „საქსოფლმანქანათმშენი“, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი , ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი და სხვა.

დარგის ცნობილი წარმომადგენლები არიან-პ. სკორინი, კ. ამირაჯიბი, შ. კერესელიძე, ნ. კოსტავა, რ. მახარობლიძე, ნ. გაბუნია და სხვები.

მეჩაიობის დარგი უზრუნველყოფილი იყო სამეცნიერო- კვლევითი, სასწავლო უმაღლესი და სამუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო ლაბორატორიების, საკონსტრუქტორო ბიუროების, მანქანათმშენებელი და სარემონტო ქარხნების, ჩაის გადამამუშავებელი ავტომატიზებული საწარმოების ფართო ქსელით, შრომის ანაზღაურების მოწესრიგებული სისტემით.

ჩაის ფოთლის კრეფის მობილური მანქანების შექმნას წინ მრავალმხრივი მოსამზადებელი პერიოდი უძღვდა.

ჩაის ფოთლის კრეფისათვის მუშახელის დაქირავება და მასთან არსებული სიძნელეები გარკვეული შემაფერხებელი ფაქტორი იყო პლანტაციის ფართობების შემდგომი ზრდისათვის.

ბუნებრივია, პროცესების მექანიზაცია ძალზე ღირებული რამ იყო.

დარგში მომუშავე კონსტრუქტორებისა და სპეციალისტების მთელი არსენალი წარიმართა ამ პროცესების მოგვარებისათვის.

ბუჩქზე არსებული ყლორტების გაუხეშების გამო ამ პრობლემის გადაწყვეტა ადვილი არ იყო.

უნდა აღინიშნოს რომ ფოთლის მექანიზებული კრეფის კონცეფცია წინააღმდეგობას წააწყდა მანამ, სანამ მანქანები შეიქმნებოდა. უფრო მეტიც - ზოგიერთი საერთოდ წინააღმდეგიც კი იყო. არგუმენტად მოსავალში უხეში მასის არსებობას ასახელებდნენ.

შემდგომი წარმატებული ნაბიჯი შერჩევითი კრეფის აპარატის შექმნა იყო. აპარატით კრეფისას ფრაქციები დიდად არ ჩამორჩებოდა ხელით ნაკრეფ პარტიას. მართალია, მასში იყო უხეში და არასაკმარისი ხარისხის ფოთლების მასა.

დღის წესრიგში დადგა მექანიზებული კრეფის წარმადობის საკითხი. ამ დროს, კრეფის პროცესის დამთავრების შემდეგ, ბუჩქებზე რჩებოდა მოუკრეფავი მასის გარკვეული რაოდენობა, რაც ზოგჯერ 35-45% იყო.

კრეფის მექანიზაციის პროცესმა გარკვეული დონით იმოქმედა მოსავლიანობაზე და დადგინდა, რომ მექანიზებული წესით კრეფისას მოსავლიანობის კლება აღინიშნა 15-39%-ით. ეს უკანასკნელი მცენარის რეგენერაციის პროცესის კლებას უნდა მიეწეროს, მოსავლის მექანიზებული კრეფის პროცესში.

იმ დროს აზრი ისეთი იყო, რომ იმ ეტაპისათვის მექანიზებულ კრეფის მაჩვენებლები არ იყო შტამპეჭდავი და გამორიცხავდა მექანიზებული კრეფის გაფართოებას.

ამ აზრის მიმდევრების მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ მანქანის გამოყენების შემდეგ, წარმოება იძულებული იყო დამატებით გამოეყენებინა ხელით შრომა.

გრძელდებოდა კვლევა-ძიება ამ საკითხების მოსაგვარებლად. საქმეს სათავეში ედგა სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო-საკრეფი აპარატის სრულყოფისათვის.

1950 წელს საკრეფი აპარატი-ყВП-60 გაუმჯობესებული სახით წარადგინეს და დადგინდა, რომ კიდევ იყო რესურსები მექანიზებული კრეფის გადიდებისათვის.

საკითხი დღის წესრიგში აყენებდა მოსაკრეფი პლანტაციების საგანგებოდ მომზადებას მექანიზებული კრეფისათვის.

ეს გულისხმობდა მცენარეთა რაციონალურ გაადგილებას ფართობის ერთულზე, მათს შპალერულ ფორმირებას დ მორგებას საკრეფტი აპარატის პარამეტრებისათვის.

საკრეფტი აპარატის კონსტრუქციის გაუმჯობესებამ იმ კუთხით, რომ მას ჩაის მცენარისათვის ზიანი ნაკლებად მიეყენებინა -დიდი ინტერესი შეიძინა.

შედეგები, ბუნებრივია, გამოსწორდა, რაც მის შემდგომ დახვენასაც გულისხმობდა(ცხრ.8).

ცხრილიN8

მოსავლის რაოდენობა აღების ხერხის გათვალისწინებით

ხერხი	მოსავლიანობა ჰა-ზე	%
1. ხელით კრეფტა (კონტროლი)	4763	100
2.მექანიზებული კრეფტა -ყBII-60	4464	83,8

კრეფტის სისრულემაც აიწია და შეადგინა-74,1%.

ფართობების მნიშვნელოვანი წილი იკრიფტებიდა ხელის საკრეფტი აპარატებით, რომლებიც საქართველოში იყო დამზადებული.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიმართულებანი მეჩაიერობაში მრავალმხრივი იყო, რამაც დიდად შეუწყო ხელი დარგის მოწინავე პოზიციებზე გასვლას მთელს მსოფლიოში.

ჩაის კულტურაში სელექციონერთა კოლექტივის მიერ (აკად. ქ. ბახტაძის მეთაურობით) შერჩეული იყო პრესპექტიული ჯიშებისა და ჰიბრიდული მთელი სერია წარმოებაში დასანერგად. ეს ჯიშები და ფორმები წარმოებაში დანერგილ ჯიშებთან შედარებით უკეთესი მოსავლის მომცემის იყვნენ- 30-35%-ით.

იმხანად, ჩაის სელექციური ჯიშების მიერ დაკავებული ფართობები მნიშვნელოვანი სიდიდისა იყო და აღმატებოდა- 12000 ათას ჰექტარს.

დარგისადმი დიდი ყურადღების შედეგი იყო კლონური სე-ლექციის ფართოდ გაშლა ჩაქვში, სადაც სათავე დაედო ჩაის მომავალი მსოფლიოში ცნობილი ჯიშის - „კოლხეთის“ დაბადებას, რომლის წინამორბედი იყო კლონი -257 (ძ.კოლელიშვილი, ტ.მუტოვკინა);



სურ.3. ჩაის კრეფა ხელის აპარატებით



სურ.4. პლანტაციის ხელოვნური მორწყვა

დამუშავდა და წარმოებაში ფართოდ დაინერგა ნიადაგის დამუშავების სისტემები ჩაის კულტურისათვის.

მხედველობაში იქნა მიღებული ჩაის მცენარის ბიოლოგიური თავისებურებები და ექსპლუატაციის პირობები, რაც საფუძვლად დაედო მისი შემდგომი გაშენების წესის დანერგვას.

დრომ და პრაქტიკამ უპირატესობა მიანიჭა ჩაის გაშენების შპალერულ წესს, ინდივიდუალური წესის საპირისპიროდ.

გაშენების წესის ოპტიმალურმა და რაციონალურმა პირობებმა გამორიცხა პლანტაციების მწკრივთაშორისი საზამთრო დამუშავების პრაქტიკა და დაზოგა მასთან დაკავშირებული დანახარჯები, რადგან ყველა სახის ნიადაგზე გაშენებულ და შეკრულ, სარეველებისაგან თავისუფალი ფართობებისათვის აუცილებელი არაა ასეთი ღონისძიების ჩატარება.

ჩაისადმი მეცნიერების გაუნიელებელი ყურადღების შედეგია განვითარების რაციონალური სისტემების დამუშავება. კერძოდ, დამუშავდა ჩაის ბუჩქის გაძლიერებული კვების კომპლექსი. კომპლექსის სრულად და დროულად გამოყენების შედეგად უზრუნველყოფილი იყო მოსავლის გადიდება და ჰექტარზე მოსავლიანობის 14-16 ტონამდე აყვანა.

ჩაის მყარი მოსავლის მისაღებად დამუშავდა მორწყვის სისტემების სრული კომპლექტი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსავლის მიღების უწყვეტობას.

დამუშავდა ეროზის საწინააღმდეგო ღონისძიებების სისტემა-სასარგებლო ნაერთებისა და ელემენტების ჩამორეცხვის საწინააღმდეგოდ.

საქართველოში, ჩაის გაშენების ზონაში, ყოველწლიურად ნიადაგიდან ირეცხებოდა 750 ტონამდე წყალში გახსნილი აზოტი, 1000 ტონაზე მეტი ფოსფორი. რაც შეეხება ჰუმუსის მასას, ნიადაგთან ერთან, შეადგენდა 30 ათასამდე ტონას.

დამუშავდა და წარმატებით მოქმედებდა მცენარეთა დაცვის ინტეგრირებული სისტემები ჩაის კულტურისათვის.

ქართველი სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით შეიმნა მანქანათა კომპლექსი ჩაის მცენარის მოვლა-მოყვანის მთლიანი ციკლის სრული მომსახურებისათვის.

პროცესების მექანიზების ხარისხი მეჩაიერბაში ძალზე მაღალი იყო და შეკრული ციკლი დუყიდან- მზა პროდუქციამდე მსოფლიო სტანდარტებს პასუხობდა.

დიდი ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო ბაზის განმტკიცებას.

1926 წელს აღადგინეს ოზურგეთის საცდელი სადგური. იმავე წელს უკავშირდება საცდელი სადგურის ორგანიზება ჩაქვში. ჩაის გავრცელების გეოგრაფიის გაფართოების ამოცანით იყო ეს ყველაფერი ნაკარნახევი.

სამეცნიეროშიც ჩათვალეს საჭიროდ მსგავსი დაწესებულების გახსნა და შედარებით გვიან-1928 წელს დაარსდა ზუგდიდის საცდელი სადგური.

სამეცნიერო პოტენციალის დარგისადმი მომსახურების მწვერვალი იყო ანასეულში საკავშირო სტატუსის მქონე ინსტიტუტის დაარსება 1930 წელს, რომელსაც კოორდინაცია უნდა გაეწია სამეცნიერო მუშაობისათვის დარგში.

ამ დაწესებულებას ფილიალის სახით 1937 წელს შეუერთდა სოხუმის ტერიტორიაზე სუბტროპიკების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი და გადაკეთდა ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად.

ამ ინსტიტუტს ფილიალების სახით დაექვემდებარა ჩაქვისა და ზუგდიდის საცდელი სადგურები. 1941 წელს მას შეუერთდა კოლხეთის მელიორაციული სადგურიც.

მიზანმიმართულმა მუშაობამ, რომელიც ამ ინსტიტუტმა გასწია, შედეგი მაღლე გამოიღო და მსოფლიო სუბტროპიკების უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ხელი შეეწყო სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის მეცნიერული საფუძვლების დამუშავებას. შეირჩა ზონისათვის ტიპური ადგილები, სადაც ამ კულტურების მოვლა-მოყვანა დიდი ეკონომიკური ეფექტის მომტანი იყო.

ჩაის ნედლეულის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე გადამუშავების მეცნიერული მუშაობის კოორდინაციისათვის შეიქმნა 1952 წელს ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ეს უკნასკნელი შეიქმნა ტექნოლოგიური განყოფილების ბაზაზე).

საჭიროება ითხოვდა განათლებული კადრებით დარგის უზრუნველყოფას. 1924 წელს გურიაში, გორაბერეულოულში დაფუძნდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. იგივე პროფილის ტექნიკუმი დაარსეს მწვანე კონცხზე, წლით გვიან-1925 წელს.

ერთი წლის განმავლობაში ტექნიკური სასწავლებლების ქსელი გაიხსნა საქართველოს ჩაის წარმოების სხვადასხვა რაიონში. ესენია: ზუგდიდისა და ქუთაისის (1926), ოჩამჩირის, ოზურგეთის, ნარაზენის, ხაბუმეს, გალის, ხრესილის(1930).

მათი ფუნქცია იყო საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება.

არც უმაღლესი განათლების მქონე კადრების მომზადება ჩამორჩა დროის მოთხოვნებს. 1930 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტებტის ბაზაზე, შეიქმნა სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი.

1931 წელს სამი დამოუკიდებელი ინსტიტუტი შეიქმნა ჩაის მეურნეობისათვის: ოზურგეთის, სუბტროპიკული მეხილეობის (სოხუმი) და სართავი კულტურების (თბილისი).

შემდეგ მოხდა ამ ინსტიტუტების გაერთიანება - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტად.

ახალი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი შეიქმნა ქუთაისში - 1952 წელს, რომელმაც გააგრძელა სპეციალისტების მომზადება სუბტროპიკული მეურნეობისათვის.

ინსტიტუტი ფუნქციონირებდა 1959 წლიდან სოხუმში, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში.

საჭიროდ ვთვლით გავაკეთოთ ისტორიული ექსკურსი ჩაის ფართოებების გაშენებაზე ზოგადად.

ძირითადი აქცენტი მაინც გვინდა გავაკეთოთ ფართობების რაოდენობაზე 30-40-იან წლებში.

1900 წელს ჩაის პლანტაციები გაშენდა 15 მეურნეობაში, საერთო ფართობით 32 ჰა-ზე. ამ ფართობების გაშენებას საფუძვლად დაედო კერძო მოსახლეთა პირადი დაინტერესება ამ კულტურით - გაეცნენ რა ჩაის მცენარის ღირსებებს.

ფაქტმა საფუძველი დაუდო წვრილგლებური მეურნეობების ორგანიზებას ძირითადად აჭარაში. მის მაგალითზე მოხდა ასე-თი მეურნეობების ორგანიზება გურიასა და სამეგრელოში.

ყოველი ეროვნული საქმე, რაც მოასწავებდა დიდი პერს-პექტივების დასახვას ეკონომიკურად და პოლიტიკურად, ყუ-რადლების გარეშე არ დარჩენია ილიას.

მომავლისათვის საკუთარი ასეთი ბაზის შექმნის იდეას ის დიდი წერილით გამოეხმაურა „ივერიაში“:

„საქართველო ჰავისა და მიწის სიკეთითა შემძლებელია ყოვლისფრისა, რაც კი რამ მოდის, იზრდება და ხეირობს დედა-მიწის ზურგზე. ჩაის ბუჩქიც კი გამოზარდა ჩვენმა ქვეყანამ. რა თქმა უნდა, რომ ამგვარებისათვის მეცადინეობა და ხარჯი უქ-მად არ ჩაივლის და დიდ სარფას მისცემს ჩვენს ქვეყანასა..., თუ ჩაის ბუჩქი მარტო თეთრ ქაღალდზე არ დაირგა და შავის მელ-ნით არ მოირწყა...“

ჩაის გარდა, ის მოითხოვდა ისეთი ტექნიკური კულტურების გაშენების განვითარებასაც, რაც სხვაგან არ იყო.

მიუხედავად ბუნებრივი პირობების ხელსაყრელობისა, ჩაის გაშენება მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ძირითადი მი-ზეზი მაინც მთავრობის ნაკლებად დაინტერესებაში უნდა ვე-ძებოთ, რადგან დიდი საბაჟო გადასახადების არსებობის გამო, მეფის ხაზინა დიდ მოგებას ნახულობდა, რაც ჩაის შემოტანას უკავშირდებოდა.

ჩაის საკუთარი ბაზის არსებობას დიდი სახელმწიფოებრი-ვი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი წარმოადგენდა საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის ძლიერ გარანტს. სწორედ ეს გახდა მისი გაშენების სახელმწიფოებრივი მიდგო-მის ერთ-ერთი მძლავრი სტიმული.

ჩაის გაშენება ჯერ კიდევ 1922 წლიდან დაიწყო. არსებული მასალების მიხედვით, ამ წელს გაშენდა 140000 ჰა. მომდევნო წლებში ამ კულტურის გაშენების მიმდინარეობა ასეთი იყო: 1923 წ.-28, 1924წ.-88, 1925წ.-40.

საინტერესოა, რომ ამ კულტურის გაშენებას აკლდა ორგა-ნიზებულობა და ის ძირითადად მშრომელი გლეხობის ინიცია-ტივით ხდებოდა.

ამ პერიოდში ჩაის გაშენების ტემპზე წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი N9:

ცხრილი N9
ჩაის კულტურის გაშენება 1927-32წლებში

წლები	პლანტაციების წლიური გაშენება, ჰა	%-1927 წლის მიმართ	შენიშვნა:
1927	571	100	
1928	2090	366	
1929	3820	669	
1930	6654	1165	
1931	7448	1304	
1932	13194	2310	

მაინც საჭირო იყო ახლებური მიდგომა ამ საკითხებისადმი. დადგინდა, რომ ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო დიდი მოცულობისა და წარმადობის მეურნეობების ორგანიზება.

მსხვილი მეურნეობების გასხნას საფუძვლად ედო რეგიონის მოსახლეობის ინიციატივა და დირექტიული ორგანოების მითითება ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური განვითარების თანაბრობის პრიციპისათვის ერთგულების შესახებ. ამის ნათელი მაგალითია ნატანების, წულუკიძისა და მოქვის მეურნეობების დაფუძნება 1931 წელს, 1932 წელს ინგირის, ლესიჭინისა და გონიოს მეურნეობების დაარსება.

სულ, სამოიდე წელი დასჭირდა იმას, რომ მთელი საქართველოს ჩაის მრეწველობის ზონაში 13 ახალი მეურნეობა დაფუძნებულიყო.

30-იანი წლების დასაწყისისათვის (1933) საქართველოში ჩაის პლანტაციის ფართობები შეადგენდა 33094 ჰა-ს. მათ შორის, კოლმეურნეობების ბალანსზე ირიცხებოდა 19937 ჰა.

ორგანიზებულობისა და თანაბრობის მაგალითია 1932 წლი-დან ჩაის კულტურის გავრცელება სხვა რეგიონებშიც.

აღსანიშნავია პერიოდები, როცა მიმდინარეობდა ჩაის გაშენების კამპანია. 1934-38 წლებში გაშენდა 15527 ჰა პლანტაცია. რაც შეეხება 1939-41 წლებს, მიუხედავად არსებული რეალობისა, ფართობების გაშენება არ შეჩერებულა და მან-6556 ჰა შეადგინა. ბუნებრივია, რომ გაშენების ტემპები პირველსაწყის პერიოდთან შედარებით, ნაკლები იყო.

საყურადღებოა ხელისუფლების განუხრელი ყურადღება ამ საშვილიშვილო საქმის განვითარებისათვის.

მრავალი ღონისძიება და წამახალისებელი აქტი განხორციელდა მოსახლეობის სტიმულირებისათვის, ჩაის გაშენების დაჩქარებისათვის. ამისი მაგალითია ის, რომ 1934 წელს, სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც ამიერკავკასიის ფედერაციის კოლმეურნეობებისა და პირადი მეურნეობებისათვის შემოიღეს ერთმოსავლიან ნარგავებზე გაანგარიშებით კონტრაქციით პროდუქციის ჩაბარების წესი. ამ წესით, პროდუქციის ჩამპარებლისათვის გათვალისწინებული იყო პურის, საფურაუ მარცვლისა და სამრეწველო სასურსათო საქონლის მიყიდვაც (სახელმწიფო ფასებში).

ღონისძიების მიზანი კერძო სექტორის სტიმურება იყო, რაც განხორციელდა კიდეც, რადგან მეჩაიეობა და მეციტრუსეობა კერძო სექტორში დიდი აღმავლობით განვითარდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ისეთი წამახალისებელი ღონისძიების გატარებას, როგორიცაა ჩაის მწვანე ფოთლის დასამზადებლად ფასებისა და 1 ჰა პლანტაციაზე საწარმოო დაკრედიტების გადიდება. ეს დიდი ფინანსური მოგების წყარო გახდა დასავლეთ საქართველოს მეჩაიეობის რაიონებისათვის.

მარტო 1935 წელს, მათ მიიღეს 57 მლნ.მანეთზე მეტი. აქედან, ნედლეულის რეალიზაციიდან მიღებული თანხის წილი შეადგენდა-27 მლნ. მანეთს.

დარგის განვითარებისათვის გარკვეული ღონისძიებები დაისახა მესამე ხუთწლედშიც. მის ნორმალურ მიმდინარეობას

ხელი დიდმა სამამულო ომში შეუშალა. ჩაის პლანტაციების გა-შენება წელა მიმდინარეობდა, მაგრამ არ შეჩერებულა.

„საქართველოს ჩაის“ სისტემის მეურნეობებმა 1941 წელს გააშენეს 1000, ხოლო 1942 წელს - 866 ჰა პლანტაცია.

ომმა, ბუნებრივია, დიდი ზარალი მიაყენა სახალხო მეურნეობას და მათ შორის მეჩაიერობასაც.

ომის შემდგომ დაისახა საგანგებო ღონისძიებები დაკნინებული პლანტაციების გამოკეთებისათვის. ეს გულისხმობდა ჩაის ბუჩქების ჩაყენებას განსაკუთრებული ყურადღების პირობებში და მოვლის შესაფერის გარემოს. შეწყდა მესამე ხარისხის ფოთლის ჩაბარება.

პლანტაციების მოლონიერების მიზნით, 1945 წლისათვის, მნიშვნელოვნად შემცირდა საერთოდ, ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

მეჩაიერობის აღმდლობისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოთლის დასამზადებელი ფასის მნიშვნელოვნად გადიდებას. ეს განხორციელდა საკავშირო მთავრობის დადგენილებით - 1944 წელს.

ღონისძიებამ შესანიშნავად შეასრულა ის, რისთვისაც ის დაგეგმილი იყო. შედეგად მოჰყვა მის რეალიზაციას პლანტაციების მდგომარეობის გამოკეთება და ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის დამზადების გადიდება.

ხუთი წლის მანძილზე, როცა ქვეყნად ცნობილი სიტუაცია იყო და საჭირო იყო სახალხო მეურნეობის აღდგენა - მაინც სახელმწიფობრივმა მიდგომამ გაამართლა და 1950 წლისათვის მოიკრიფა 83,7 ათასი ტონა ჩაის ფოთლი. ეს მაშინ, როცა დაგეგმილი იყო 52 ათას ტონამდე ნედლეულის მოკრეფა.

ახალი ტალღით გაჩაღდა ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება და ის ემთხვევა პერიოდს 1946 წლიდან და გაშენდა ამ წელს-138 ჰა.

ჩაის პლანტაციების გაშენების მაღალი მაჩვენებელი იყო მეხუთე ხუთწლედში(1951-1955). რესპუბლიკაში მაშინ გაშენდა 17 513 ჰა ახალი პლანტაცია.

საშუალო წლიური რაოდენობა ამ პერიოდში პლანტაციების გაშენებისა იყო 3525 ჰა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხუთწლედს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზოგადად საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.

ცხრილის მონაცემებით მტკიცდება მეჩაიერების გარკვეული მაპროფილებელი ფუნქციაც, დამახასიათებელი ამ პერიოდისათვის.

ცხრილი N10
საქართველოში ჩაის პლანტაციების პროდუქტიულობა,
მოსავალი და მოსავლიანობა

წლები	ფართობი საქართ- ველოში, ათასი ჰა	მოსავლი- ანი ფარ- თობების რაოდე ნობა	მთლიანი მოსავალი საქართ ველოში, ათასი ტონა	მოსავლია ნობა ჰა-ზე, ცენტ- ნერობით
1940	49,6	-	51,3	22,9
1945	51,5	40,2	20,3	5,0
1950	48,6	40,2	83,7	20,8
1955	66,1	43,1	117,4	27,2
1960	55,6	49,1	156,8	31,9
1965	62,6	50,6	186,1	36,6
1970	64,8	54,5	258,9	48,5
1975	65,8	55,1	334,6	60,4
1980	66,8	55,8	501,8	90,0
1985	65,9	54,6	581,7	101,8
1987	63,3	59,5	594,9	100,9

როგორც ჩანს, დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩაის პლანტაციების ფართობები არ შემცირებულა. პლანტაციებს მაინც დაეტყო ქვეყანაში არსებული ვითარება და გარკვეული ნაწილი შემდგომ დაიღუპა.

აღინიშნა ეს პერიოდი აგრეთვე ჩაის პლანტაციების საჰექტარო მოსავლიანობის კლებითაც (22,9 დან - 5,0 მდე) და შემცირებითაც მთლიანი მოსავლისა რესპუბლიკაში (51,3 ათასი ტონიდან-20,3 ათას ტონამდე).

დასახული გონივრული ლონისძიებების შედეგად შემდგომი პერიოდი მეჩაიერებაში აღნიშნა აღმავლობით.

1970 წლისათვის საქართველოში ჩაის ნარგაობის ფართობმა შეადგინა 64,8 ათასი ჰექტარი, მაგრამ სრულმოსავლიანი ფართობები გაიზარდა 11,4 ათასი ჰექტარით.

ამ პერიოდისათვის საჰექტარო მოსავლიანობა გაიზარდა 48,5 ცენტნერამდე და გადააჭარბა 1955 წლის დონეს 21,3 ცენტნერით, ხოლო 1965 წლის შესაბამის მაჩვენებელს 11,9 ცენტნერით.

1971- 75 წლების პერიოდში ფართობების ზრდას ადგილი არ ჰქონია. გაიზარდა საჰექტარო მოსავლიანობა. ამ მაჩვენებელმა მიაღწია 60,4 ცენტნერს ანუ მაჩვენებელს, რაც 1955 წელს დაფიქსირებულთან შედარებით 33,2 ცენტნერით მეტი იყო. მისი ახსნა შესაძლოა დაუკავშირდეს გეგმების არარეალურ ზრდას პლანტაციების რეალურ შესაძლებლობასთან მიმართებით.

სახელმწიფო ჩაის მოსავლიანობის შემდგომი ზრდა აღინიშნა 1987 წელს და მან სარეკორდო ნიშნულს მიაღწია-94,9 ათას ტონას. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის მაჩვენებელი ავიდა 100 ცენტნერამდე.

საერთოდ, მოსავლისა და მოსავლიანობის ზრდა განპირობებული იყო მოსავალში უხეში მასის ზრდით.

70-იან წლებში საქართველოში ფაქტობრივად ამოიწურა ჩაის გასაშენებლად ვარგისი ფართობები.

ნინამდებარე ნაშრომში მოცემულია სერიოზული ახსნა იმისა, თუ რამ გამოიწვია მეჩაიერების დეგრადაცია, რა გახდა მისი კონკრეტული მიზეზი და რა სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთიანობამ განაპირობა იგი.

ცნობილია, რომ მეჩაიეობა ოჯახების, რაიონების,ქვეყნის ბიუჯეტის შევსების გარანტირებულ წყაროს წარმოადგენდა.

საქართველოში სერიოზული შეცდომები დაუშვეს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, როცა მთავარ ამოცანად გამოცხადდა სახელმწიფოს კუთვნილი ქონების სასწრაფო პრივატიზაცია, მიუხედავად დარგების თავისებურებებისა. არავინ ყურადღება არ მიაქცია მსოფლიოს კომპეტენტური ორგანიზაციების რჩევებს იმის თაობაზე, რომ პოსტსოციალისტურ სახელწიფოებში საზოგადოებრივი წარმოების წესის შეცვლა უნდა მომხდარიყო თანდათანობით,უმკაცრესი საშემსრულებლო დისციპლინის პირობებში. პირიქით, ხელისუფლებამ პროცესების მართვა მიანდო ბაზარს, რომელიც არ არსებობდა.

საქართველოში 1972 წლამდე, საშუალოდ წელიწადში, იკრიფებოდა 160-180 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. 1972 წელს მეჩაიეობას მიზნად დაუსახეს ჩაიზე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, რამაც გამოიწვია მოსავლიანობის გაზრდა უხეში ფოთლის კრეფის ხარჯზე. მკვეთრად დაეცა მზა პროდუქციის ხარისხი, თუმცა გაიზარდა მეჩაიეობიდან მიღებული შემოსავლები, რადგან ერთეული მოკრეფილი ფოთლისათვის ანაზღაურება წინანდელ დონეზე შენარჩუნდა.

საქართველოში ყოველწლიურად იკრიფებოდა 450-500 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ჩაის პლანტაციების წინანდელ ფართობებზე. გასული საუკუნის 80-იან წლებში კენიაში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ქართული ჩაი ცოცხიდან წარმოებულს შეადარეს. შეიქმნა უაღრესად ხელსაყრელი პირობები სხვადასხვა სახის კორუფციული გარიგებებისათვის.

თავი II

მეჩაიერების აღდგენის გზები საქართველოში

2.1. მეჩაიერების აღდგენის კონცეპტუალური ხედვები

მეჩაიერების აღდგენას ძირითადად აწარმოებს სახელმწიფო.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ, ხანგრძლივვადიანი იჯარით გაცემულ ჩაის პლანტაციებში.

აღდგენითი სამუშაოების ღირებულება განსხვავებული იქნება, როგორც სამუშაოების ხელის იარაღებით, ისე მექანიზებული წესით შესრულებისას- ფოთოლსაკრეფ თუ გადაზრდილ პლანტაციებში, ჩაის ბუჩქის ნახევრადმძიმე თუ მძიმედ გასხვლის დროს.

კერძო და იჯარით არსებულ პლანტაციებში სამუშაოების შესრულება მესაკუთრის განცხადებისა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხდება, რომლითაც იგი იღებს ვალდებულებას პლანტაციის პროფილის შენარჩუნების თაობაზე.

შრომისუნარო კერძო მესაკუთრის პლანტაციაში სამუშაოები არ შესრულდება, ვიდრე იგი არ გაყიდის პლანტაციას, ან ხანგრძლივვადიან სარგებლობაში არ გადასცემს სხვა ფიზიკურ პირს, კოოპერატივს ან რომელიმე კომპანიას.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საკუთრების არც ერთი ფორმის პლანტაციაში არ ჩატარდება, ვიდრე მისი მესაკუთრე არ გააფორმებს ხელშეკრულებას ჩაის ფაბრიკასთან, ან ჩაის ფოთლის შემსყიდველთან.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ჩაის პლანტაციებში სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარდება მანამ, სანამ იგი ხანგრძლივვადიანი იჯარით არ იქნება გაცემული. ასეთი პლანტაციის მესაკუთრეს ხელშეკრულება უნდა ჰქონდეს გაფორმებული ჩაის ფაბრიკასთან, ან ჩაის ფოთლის შემსყიდველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან.

მეჩაიერების მუნიციპალიტეტებში ერთობლივი ბრძანებით იქმნება კომისიები, რომლის შემადგენლობაში შევლენ ადგი-

ლობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო- საკონსულტაციო ცენტრის, საზოგადოების წამომადგენლები. მათი მოვალეობაა:

- ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების გრაფიკის შედგენა;
- ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგი;
- ჩაის რეაბილიტაციისას წამოჭრილი სადაო საკითხების განხილვა და გადაწყვეტა;
- სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის შერჩევა;
- ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოსათვის;
- ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, მიუხედავად მისი რეაბილიტაციის ფორმისა:
- პირველ წელს, სასუქები შეტანილი იქნება სრული დოზით (აზოტიანი და კომპლექსური სასუქები).
- მეორე და მესამე წელს მხოლოდ აზოტიანი სასუქები (სახელმწიფო სახსრებით აზოტიანი სასუქები შეტანილი იქნება ორ, ხოლო კომპლექსური-ერთ წელს).
- გადაზრდილ, მძიმედ გასხლულ პლანტაციებში სასუქები შეტანილი იქნება:
- ხელის იარაღებით. მძიმედ გასხლულ პლანტაციებში აზოტიანი სასუქები შეიტანება ნახევარი დოზით, კომპლექსური-სრული დოზით.
- მეორე და მესამე წელს აზოტიანი სასუქები შეტანილი იქნება სრული დოზით;
- სამეცანიზაციო საშუალებით მძიმედ გასხლულ პლანტაციებში სასუქები პირველ წელს არ შეიტანება.
- მეორე წელს შეტანილი იქნება აზოტიანი და კომპლექსური სასუქები სრული დოზით;
- მესამე და მეოთხე წელს შეიტანება მხოლოდ აზოტიანი სასუქები;

რეგიონებში აყენებენ საკითხს ჩაის პლანტაციების გაშენების შესახებ. 1 ჰაის პლანტაციის გაშენება ჯდება 30-32 ათასი ლარი.

რეგიონს (მუნიციპალიტეტს), რომელსაც ყველაზე ნაკლები სარეაბილიტაციო პლანტაცია აქვს, ნელიწადში მიეცემა 10 ჰა პლანტაციის გაშენების ლიმიტი. დანარჩენი რაიონების ლიმიტი განისაზღვრება მინიმალურ ფართობთან შეფარდებით.

მოენყობა ჩაის ერთი სანერგე მეურნეობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

მეჩაიერებაში სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და, მთლიანად მეჩაიერების დარგის განვითარებისათვის ხელმძღვანელობის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) - „საქართველოს ჩაის“ ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ გარდაიქმნება შ.პ.ს.-დ ან სააქციო საზოგადოებად.

სსიპ „საქართველოს ჩაის“ ხელმძღვანელს, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, სამუშაოზე დანიშნავს და გაათავისუფლებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის განკარგულების მიღება, რომლითაც:

ეთხოვებათ მუნიციპალიტეტების გამგეობებს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების ხანგრძლივვადიანი იჯარით გადასაცემად შესაბამისი დოკუმენტების მომზადება - სასოფლო კოოპერატივებისათვის უპირატესობის მინიჭებით.

დაევალება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩაის პლანტაციების სახნავი მინის რანგში პრივატიზების შესახებ ბრძანების გაუქმება.

გადაიხედება იმ მესაკუთრეების მოივარეობის საკითხი, რომელთაც ჩაის პლანტაციები გადაეცათ სიმბოლურ ფასად და იგი არადანიშნულებით გამოიყენეს, ან დღემდე არავითარი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩაუტარებიათ.

იმ მოქალაქეებს, რომლებიც ხელის იარაღებით მძიმედ გასასხლავ სახელმწიფო პლანტაციებში საკუთარი ძალით შეასრუ-

ლებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებს (გარდა სასუქის შესყიდვისა), საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნული ჩაის პლანტაცია.

ჩაის ფაპრიკებს, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე გააჩნიათ იაფი კრედიტის დავალიანება, ჩამოეწერებათ ის.

იუსტიციის სამინისტროს დაევალება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული პლანტაციების უნებართვოდ ხელყოფისათვის (ამოძირება, გადაწვა და ა.შ.) კანონმდებლობით პასუხისმგებლობის გამკაცრების შესახებ წინადადების მომზადება.

2.2 მეჩაიერბის რეაბილიტაციის მიმართულებები

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ჩაიზე მოთხოვნის ზრდის პირობებში, მკვეთრად შეამცირა როგორც ჩაის ნარგაობა, ისე პროდუქციის წარმოება. ქართულმა მეჩაიერობამ მხარი ვერ აუბა ბაზრის მოთხოვნებს და ამაში არც არავინ დაეხმარა.

სახელმწიფოს მიერ მეჩაიერბისადმი არასწორი პოლიტიკის გატარების გამო, უმუშევრად და შემოსავლის გარეშე დარჩა დარგში დასაქმებული 180 ათას ადამიანზე მეტი, რაც 650-700 ათასი ადამიანის სარჩოს გარეშე დატოვების ტოლფასი იყო.

მეჩაიერბისადმი გულგრილი დამოკიდებულების გაგრძელება დაუშვებელია, რადგან მსოფლიოს ქვეყნები ყველა ღონეს ხმარობენ დარგის გასაფართოებლად. ბოლო 20 წელიწადში ჩაის მნარმოებელი ქვეყნების რიცხვი ერთნახევარჯერ და მეტად, ხოლო ჩაის ნარგაობა -100 ათასი ჰექტარით გაიზარდა.

მოსახლეობისა და ჩაის მოხმარების ზრდის გამო, მსოფლიოში ყოველწლიურად 100 ათასი ტონა ჩაის დეფიციტია მოსალოდნელი.

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია

ოპერატიული მონაცემებით, საქართველოში 57 ათასი ჰექტარიდან (აფხაზეთის გარდა), შემორჩენილია 9-10 ათასი ჰა პლანტაცია, საიდანაც პერსპექტიულია (განახლებას ექვემდე-

ბარება) 7-8 ათასი ჰა. აქედან, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობა-შია- 1965 ჰა, ხოლო გადაზრდილი და გატყევებულია-7710 ჰა.

პლანტაციის რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდება როგორც ხელით, ასევე სამექანიზაციო საშუალებებით.

ფოთოლსაკრეფი და გადაზრდილი პლანტაციები დაყოფილია ორ ნაწილად - სამუშაოების ხელის იარაღებითა და მექანიზაციის საშუალებებით შესასრულებელ ფართობებად. კერძოდ, ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში ხელის იარაღებით სამუშაოს შესრულება - 1268 ჰა-ზე, ხოლო მექანიზაციის გამოყენებით - 677 ჰა-ზე შეძლება (გადაზრდილ პლანტაციებში, შესაბამისად -3824 ჰა-ზე და 3886 ჰა-ზე).

სამუშაოები დიფერენცირებულია სახეების მიხედვით. მაგალითად, ფოთოლსაკრეფ პლანტაციებში გათვალისწინებულია პირველ წელს სასუქის სრული დოზის შეტანა (აზოტიანი-450 კგ, კომპლექსური-300 კგ).

ხელით, მძიმედ სასხლავ პლანტაციებში, პირველ წელს გათვალისწინებულია აზოტიანი სასუქის სრული დოზის ნახევრის, ხოლო კომპლექსურის - სრული დოზით შეტანა (მძიმედ გასხლული პლანტაცია ვერ შეძლებს აზოტიანი სასუქის სრული დოზის ათვისებას).

რეაბილიტაციის პირველ წელს, სახელმწიფოს მიერ ყველა სახის სამუშაოების შესრულებაა გათვალისწინებული, ხოლო მეორე და მესამე წელს - გადაბარვისა და აზოტოვანი სასუქების შესყიდვისა და ტრანსპორტირებისა. მესამე წლიდან ყველა სახის სხვა სამუშაოს პლანტაციის მესაკუთრე (მოსარგებლე) ასრულებს.

გათვალისწინებული არ არის პლანტაციის შემოღობვის სრული ღირებულება, რადგან ღობის სიგრძე დამოკიდებულია ნაკვეთის კონტურზე და მისი წინასწარ დათვლა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ხარჯებში შეტანილია 100 გრძივი მეტრის ღირებულება, დღგ-ს ჩათვლით.

1ჰა-ზე გაანგარიშებით დანახარჯები შეადგენს:

-ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში მძიმედ გასხლულსა და ხელით სამუშაოების შესრულებისას, პირველ წელს-4598 ლარს, მეორე და მესამე წელს-2365 ლარს.

- სამუშაოების მექანიზაციით გამოყენებით შესრულებისას, 1 ჰა-ზე სამუშაოების ღირებულება შეადგენს - პირველ წელს-3602 ლარს, მეორე და მესამე წელს- 1550 ლარს.

-გადაზრდილ პლანტაციებში, ხელით სამუშაოების შესრულებისას - პირველ წელს-5544 ლარს, მეორე და მესამე წელს-1850 ლარს.

-მექანიზაციით სამუშაოების შესრულებისას - პირველ წელს-3212 ლარს, მეორე წელს-1955 ლარს, მესამე და მეოთხე წელს-1496 ლარს.

დანახარჯები რეაბილიტაციაზე სამი წლის მანძილზე, ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში შეადგენს სულ-9431 ათას ლარს, ხოლო გადაზრდილ პლანტაციაში-33610 ათას ლარს.

სულ, პირველ წელს, რეაბილიტაციაზე დაიხარჯება 43041 ათასი ლარი, რასაც დაემატება სარეაბილიტაციო ტექნიკის შესაძენად და სსიპ „საქართვლოს ჩაის“ თანამშრომლების ხელფასის ხარჯები - დაახლოებით 6 მლნ. ლარი. ხარჯების მოცულობა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი წელზე დაიგეგმება პროგრამის განხორციელება.

ჩაის ფოთოლის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა დაგეგმილია: ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში ,პირველ წელს-1.5 ტონა, მეორე წელს-2.5 ტონა, მესამე წელს- 3.5 ტონა. გადაზრდილ მძიმედგასხლულ პლანტაციაში- პირველ წელს-0.5 ტონა, მეორე წელს - 2.0 ტონა, მესამე წელს-3.5 ტონა. სულ წელიწადში საშუალოდ, პირველ წელს-0.7 ტონა, მეორე წელს-2.0 ტონა, მესამე წელს-3.5 ტონა.

მზა პროდუქციის თვითღირებულება, 1 ჰა-ზე გაანგარიშებით, პირველ წელს იქნება-3000 ლარი, მეორე წელს-8568, მესამე წელს კი-14 994 ლარი.

რეაბილიტაციის პირველ წელს სულ მოიკრიფება-6804 ტონა ჩაის ფოთოლი, მეორე წელს- 19412 ტონა, მესამე წელს-33866

ტონა. გარდა ამისა, პირველ წელს ხელფასის სახით გაიცემა - 30 მილიონზე მეტი თანხა და ნაწილობრივ მეორე წელსაც. მესამე და შემდგომ წლებში, მეჩაიერები მარტო ფოთლის მოკრეფისათვის მიიღებენ 85 მილიონზე მეტ ლარს.

მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს პირველ წელს-29160 ათას ლარს, მეორე წელს- 83196, ხოლო მესამე წელს-142560 ათას ლარს.

პირველ წელს პლანტაციაში გაწეული ხარჯები სჭარბობს მზა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს - 13881 ათასი ლარით, მეორე წელს- შემოსავალი გადაამტებს ხარჯებს- 64015 ათასი ლარით, ხოლო მესამე წელს- 125253 ათასი ლარით.

ნედლეულის გადამუშავების ხარჯი პირველ წელს იქნება-21060 ათასი ლარი, მეორე წელს ხარჯი შეადგენს-64104 ათას ლარს.

მეორე წელს, სულ, ხარჯი იქნება- 79327 ათასი ლარი, ანუ შემოსავალზე 4 მილიონი ლარით ნაკლები, ხოლო მესამე წელს-ხარჯი შეადგენს-120268 ათას ლარს ანუ შემოსავალზე 22292 ათასი ლარით ნაკლებს.

ჩაის მკრეფავის ანაზღაურება ჰა-ზე, პირველ წელს, შეადგენს-1750 ლარს, მეორე წელს-5000, მესამე წელს-8750 ლარს.

სრულმოსავლიან პლანტაციაში შესაძლებელია 1 ჰა-ზე 3-3.5 მკრეფავის დასაქმება. ყველაზე პესიმისტური გათვლებით, რეაბილიტირებულ პლანტაციებში დასაქმდება 30-32 ათასი მკრეფავი.

მეჩაიერების პროგრამა ფინანსურად, ორგანიზაციულად და ფსიქოლოგიურად ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ იგი უნდა შესრულდეს.

პროგრამა მეჩაიერების რეგიონების მოსახლეობას არა მარტო გაუჩენს მუდმივ შემოსავლებს, დასაქმების იმედს, არამედ ღირსებას დაუბრუნებს ადამიანებს.

ოჯახებში დაისადგურებს სითბო და ჯანსაღი განწყობა. აჭარლებს, გურულებს, მეგრელებს და იმერლებს გაუჩინდებათ ხუმრობის, ლაღად ცხოვრების სურვილი.

აღდგება სტუმარ-მასპინძლობა, უფროსისადმი პატივისცემა, ნათესავის სიყვარული და მეგობრის დაფასება.

ხალხი ირნმუნებს ხელისუფლების ზრუნვას, რომლითაც განებივრებული არ არიან.

პროგრამას ექნება სახალხო ხასიათი. იგი არა მარტო სოციალური და ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი იქნება.

ცხრილი N11

ჩაის სარეაბილიტაციო პლანტაციები რეგიონების მიხედვით,
ჰექტრობით (16.09.2014 წ).

N	სამუშაოს დასახელება	აჭარა	სამეგრელო	გურია	იმე - რეთი	საქართველო
1	პერსპექტიული ჩაის პლანტაცია,	1135	3892	3274	1174	9675
2	ფოთოლ - საკრეფ მდგომა - რეობაში	513	640	699	163	1965
3	გადაზრდილ მდგომარეობაში	622	3252	2625	1211	7710
	ფოთოლ - საკრეფი პლანტაციი-დან სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულდება:					
	ა)ხელის იარაღებით	328	260	526	163	1263

	ბ)სამექანი ზაფიო სა-შუალებებით	193	380	0	193	671
	გადაზრდი ლი პლანტა-ციოდან სარ-ეაბილიტა-ციო სამუ-შაოები სრუ-ლდება:					
	ა) ხელის იარაღებით	240	1337	2134	112	3824
	ბ)სამექანი-ზაფიო სამუ-ალებებით	382	1915	491	1098	3886

ცხრილი N12

დანახარჯები 1 ჰა ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, სამუშაოების ხელის იარაღებით შესრულებისას (ლარი)

N	სამუშაო-ების (მომ-სახურების დასახელება	განვა-სება, ლარი	სამუ-შაოე-ბის პირვე-ლი წელი	სამუ-შაოე-ბის მეორე წელი	სამუ-შაოე-ბის მესა-მე წელი	შე-ნიშ-ვნა
1	პლანტა-ციის შპალე-რული გასხვლა, 1-ჯერ	350	350	350	350	
2	პლანტა -ციის გა-დაბარვა, 1-ჯერ.	500	500	500	500	
3	აზოტია -ნი სასუ-ქებენა, 450 კგ.	0,8	360	360	360	

4	კომპლე - ქსური სასუქის შექნა, 300 კგ.	1,4	420	-	-	
5	სასუქის ღირებულება		780	360	360	
6	სასუქე- ბის ღირებულება, ტრანსპორტის ჩათვლით		880	410	410	
7	აზოტიანი სასუქის შეტანა, 2-ჯერ	75	150	150	150	
8	კომპლე- ქსური სასუქის შე - ტანა, 1- ჯერ	75	75			
9	სასუქის ჩათოხნა, 3-ჯერ	220	660	440	440	
10	პლანტაციის სარეველე- ბისაგან განმენდა- 3-ჯერ	100	300	300	300	
11	პლანტაციის შემოლობვა, 100 გ/მ	1270	1270			
	დანახარ- ჯები, სულ		4180	2150	2150	
	გაუთვალის წინებელი ხარჯების ჩათვლით 10%		4598	2365	2365	

ცხრილი N13

დანახარჯები 1 პა ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში, სამუშაოების
სამექანიზაციო საშუალებებით შესრულებისას (ლარი)

N	სამუშაოების, (მომსახურების) დასახელება	განვასება, ლარი	სამუშაოების პირველი წელი	სამუშაოების მეორე წელი	სამუშაოების მესამე წელი	შენიშვნა
1	პლანტაციის შპ-ალერული გასხვლა	100	100	100	100	
2	რიგთა-შორისების გაფხვიერება	100	200	200	200	
3	აზოტიანი სასუქების შექმნა	0,80	360	360	360	
4	კომპლექსური სასუქების შექმნა, 300კგ	1,4	420	-	-	
5	სასუქების ღირებულება		780	360	360	
6	სასუქების ღირებულება, ტრანსპორტირების ჩათვლით		880	460	460	
7	აზოტიანი სასუქების შეტანა, 2-ჯერ	75	150	150	150	

8	კომპლექსური სასუქების შეტანა, 1-ჯერ	75	75			
9	სასუქების ჩაკეთება, 3-ჯერ	100	300	200	200	
10	პლანტა- ციის სარე- ველებისა გან გან- მენდა,3- ჯერ.	100	300	300	300	
11	პლანტა- ციის შე- მოლობვა, 100 გ/მ	1270	1270			
	დანახარ- ჯები,სულ		3275	1410		
	გაუთვა- ლისწინე- ბელი ხარ- ჯების ჩათვლით, 10%.		3602	1550	1550	

დანახარჯები 1 ჰა გადაზრდილ პლანტაციაში, სამუშაოების
ხელით შესრულებისას (ლარი)

N	სამუშ- აოების, (მომსახუ- რების) დასახე- ლება	განფა- სება, ლარი	სამუ- შაოე- ბის პირვე- ლი წელი	სამუ- შაოე- ბის მეორე წელი	სამუ- შაოე- ბის მესა- მე წელი	შე- ნიშ- ვნა
1	ხემცენარე- ების მოჭრა და გამოტა- ნა, ჩაის ბუჩქების გასხვლა და ნასხ- ლავის გამოტანა	1500	1500			
2	პლანტა- ციის გა- დაპარვა, 1-ჯერ	500	500	500	500	
3	აზოტია- ნი სასუქე ბის შეძე- ნა, 450 კგ	0,8	160	360	360	
4	კომპლექ- სური სასუქების შეძენა, 300კგ	1,4	420	-	-	
5	სასუქების ღირებუ- ლება		780	360	360	
6	სასუქების ღირებუ- ლება, ტრა- ნსპორტი- რების ჩათვლით		680	460	460	

7	აზოტიანი სასუქების შეტანა, 1-კერ	75	75	150	150	
8	კომპლექსური სასუქების შეტანა, 1-კერ	75	75			
9	სასუქების ჩათოხვნა, 2-კერ	220	440	440	440	
10	პლანტაციის სარეველებისა განგან-მენდა 3-კერ	100	300	300	300	
11	პლანტაციის შემოლობვა, 100 გ/მ	1270	1270			
	დანახარჯები, სულ		5040	1850	1850	
	გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით, 10%.		5544	2035	2035	

ცხრილი N15

დანახარჯები 1 ჰა გადაზრდილ პლანტაციაში, სამუშაოების
სამექანიზაციო საშუალებებით შესრულებისას (ლარი)

N	სამუშ-აოების, (მომსახურების) დასახელება	განფა-სება, ლარი	სამუ-შაოე-ბის პირვე-ლი წელი	სამუ-შაოე-ბის მეორე წელი	სამუ-შაოე-ბის მესა-შე წელი	სამუ-შაოე-ბის მეოთ-ხე წელი
1	ტრაქტო-რის საქცე-ვის მოწყობა	100	100			
2	ხეების მოჭრა და გამოტანა	200	200			
3	ბუჩქების გადაჭრა 35-40 სმ-ზე	450	450			
4	პლანტა-ციის გან-მენდა სხვ-ადასხვა ნარჩენებისაგან	50	50	-	-	
5	ჩაის ღეროების გადაჭრა, 5-10 სმ-ზე	450	450			
6	ჩაის ღერო-ების გამო-ტანა	100	100			

7	აზოტიანი სასუქების შეძენა, 450 კგ.	0,8		360	360	360
8	კომპლექ- სური სასუქების შეძენა, 300 კგ.	1,4		420		
9	სასუქების ლირ- ებულება	ლარი		720	360	360
10	სასუქების ლირებულე ბა ტრანს- პორტით	ლარი		880	460	460
11	აზოტიანი სასუქების შეტანა 2- ჯერ	100		200	200	200
12	კომპლექ- სური სასუქე- ბის შეტა- ნა 1-ჯერ.	100		100	100	100
13	სასუქების ჩახვნა 3-ჯერ	100		300	300	300
14	პლანტაცი- ის სარევე- ლებისაგან განმენდა, 3-ჯერ	100	300	300	200	200

15	პლანტაციის შემოღობვა, 100 გ/გ	1270	1270			
	დანახარჯები, სულ		2920	1870	1360	1360
	გაუთვალის წინებელი ხარჯების ჩათვლით, 10%.		3212	1950	1496	1496

ცხრილი N16

დანახარჯები ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციაზე
(ათასი ლარი)

N	პლანტა- ციის და- სახელე ბა	ჰა	დანახარ- ჯები I ნელი	დანახარ- ჯები II ნელი	დანახარ- ჯები III ნელი
1	ფოთოლ- საკრეფი პლანტა- ციები, აქედან, სარეაბი- ლიტაციო სამუშაო- ები სრუ- ლდება:	1966	9431	3816	3816
2	ა)ხელის იარაღე- ბით	1268	7030	2580	2580
3	ბ)სამექა- ნიზაციო საშუალე- ბებით	677	2401	1236	1236

4	გადაზირ-დილი პლანტა- ციები, აქედან სამუშაოები სრულდება:	7710	33610	15359	13571
5	ა)ხელის იარაღე- ბით	3824	21200	7781	7781
6	ბ) სამექა- ნიზაციო საშუალე- ბებით	3886	12418	7578	5790
	დანახარ- ჯები,სულ	9675	43041	19176	17307

(ვხრილი N17

ჩაის ფოთლის მზა პროდუქციის წარმოება (ტონა) და
ლირებულება ჰა-ზე

პლა- ნტა- ციის დას- ახე- ლება	ფოთ- ლის მოსა- ვალი ტონა I	ფოთ- ლის მოსა- ვალი ტონა II	ფოთ ლის მოსა- ვალი ტონა III	მზა პროდ. ტონა, ვირ- ველი ნელი	მზა პროდ. ტონა, მეორე ნელი	მზა პროდ. ტონა, მსამე ნელი	მზა პროდ. ლირე- ბულება I	მზა პროდ. ლირე- ბულება II	მზა პროდ. ლირე- ბულება III
1.ფოთოლ- საკრეფი	1,5	2,5	3,5	0,357	0,595	0,833	6426	10710	14994
2.გადაზირ- დილი	0,5	2.0	3,5	0,119	0,476	0,833	2142	8568	14994
3.ჩაის პლანტა ცაბასულ	0,7	2,0	3,5	0,167	0,476	0,833	3006	8568	14994

ჩაის ფოთლის მოსავალი, მზა პროდუქტია (ტონა) და
მისი ღირებულება (ათასი ლარი)

N	სამუშაოს დასახელება	I ნელი	II ნელი	III ნელი
1	ჩაის ფოთოლი ფოთოლსაკრეფი პლანტაციიდან	2949	3932	6881
2	ჩაის ფოთოლი გადაზრდილი პლანტაციიდან	3855	15480	26985
	ჩაის ფოთოლი სულ	6804	19412	33866
3	მზა პროდუქტია ფოთოლსაკრეფი პლანტაციიდან	702	936	1495
4	მზა პროდუქტია გადაზრდილი პლანტაციიდან	918	3686	6425
	მზა პროდუქტია სულ	1620	4622	7920
5	პროდუქტის ღირებულება ფოთოლსაკრეფი პლანტაციიდან	12654	16856	26910
6.	პროდუქტის ღირებულება გადაზრდილი პლანტაციიდან	16506	66340	115650
	მზა პროდუქტის ღირებულება, სულ	29160	83196	142560

2.3.-ეკონომიკური რეფორმები და მეჩაიერბა

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოს გარეშე და როგორც მოგვიანებით ფართო მასისათვის გახდა ცნობილი-პირველი მოდელის- ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის მიხედვით, რომელ-საც რეკომენდაციას უწევენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

საქართველოში გამოყენებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი ითვალისწინებს: ფასების ლიბერალიზაციას, სუბსიდიებზე უარის თქმას, ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას, ვალუტის კონვერტირებას, დემონპოლიზაციას, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებას, უცხოური ინვესტორების მოზიდვას, არარენტაბელური საწარმოების დახურვას და მუშათა დათხოვნას, მკაცრი ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას და ამ უკანასკნელის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად გამოცხადებას.

როგორც ვხედავთ, მოდელის ფორმირების ძირითადი მა-მოძრავებელი მუხტი მონეტარული მეთოდების გამოყენებაა, კერძოდ- მოთხოვნა- მიწოდების თვითრეგულირება, ფასების ანუ საბოლოოდ, საწარმოს ფულადი შემოსავლის, წარმოების მომგებიანობისა თუ ზარალიანობის განსაზღვრის მეშვეობით. თვითრეგულირებადი ეკონომიკის ფორმებისადმი ასეთნაირად მიდგომა შეესაბამება ადამ სმიტისა და მისი თანამედროვე მიმდევრის -მილტონ ფრიდმანის იდეოლოგიას, რომელიც ზოგად-საკაცობრიო თვალთახედვით, ანტიჰუმანურიც კია „ გადარჩება ის- ვინც ძლიერია“.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამ გზას „შოკურ თერა-პიასაც“ უწოდებენ, თუმცა მისი პოლინური ვარიანტის ავტო-რი- ლ. ბალცეროვიჩი წინააღმდეგია ასეთი განმარტებისა და მას რადიკალურ რეფორმას უწოდებს.

ასეთია მოკლედ იმ თეორიის არსი, რომელიც მონეტარული გზით ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას ითვა-ლისწინებს.

ჩვენს სინამდვილეში ფასების ლიბერალიზაციამ არ გამოიწვია პროდუქციის წარმოების დარეგულირება. იგი ძირითადად მოხმარდა ხელფასის ზრდას და დაგროვებისათვის თანხების გამოყოფა მინიმალურად შემცირდა. სახელმწიფო საკუთრების დიდი ხევედრითი წონის, სანარმოებისა და სახელმწიფოს ფინანსების გაუყოფლობის გამო, ფასების ლიბერალიზაცია გახდა მოგების ლიბერალიზაციის ტოლფასი ე.ი. მოგების მიღება უკვე შესაძლებელი გახდა ნაკლები როდენობის პროდუქციის გამოშვებით, ხოლო მისი ხარჯვა- საკუთარი შეხედულებით, ძირითადად შრომის ანაზღაურებაზე, შრომის მნარმოებლობასთან მისი კავშირის გარეშე. მოთხოვნა- მიწოდების იმპულსები ბლოკირებულიქნა ფასების ცვლილებებისადმი წარმოების სუსტი მგრძნობიარობის გამო. ეკონომიკა აღმოჩნდა სტაგინფლაციურ მდგომარეობაში (წარმოების სერიოზული დაცემა, ჰიპერინფლაციის პირობებში).

ფასების ლიბერალიზაციამ მოსალოდნელი ეფექტი ვერ გამოიღო იმის გამოც, რომ საქართველოში თავისუფალი მენარმეობის არავითარი გამოცდილება არ არსებობდა - ამისათვის მზად არ იყო არც კადრები, არც სანარმოები, არც მომსახურე ინფრასტრუქტურა.

სსრკ დაშლის შემდეგ, პრაქტიკულად გაწყდა სამეურნეო კავშირები ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სანარმოებთან, რომელიც ცენტრალიზებული გზით ხორციელდებოდა. ამან, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობა წარმოების მკვეთრი დაცემა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა ამავე მიზეზით წარმოშობილმა მწვავე ენერგეტიკულმა კრიზისმაც.

გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ჩვენ ძირითადად ვიყავით საბოლოო პროდუქციის მნარმოებელი ქვეყანა, რომლის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით აგროსამრეწველო პროდუქციის, ქვეყნის გარეთ გადიოდა და სამაგიეროდ ჩვენთვის საჭირო მზა პროდუქციასთან ერთად, დიდი რაოდენობის დამხმარე მასალები და ნედლეული შემოდიოდა.

ასეთი ტიპის სანარმოებს, ნედლეულზე ფასების ზრდის პარალელურად, არ შეუძლიათ ზარდონ ფასები მზა პროდუქცია-

ზე, რადგან იგი რეგლამენტირებულია ჯერ ერთი, მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნით და მეორეც - ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში შედარებით იაფი საზღვარგარეთული პროდუქციის შემოსვლით.

გამოდის, რომ ერთის მხრივ, წარმოება შეზღუდულია, არ არის მისი ზრდის საშუალება, ნედლეულისა და სხვა მასალების სიმცირისა და არსებულზე მაღალი ფასების გამო. მეორეს მხრივ - მსოფლიო ბაზარი გადავსებულია ყველა სახის პროდუქციით და იგი მზად არის მაშინვე დაიკავოს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოთავისუფლებული ნიშა. შექმნილი მდგომარეობა ინვესტ არა მარტო სანარმოების გაჩერებას ნედლეულისა და მასალების უქონლობისა და არაეფექტური წარმოების გამო, არამედ მათ უცხოურ სანარმოებთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდას, რომლის აღდგენა თითქმის შეუძლებელია. სანარმოების გაჩერება მიიღებს მასობრივ ხასიათს, რაც თავის მხრივ უმუშევრობის მიზეზი გახდება. უმუშევრობას ადგილი ექნება ეკონომიკის სტაგნაციის პირობებში, რაც ნიშნავს იმას, რომ არავითარი სტრუქტურული ცვლილებები არ ხდება და ამდენად, პერსპექტივაც არ არსებობს.

ამავე დროს, სახელმწიფო ვალდებულია სრულად გასწიოს ბიუჯეტის გასავლის ნაწილის ის ხარჯები, რომლებიც არამნარმობლური სფეროსთვისაა გათვალისწინებული, აგრეთვე გარკვეული ხელფასი აძლიოს პრაქტიკულად გაჩერებული სანარმოების მუშაკებს. წარმოების დაცემის პირობებში აღნიშნული ხარჯები შეიძლება განეულიქნას მხოლოდ ბანკის კრედიტით, რომელსაც იღებენ, როგორც სანარმოები, ისე სახელმწიფო ბიუჯეტი.

ეკონომიკის ღრმა კრიზისის გამო, ბანკის კრედიტების წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ ემისია ანუ საქონლით ან მყარი ვალუტით, ძვირფასეულით არაუზრუნველყოფილი ფულის გამოშვება, რაც ცხადია, საწყის ეტაპზე, ინფლაციის, ხოლო შემდეგ - ჰიპერინფლაციის მიზეზი ხდება. საქართველოს სინამდვილეში აღნიშნულ მიზეზებს დაემატა საომარი მოქმედებებით გამოწვეული არამნარმოებლური ხარჯების ზრდის აუცილებლობა, რამაც დააჩქარა ჰიპერინფლაციის პროცესის ფორმირება.

ასეთ პირობებში ლაპარაკი უდეფიციტო ბიუჯეტის ფორმირებაზე, ვალუტის შედარებით განმტკიცებაზე, არაფერი რომ არ ვთქვათ მის კონვერტირებაზე, უაზრობაა. შეიქმნა მოჯადოებული წრე. წარმოება არ ვითარდება იმიტომ, რომ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას. ეს უკანასკნელი მძვინვარებს იმის გამო, რომ არ ვითარდება წარმოება.

მონეტარული თეორიის თანახმად, არაეფექტური, ზარალი-ანი სანარმოები უნდაც დაიხუროს, რათა შესაძლებელი გახდეს უნაყოფო ხარჯების თავიდან აცილება. შედეგად მივიღებთ მასობრივ უმუშევრობას, რაც მონეტარისტების აზრით, ერთადერთი ხარკია, რომელიც მოსახლეობამ უნდა გაიღოს უკეთესი მომავლის საზღაურად. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ამ აქტის ჰუმანურობაზე რადგან დიდი, მაღალეფექტიანი ეკონომიკა თავისი არსით, არაჰუმანურია. აქ, ლაპარაკია იმაზე, რომ საქართველოში უმუშევრობის მიზეზი არა რეფორმების გატარებაა, არამედ მათი განხორციელების არასწორი გზა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული გზით რეფორმების განხორციელება დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციების გამოყენებას გულისხმობს, რომლის ქვეყანაში შემოსვლის ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობად პოლიტიკური სტაბილიზაცია ითვლება. ნათელია, რომ არც ეს მომენტი იქნა გათვალისწინებული, თუმცა ამ სფეროში არსებული მდგომარეობა თავიდანვე ნათელი იყო.

ანტომონოპოლიური ღონისძიებებიც რომ არ გამოიღებდა დიდ შედეგს, ესეც თავიდანვე უნდა გვცოდნოდა, თუნდაც იმის გამო, რომ ასეთი სანარმოებისა და გაერთიანებების რიცხვი საქართველოში მცირეა. ბრძოლამ მონოპოლისტური სანარმოების, მონოპოლური ფასები წინააღმდეგ, საყოველთაო დეფიციტისა და განუკითხაობის პირობებში, წარმოშვა უკიდურესად მონოპოლიზებული და ორგანიზაციული დარგობრივი მაფიოზური სტრუქტურები. ქვეყანამ კი ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასხვლა დაიწყო ისე, რომ არვითარი რეზივები არ გააჩნდა და არც მათი შევსების რამენაირი გარანტია ჰქონ-

და, რესურსების მიწოდების წყაროებთან კავშირების გაწყვეტილა და თვითბლოკადის გამო, რომლის ფენომენიც დღემდე აუხსელი რჩება.

რეფორმის განხორციელების გზის არჩევისას გათვალისწინებული არ ყოფილა ქვეყნის მოსახლების ფსიქოლოგიური განწყობა და მზადყოფნა რეფორმებისათვის, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებისადმი, სამეურნეო რისკის ზღვარზე მუშაობის, ჰორიზონტალური კავშირების დამყარებისადმი და მრავალი სხვა. ამის გაკეთება აუცილებელი იყო, რადგან ჩვენ 70 წელზე მეტი წელის განმავლობაში ვიყავით მართული საზოგადოება, როცა ჩვენს მაგივრად სხვები აზროვნებდნენ, როცა ჩვენ გვახალისებდნენ ან გვკიცხავდნენ სახელმწიფოსათვის განეული სამსახურისათვის. ასეთ სიტუაციაში გაზრდილი ადამიანი ვერ აღიქვამდა არა სახელმწიფოსათვის, არამედ თავისთვის შრომის ფასს, მისი და საკუთარი ოჯახის კეთილდღეობიდან, სახელმწიფოს კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზას შორის დამოკიდებულებას.

მონეტარული პოლიტიკით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აუცილებლად გულისხმობს მაღალორგანიზებული, თავისუფალი პიროვნების კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანების არსებობას, რაც საქართველოში არ არსებობდა. აქცენტის გაკეთება ახალგაზრდობაზე თავის მოტყუებაა, რადგან ისიც ამ სისტემის პროდუქტია. სხვა საკითხია, რომ იგი ადვილად ახერხებს სიახლეების ათვისებას, მაგრამ ცხოვრების სინამდვილისაგან მოწყვეტილი ცოდნა ისევე უსარგებლოა, როგორც უცოდინარობა.

არც ჩვენი ქვეყნის თავისებურებები იქნა გათვალისწინებული, რომელსაც მიეკუთვნება: ქვეყნის მცირე ტერიტორიები და მასზე მცხოვრები მრავალეროვანი მოსახლეობა, თავისი ტრადიციებით, მიდრეკილებით, დამოკიდებულებით მიწისადმი, კოლექტივისადმი, საკუთრებისადმი, ხელისუფლებისადმი და ა.შ.

საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს აღმოსავლური საზოგადოების თვისებები ასე გამოკვეთილად არ აქვს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ქართველებსაც.

სამაგიეროდ, ჩვენ ვართ ბევრი ისეთი თვისებების მატარებელი, რომლებიც შეუთავსებელია საბაზრო ურთიერთობისათვის და მათი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მართული პროცესებისა და ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების პირობებში.

ჩვენი მენტალიტეტით ძალიან ვგავართ სამხრეთ ამერიკის უმეტესი ქვეყნების მოსახლეობას (გარდა ჩილესი, რომლებიც თავიანთ თავს სამხრეთ ამერიკის ბრიტანელებს უწოდებენ).

გარდა ამისა, ყველა ქვეყანაში, სადაც მკაცრი მონეტარიზმის გამო, უახლოეს პერიოდში, ინფლაცია მოსალოდნელი არაა, არსებობს რიგი სოციალურ-პოლიტიკური მიზეზია, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალონ ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნებას:

- მზარდი უმუშევრობა, რომელიც თხოულობს დოტაციას სახელმწიფოდან და ამით ამცირებს მის შემოსავლებს.
- ქვეყნის შესაძლებლობების მკვეთრი შეზღუდვა, უზრუნველყოს მოსახლეობის შედავათიან პირობებში მომსახურება. ფულის სტაბილურობის შენარჩუნებისათვის სახელმწიფო აიდულებს მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ისარგებლოს ფასიანი სამედიცინო მომსახურებითა და ფასიანი სწავლებით, აგრეთვე ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩარიცხოს საპენსიო ფონდში, საკუთარი მოხუცებულობის უზრუნველსაყოფად.
- სახელმწიფოს მხრიდან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინვესტიციორების შეუძლებლობა.
- რიგი სახელმწიფო საწარმოების გაკოტრება.
- შესაძლებელი გაკოტრებები საბაზო სფეროში, სახელმწიფოს მიერ კომერციული ბანკებისათვის გამაგრებების მიუცემლობის გამო.

ალსანიშნავია ისიც, რომ 1945-1990 წლებში, ყოფილი სოციალური ქვეყნების მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და სოციალურ სფეროში, უზარმაზარი ინვესტიციები იქნა ჩადე-

ბული. მართალია, ისინი სათანადო ეფექტით არ გამოიყენებოდა, მაგრამ იმაზე ფიქრი, რომ გეგმური ეკონომიკიდან „შოკური თერაპიისა“ და მონეტარიზმისაკენ შემობრუნება ეკონომიკური სასწაულებს მოახდენს, უბრალოდ უაზრობაა. აქ, ერთი „ცუდი“ მოზანდასახულობა, მეორე „კარგი“ მიზანდასახულობით იცვლება და მეტი არაფერი. სამაგიეროდ, ასეთი პოლიტიკა მატერიალური წარმოების სფეროში გამოიწვევს საწარმოების მასობრივ გაჩერებას, მათ შორის სიცოცხლიუნარიანებისაც. სოციალურ სფეროში ეს იწვევს თავისებურ „დარვინიზმს“, როცა შერჩევის შედეგად მხოლოდ ძლიერები გადარჩებიან, სხვები კი იღუპებიან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ „შოკური თერაპიისა“ სასწაულებზე ლაპარაკი შეიძლება მისი დაწყებიდან 5-7 წლის შემდეგ. ამის სასარგებლოდ მეტყველებს 20-იანი წლების დასასრულის გამოცდილება, როცა ის ქვეყნები, რომლებიც ყველაზე ხანგრძლივად ატარებდნენ მონეტარულ პოლიტიკას, ყველაზე გვიან გამოვიდნენ დეპრესიოდან.

გაეროს ევროპის ეკონომიკის კომისია, რომელიც დიდი ხანია მუშაობს უენევაში, ის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც ამ ხნის მანძილზე დაგროვილი აქვს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქვეყნების გამოცდილება.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან განსხვავებით, იგი ურჩევს, დისციპლინირებული თანდათანობითობის „კურსის გატარებას, რომელიც გულისხმობს საბაზო სისტემებზე გადასვლას, იმ რეალური მემკვირდროების გათვალისწინებით, რომელიც ევროპამ ომის შემდეგ მიიღო.

რა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკის განხორციელება უფრო რთულია, ვინაიდან, ერთის მხრივ, ხელისუფლებას და ცენტრალურ ბანკს საშუალება არ ექნებათ მუდმივად ჰქონდეთ ჩაკეტილი ხაზინა ნაციონალური ვალუტის მყარი კურსის შესანარჩუნებლად და მეორეს მხრივ, იძულებული იქნებიან გაატარონ ღონისძიებები ინფლაციის ტემპების შესაჩერებლად.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მომუშავე დასავლეთის ესტერტ- ეკონომისტები თავდაპირველად თვლიდნენ, რომ სა-

ერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეკომენდაციები შეუძლებელია არასწორი იყოს. ეკონომიკის ლიბერალიზაციის ყოვლისშემძლეობის ეიფორი-ამ სწარაფად გაიარა და მან ადგილი დაუთმო დაფიქრებულ, ყოველთვის დასაბუთებულ აზრს არსებული ინსტიტუციური სტრუქტურების ნაკლოვანებების აუცილებლად აღმოფხვრის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ქვეყნის ეკონომიკის სი-ცოცხლიუნარიანობის შესარჩუნება, არაფერი რომ არ ვთქვათ მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის შესახებ. ეს ნაკლოვანებები შემაშფოთებელია. არ არსებობს უმეტესი ის აუცილებელი საბაზრო რჩევები და ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც აუცილებელია სისტემის მუშაობისათვის: საწარმოების ნორმალური ანგარიშები, კერძო საკუთრება, კომერციული ბანკების სისტემა და მრავალი სხვა. სამრეწველო დანადგარები და ტექნოლოგიები, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, მორალურად გაცვეთილია. ბევრ საწარმოს პრაქტიკულად არ შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივების ნარჩენი ღირებულება ან წარმოების დანახარჯები, აგრეთვე განსაზღვროს მის მიერ გამოშვებული რომელი პროდუქციაა კონკურენტუნარიანი. ყველა ეს ნაკლი წაწილია უფრო დიდი პრობლემებისა, როგორიცაა სამოქმედო არის ღრმა დეგრადაცია, ინფრასტრუქტურის სრული უარყოფა და სხვა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩამორჩენილი ეკონომიკის შედარებით მოკლე დროში აღორძინების მაგალითებს, შესაძლოა დავასახელოთ აზის ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: სამხრეთ კორეა, ტაივანი, მალაიზია, ჰონკონგი, სინგაპური, რომელთაც აზია-ნენარი იკვენის აუზის დრაკონებსაც უნდღებენ.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

აზის ახალ ინდუსტრიული სახელმწიფოებში, ისე, როგორც იაპონიაში, არც ბაზრისათვის და არც უცხოური ინვესტორი-სათვის არ გაუნდიათ იმის გადაწყვეტა, სახალხო მეურნეობის რომელი დარგი უნდა განვითარებულიყო და რომელში შეეკვეცათ წარმოება.

დარგებს, რომლებიც პრიორიტეტებად უნდა განვითარებულიყო, იცავდნენ იმპორტიორებისაგან და ამავე დროს, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ ექსპორტს. შემდგომ, დარგში კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების კვალობაზე, ამცირებდნენ სხვადასხვა შეღავათებს, რათა დარგი მუდმივად დამოკიდებული არ ყოფილიყო სახელმწიფო პროტექციონისტული ღონისძიებებისაგან. ამავე ქვეყნებში წარმატებით იყენებდნენ ბაზარზე ორიენტირებული ინდიკატური დაგეგმვის პრინციპებს.

ზემოთ დასახელებულ სახელმწიფოებში სავალუტო კურსი იყო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. იგი ისე წესდებოდა, რომ ახალისებდა ექსპორტს, დაგროვებას და აფერხებდა იმპორტს. მხოლოდ ამ ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზარზე გასვლის შემდეგ მოხდა სავალუტო კურსის შეცვლა.

აზია- წყნარი ოკეანიის აუზის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია არა უცხოური კაპიტალისა და უცხოური პარტნიორების, არამედ მოწინავე ტექნილოგიების, სპეციალისტების იმპორტი.

აღნიშნულ ქვეყნებში ფასები ნომინალურად წესდება ბაზრის მიერ, მაგრამ წამყვან პროდუქციაზე ფასები რეგულირდება ფისკალური მეთოდების გამოყენებით (საგადასახადო შეღავათები, ტარიფები, გამოსალებები, სუბსიდიები). არსებობს პროდუქცია, რომლის იმპორტი საერთოდ აკრძალულია.

შესაძლოა სხვა მაგალითების მოტანაც, რომლებიც გვიჩვენებენ სახელმწიფოს აქტიურ როლს საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისა და ეკონომიკური ბერკეტების რეფორმების მართვის საქმეში. ცხადია ერთი რამ- ეკონომიკური რეფორმებისადმი საზოგადოების მხარდაჭერა იმ გაჭირვების უკუპროპორციულია, რომელსაც იგი იწვევს.

ყოველ შემთხვევაში აზია- წყნარი ოკეანიის ქვეყნებმა და-ამტკიცეს, რომ საბაზრო ურთიერთობების საფუძველზე შესაძლებელია ეკონომიკის სერიოზული გარდაქმნა, დიდი ეკონომიკური და სოციალური დანაკარგების გარეშე.

სამხრეთ კორეაში, სულ 30 წლის მანძილზე, მთლიანი ნაციონალური პროდუქტი გაიზარდა 134-ჯერ, ნაციონალური შემო-

სავლი მოსახლეობის ერთ სულზე 79-ჯერ, ექსპორტი 1737-ჯერ. პრაქტიკულად ქვეყნის მთელი მოსახლეობა დაცულია სამედი-ცინო დაზღვევითა და საპენსიო პროგრამებით.

ტაივანში 20 წლის მანძილზე (1971-1991), მთლიანი ნაციონა-ლური პროდუქტი გაიზარდა 30-ჯერ. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მას მსოფლიოში ეკავა მე-15 ადგილი და აშშ-სთან აქვს დადებითი სავაჭრო სალდო. მთლიანი ნაცი-ონალური პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 1951 წელს არსებული 145 დოლარიდან 1991 წელს გაიზარდა 8800 დოლარამდე.

სინგაპურში 1990 წელს შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 12700 დოლარი, რაც მხოლოდ იაპონიის მაჩვენებელს ჩამორჩება.

ბოლო წლებში გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება მალა-იზია, ინდონეზია, ტალიანდი, ნანილობრივ ფილიპინები. 1987 წლიდან მალიაზიაში ეკონომიკური საშუალო წლიური ზრდის ტემპი 8 პროცენტს აღემატებოდა, ხოლო ხელფასი იზრდებოდა 8-15 პროცენტით.

ომისშემდგომ ოთხ ათწლეულში აზია- წყნარი- ოკეანიის ქვეყნებმა განვლეს გზა, რომელსაც ევროპის სახელმწიფოები ათეული წლები მოუნდნენ. 80-იანი წლების დასაწყისისათვის მათ უკვე დამთავრებული ჰქონდათ ინდუსტრიალიზაციის პროცესი, რის შემდეგაც კურსი აიღეს პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე, რომელიც გულისხმობს საწარმოო ძალების განვითარებას სა-მეცნიერო- ტექნიკური რევოლუციის მიღწევების ფონზე.

ეგრეთ წოდებული „პატარა დრაკონების“ აღზევება ბევრად განპირობებულია პოლიტიკური რეჟიმების მემკვიდრეობითო-ბით, რომელიც სათავეს სახელმწიფოებრიობის აზიურ- დესპო-ტური ტიპიდან იღებს. აღნიშნული სახელმწიფოების პოლიტიკუ-რი რეჟიმები - დაისახეს რა მიზნად ქვეყნის თანდათანობით, დო-ზირებულად დემოკრატიზაციის მიზანი, თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ არა იდეოლოგიური პრიორიტეტებით, არამედ მკაცრად გამოხატული პრაგმატული მიზნებით. ამასთან,

განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ხუთწლიან და ექვსწლიან გეგმებს, რომელზედაც ჩვენ ასე ადვილად ვთქვით უარი.

„პატარა დრაკონების“ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა თავიდანვე დამყარებული იყო მოწინავე რეგიონებში ეკოლუ-ციური განვითარების ტენდენციების შესწავლაზე. ამან ხელი შეუწყო დასავლეთის მიღწევების ათვისებას და დაგროვებას ისე, რომ მას არ გამოუწვევია თვითმყოფადი კულტურული ფა-სეულობების რევიზია.

აზია- წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების საბაზრო ეკონომი-კის მოდელი კონცენტრირებულად ასე გამოიყურება:

- მკაცრი მემკვიდრეობითობა პოლიტიკაში, დემოკრატიის თანდათანობით, დოზირებულად დანერგვა.
- სახელმწიფო რეგულირების მძლავრი მექანიზმი და მისი მოქმედება ეკონომიკის ყველა დონეზე.
- საკუთრებისა და მეურნეობრიობის შერეული ფორმების არსებობა და მათი განვითარებით სახელმწიფოს თანაბა-რი დაინტერესება.
- სახელმწიფო პროტექციონიზმი ცალკეული დარგების მი-მართ, მათი განვითარების კვალობაზე პროტექციონიზ-მის ზომების შემცირება.
- ქვეყნის მართვა ხუთწლიანი და ექვსწლიანი გეგმების სა-ფუძველზე.
- ინდივიდუალურ კაპიტალთან შედარებით კორპორაციუ-ლი კაპიტლის უპირატესი განვითარება.
- ცივილიზაციის მიღწევებისადმი მუდმივად თვალის დევნე-ბა, მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტი უშუალოდ კაპიტა-ლისა და პარტნიორების იმპორტისაგან განსხვავებით.
- სოციალ- ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები.
- უმუშევრობის უაღრესად დაბალი პროცენტი ეკონომიკუ-რად აქტიურ მოსახლეობაში.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს არსებული პოლიტიკური სისტემიდან გამომდინარე, იგი ყვე-

ლაზე ახლოს იყო ეკონომიკური რეფორმების აზია- წყნარი ოკე-
ანის ქვეყნების მოდელთან, რომელიც ითვალისწინებს სახელ-
მწიფოს მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას
იმ დარგის მიმართ, რომლის განვითარებაც აუცილებელია.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს მსოფლიო ალაპარაკდა ე.წ.
ინკლუზიური ზრდის ეკონომიკურ მოდელზე, რაც ყველაზე მე-
ტად მისაღებია ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური წარსუ-
ლის მქონე ქვეყნისათვის ,როგორიც საქართველოა. ამ მოდე-
ლის მიხედვით სახელმწიფო იღებს სოციალურ ვალდებულებას
და უპირატესობას ანიჭებს დარგს, რომელიც ყველაზე მეტად
უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებას და შემოსავლების
ზრდას, რომელსაც წარმოების პროცესში მონაწილენი გამოი-
მუშავებენ.

შეუიარაღებული თვალითაც ჩანს, რომ საქართველოში
არის ასეთი დარგები, მათ შორისაა მეჩაიეობა, რომელიც რეა-
ბილიტაციის პროცესშიც ავლენს ინკლუზიურ ხასიათს, თუ სა-
ხელმწიფო ყურადღებით მოეკიდება ამ დარგის საჭიროებას.

ჩაის ჩანაცვლება თხილით, მოსახლეობის შემოსავლების
გაზრდისა და დასაქმების კუთხით, ჩაის აღტერნატივა ვერ იქ-
ნება, მით უფრო, რომ თხილი მსოფლიოში აღიარებულია, რო-
გორც ზარმაცების კულტურა.

ჩაის კულტურას, თუ სახელმწიფო მოინდომებს მის რეაბი-
ლიტაციას, შეუძლია გამოავლინოს თვითინკლუზიურობა და
აღდგენის შემდგომ პერიოდშიც, პლანტაციების ფართობები-
დან გამომდინარე, შეუძლია დასაქმოს 30-32 ათასი ადამია-
ნი. თუ ახალი პლანტაციების გაშენებასაც შეეწყობა ხელი, მა-
შინ ფოთლის კრეფისათვის შესაძლოა დასაქმდეს 60-62 ათასი
ადამიანი, შესაბამისი მაღალი ანაზღაურებით. დამატებით, ჩაის
ფაბრიკებში დასაქმდება 2-2,5 ათასი მუშა, ლაბორანტი და ტექ-
ნიკური პერსონალი.

დარწმუნებული ვართ, რომ თხილის პლანტაციის დიდი ნა-
წილი, რომელიც გაშენებულია ნაჩაიარ, მჟავე ნიადაგებზე, რამ-
დენიმე წელში დაიწყებს დაკანინებას და ეკონომიკური ეფექტუ-

რობიდან გამომდინარე, ისევ ჩაის პლანტაციები იქნება გასაშენებელი. გლეხებს ამისი საშუალება არ ექნებათ და ისევ სახელმწიფოს ექნება გასაკეთებელი, როგორც ეს აზიური ფაროსანასა, და არა მარტი მის წინააღმდეგ, ბრძოლის შემთხვევაში მოხდა, როცა სახელმწიფომ გამოყოფილი ფინანსური(60 მილიონი ლარი) და მატერიალური რესურსები და ეს ბოლო ხარჯი არაა, რადგან ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, იგი რამდენად თავსატეხია.

ჩაი იმითაც ამტკიცებს თავის უპირატესობას თხილთან და სხვა კულტურებთან შედარებით, რომ 25 წელია მიტოვებულია აგროლონისძიებების გატარების გარეშე , ეკალ- გარდებითაა დაფარული და, მიუხედავად ამისა, არავითარი დაავადება და მავნებელი არ გასჩენია.

საზოგადოების მიერ ასეთი კულტურის უარყოფა, რომელზედაც ბუნებრივი კატაკლიზმებიც კი ნაკლებად მოქმედებს, უბრალოდ გაუგებარია. იმედი ვიქონიოთ , რომ ხელისუფლება გააკეთებს სწორ დასკვნებს და ყურადღებას დაუთმობს მეჩაიერობას.

ცნობისათვის გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ჩაის პლანტაციების უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. რეფორმების დასაწყისში პრივატიზაციული იყო მხოლოდ 11 ათასი ჰა - პლანტაციების საერთო რაოდენობის 9,0%.

2.4.-მეჩაიერობა და ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელი

2018 წლის დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე მთავარი ყურადღება ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის შესახებ მსჯელობას დაეთმო, რაც მიმდინარე საუკუნისათვის დამახასიათებელმა - საზოგადოების ფენებად დაყოფის ტენდენციებმა განაპირობეს.

მსოფლიო მოსახლეობის პირამიდის საფუძველს წარმოადგენს ნაკლებად უზრუნველყოფილი - 4 მილიარდი ადამიანი, რო-

მელთა წლიური შემოსავალი 4000 დოლარამდეა და აქედან - ერთი მეოთხედი ანუ მილიარდი, სიღარიბის ზღვარს მიღმაა. მათ დღიურად საკვებზე 2-9 დოლარის დახარჯვა შეუძლიათ.

საზოგადოების ფენებად დაყოფა აღრმავებს ზღვარს მდიდრებსა და ღარიბებს შორის და რაც მეტი სიმდიდრე გროვდება საზოგადოების მცირე ჯგუფში, მით უფრო საშიში ხდება მსოფლიო სოციალური დაპირისპირება. ამერიკელი სოციოლოგის- იმანუილ ვალერსტაინის მიხედვით, მსოფლიო იმყოფება კრიზისში და არავინ იცის რა იქნება 50 წლის შემდეგ, რადგან კრიზისის გამოვლენის ფორმა სასიკვდილოა.

უმოქმედობის შემთხვევაში მსოფლიოს ელოდება უმწვავესი დამოკიდებულება მდიდრების მცირე ჯგუფსა და ღარიბების მასას შორის, რაც კატასტროფის ტოლფასი იქნება. ამისი ნიმები არსებობს ევროპაში, ადამიანების სახეების ვიზუალურად შეცვლილი ქალაქების -პარიზის, ლონდონისა და სხვათა მაგალითზე.

მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილება შესაძლებელია წარმოების განვითარების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, სხვა, მსოფლიო რეზონანსის მქონე, ლონისძიებების ადგილებზე გატარებით. ეს უმთავრესი და ძვირადღირებული რეკომენდაციებია, მაგრამ იგი უნდა განხორციელდეს, თუ მდიდრებს სურთ მშვიდად ცხოვრება.

საქართველოში არსებული მდგომარეობა ყველასათვის ნათელია, ამიტომ, თუ რომელიმე ქვეყანას აწყობს ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის დანერგვა, პირველ რიგში ეს საქართველო უნდა იყოს, სადაც მთავრობის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლების გზით შესაძლებელია ზრდის მოდელზე მორგებული პროცესის წამოწყება - მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმებისა და მაღალი შემოსავლების მიღების გარანტით. ერთ-ერთი ასეთი კულტურაა ჩაი, რომლის ნედლეული მთლიანად გადამუშავდება.

სახელმწიფოს მიერ მეჩაიერობის რეაბილიტაცია ფაქტიურად ნიშნავს ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის დანერგვას იმ პირობებში, როცა აზიური ფაროსანასა და სხვა მავ-

ნებელ- დაავადებების გაჩენის შემდეგ, თხილის კულტურისადმი მოსახლეობის ინტერესი საგრძნობლად განელებულია.

მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიხედვით, ინკლუზიური ზრდა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს: 1. ზრდის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას, 2. ზრდის შედეგების შესაძლო თანაბარ განაწილებას საზოგადოების დასაქმებულ წევრებს შორის.

ეკონომისტთა ნაწილის აზრით, ინკლუზიური ზრდის მოდელი განსხვავდება ე.წ. ღარიბებზე ირიენტირებული ზრდის მოდელისაგან. მთავარი განსხვავება ეკონომიკური ზრდისათვის პრიორიტეტების მინიჭებაში მდგომარეობს ანუ იმის შერჩევაში, თუ რის საფუძველზე ხდება ზრდა - ღარიბების შრომის პროცესში მონაწილეობით, თუ დარგების მიხედვით მიღებული შემოსავლების გადანაწილებით.

ინკლუზიური ეკონომიკა უპირატესობას ანიჭებს ღარიბებზე ორიენტირებული ზრდის ისეთ მოდელს, რომელიც საშუალებას აძლევს მათ თვითონ შეძლონ სიღარიბისაგან თავის დაღწევა.

ინკლუზიური ეკონომიკა ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებებს ითვალისწინებს - კერძოდ, იგი ადგენს თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკა - ნეოლიბერალური, სახელმწიფოს ჩართვით, თუ სხვა .

ქართველი მკვლევარის - გ. გოთუას აზრით, საჭიროა საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბიზნესის წარმომადგენელთა ფართო დიალოგი, სადაც გამოიკვეთება სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკაში.

ბოლო დროს საქართველოში ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს მონაწილეობით განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ე.წ „მინიმალური სახელმწიფოს“ მომხრეების შეხედულებები დომინირებს.

მსოფლიო გამოცდილება კი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური განვითარების პრობლემების გადაწყვეტაში აშკარაა სახელმწიფოს მონაწილეობა.

ეკონომიკაში ნეოლიბერალური პოლიტიკის გამოყენების შედეგია ის გაუგებრობა, რომელიც მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის შედეგების შეჯამებისას გამომჟღავნდა. კერძოდ, მაისის თვეში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7,6 % შეადგინა, რაც წინა თვეებზე გადაანგარიშებით, საშუალოდ 6,1 %-ის ტოლი იყო და რეგიონის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს ბევრად აღემატებოდა.

ამავე დროს, გაეროს ეგიდით იუნისეფის მიერ ჩატარებულ-მა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ საქართველოში ეკონომიკური ზრდის ფონზე სიღარიბე 2,9%-ით გაიზარდა.

აშკარაა, რომ ინკლუზიური ეკონომიკის გამოყენების შემთხვევაში, რაც რასაკვირველია, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს უპირატეს მონანილეობას ითვალისწინებს, ეს არ მოხდებობდა, თუნდაც იმიტომ, რომ აღნიშნული მოდელი სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ის შედეგები, რაც ეკონომიკის ზრდის კვალობაზე, მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე აისახა, წმინდა ნეოლიბერალიზმის ანუ ეკონომიკის პაზარზე მინდობილი პოლიტიკის შედეგია. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს ეკონომისტთა წრე, რომლებიც ნეოლიბერალიზმის პოლიტიკას თავგამოდებით იცავენ და ამტკიცეენ, რომ შემოსავლების გამოთანაბრება მისი სოციალურ ჯგუფებზე შემოსავლების გადანაწილებით უნდა მოხდეს.

ასეთ მიდგომებს თანამედროვე ეკონომიკიური პოლიტიკისადმი „კალდორ- ჰიკსის“ ლოგიკას უწოდებენ.

ინკლუზიური ეკონომიკისადმი განსაკუთრებული ყურადღება იგრძნობოდა მიმდინარე წელს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც წარმოადგინეს ინკლუზიური განვითარების ინდექსი, რომელიც მსოფლიოს 107 ქვეყანას აფასებს ზრდის 12 კრიტერიუმის მიხედვით.

ისმის კითხვა- რატომ ამახვილებს მსოფლიო საზოგადოება და განსაკუთრებით მისი მოწინავე ნაწილი ყურადღებას ინკლუზიური ზრდის პრობლემებზე. იმიტომ ხომ არა, რომ XX საუკუნე

იყო საშუალო კლასის ფორმირების, ხოლო XXI- კი საზოგადოების ფენებად დაყოფის საკუკუნეა და სიმდიდრის განაწილება ფენებად დაყოფილ საზოგადოებაში საშიშ ფორმას იღებს?

დედამინაზე მომრავლდნენ უმდიდრესი ადამიანები, კომპანიები, რომელთა შემოსავალი ტრილიონ დოლარს აღემატება.

მსოფლიო მოსახლეობის პირამიდის ფუძეს შეადგენს მინიმალური შესაძლებლობების მქონე მოსახლეობა, რომელიც რაოდენობრივად 4 მილიარდ ადამიანს ითვლის და რომელთა წლიური შემოსავალი 4000 დოლარამდეა. მათი მეოთხედი ანუ ერთი მილიარდი ადამიანი იმყოფება სილარიბის ზღვარს მიღმა. მათ შეუძლიათ თავიანთი შემოსავლით იყიდონ საკვები დღიურად-2-9 დოლარის ფარგლებში.

როგორც აღინიშნა, უაღრესად საინტერესოა მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების ამერიკელი სოციოლოგის -იმანუილ ვალერსტაინის შეფასება, რომელიც ამბობს, რომ თანამედროვე მსოფლიო სისტემა შედის საბოლოო კრიზისში და არავინ იცის რა იქნება 50 წლის შემდეგ, რადგან ის იმყოფება კრიზისის სასიცვდილო ფაზაში.

რა მდგომარეობა გვაქვს საქართველოში?

ცნობილია, რომ ინკლუზიური ზრდის საფუძველს უმუშევრობის მაქსიმალურად შემცირება და ადამიანების პროფესიული დასაქმება წარმოადგენს. ამ მაჩვენებლით საქართველო, ანალოგიური ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, მხოლოდ 24-ე ადგილზეა. სილარიბის ზღვარზე მყოფ პირთა დასაქმების კუთხით კი-26-ადგილზე .

ცუდი მაჩვენებელი გვაქვს განათლებაზე დანახარჯების კუთხითაც -28-ე ადგილი. საქართველოში, სადაც უმუშევრობის პრობლემა ერთ- ერთი მთავარი გამოწვევაა , ძნელია კვალიფიციური სამუშაო ძალის პოვნა. ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 35-ე ადგილზე იმყოფება. რაც შეეხება ჯინის ინდექსს, ის 0,52-ის ტოლია.

აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოების წევრებს შორის არ ხდება შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება და

ქონების დიდი ნაწილი ხვდება იმ მცირერიცხოვანი ადამიანების ხელში, რომელთა უმრავლესობამ საწყისი კაპიტალი სხვადასხვა მაქინაციების გამოყენებით დააგროვა.

აშკარაა, რომ თუ მსოფლიოს სურს თავის გადარჩენა, განსაკუთრებით მის მდიდარ ნაწილს, მათ მხარი უნდა დაუჭირონ ინკლუზიური ზრდის ეკონომიკურ მოდელს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია შემოსავლების მეტნაკლებად სამართლიანი განაწილება.

ევროპის განვითარებულ ქვეყნებზე მიგრანტთა შემოტევა მომავალში ამ მიმართულებით მოსალოდნელი უმწვავესი კრიზისის მხოლოდ ანარეკლია.

მსოფლიოს მდიდარმა ქვეყნებმა მეტი ანალიზი უნდა გააკეთონ პარიზში, ლონდონსა თუ ევროპის სხვა დიდ ქალაქებში მიმდინარე პროცესების, თუნდაც ადამიანების სახეების ვიზუალური ცვლილებების გათვალისწინებით. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს ჩვენგან შორს არის.

მდიდარი მსოფლიო უნდა შეეცადოს მიგრანტთა ქვეყნებში დანერგოს ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მოდელი, რათა შესაძლებელი გახდეს უმუშევრობის პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგების თავიდან აცილება, რისი გამოვლენაც ყველაზე მწვავედ ღარიბი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტთან არსებული სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო სექტორის აკადემიის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ა. ნოვიკოვი და ასპირანტი მ. ვიტკინა-წიგნში-, „ინკლუზიური ეკონომიკა და სოციალური პასუხისმგებლობა მსოფლიოს რეგიონებში- დილემა თუ საზოგადოებრივი შეთანხმება“ აღნიშნავენ, რომ საბჭოთა სოციალური პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთ პირობას ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკის არსებობა წარმოადგენდა.

ქვეყანაში ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის არსებობა ყველა შემთხვევაში გულისხმობს სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს არსებობას, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებას, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ბალანსის დაცვას ემყარება.

გადამწყვეტი როლი ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის ფორმირებაში ეკუთვნის სახელმწიფოს. მის პოლიტიკას, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ძირითადი როლი მდგომარეობს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრასა და მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებაში, აგრეთვე დასაქმებულ ადამიანებს შორის შემოსავლების შესაძლო თანაბარ განაწილებაში.

საქართველოში, ბუნებრივია, პრიორიტეტი-სოფლის მეურნეობაა, მაგრამ ჭირს პრიორიტეტული მიმართულების ამორჩევა, რადგან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მრავალდარგიანობის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ორი ისეთი დარგის ამორჩევა, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა მთლიანდ ქვეყნის ეკონომიკის ამონევა და მით უფრო, ინკლუზიური ეკონომიკის მოდელის განვითარება.

ჩვენი აზრით, გამოსავალი შემდეგშია:

სახელმწიფომ სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონების მიხედვით უნდა შეარჩიოს სასურსათო, აგრეთვე ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქცია და მოახდინოს მათი წარმოების ეკონომიკური სტიმულირება, რაც თანამედროვე მსოფლიოში წარმოების გაზრდის საყოველთაოდ აღიარებული მეთოდია.

ნახალისების ფორმებს შორის პირველ რიგში უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროდუქციის შესასყიდი ფასების სუბსიდირებას, თუმცა ასეთი მიდგომა შესაძლებლობის ფარგლებში არ გამორიცხავს წარმოების საშუალებების შესასყიდი ფასების სუბსიდირებასაც. ცალკეულ შემთხვევაში ეს მიდგომა შესაძლებელია პრიორიტეტულიც კი აღმოჩნდეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ ინარმოება წარმოების საშუალების არც ერთი სახე, გარდა აზოტიანი სასუქისა, რაც მათი გასაყიდი ფასების კორექტირების რაიმე შესაძლებლობას მოგვცემდა.

რაც მთავარია, ეკონომიკური მხარდაჭერა უნდა მოხდეს მხოლოდ მაღალი ტექნოლოგიების დანერგვის, აგრეთვე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების - შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ასეთი მიდგომით უზრუნველყოფილი იქნება როგორც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოება, ასევე წარმოების რაოდენობრივი ზრდაც.

ამ თვალსაზრისით ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმებისათვის მაღალშემოსავლიანი კულტურებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას.

ერთ-ერთი ასეთი კულტურაა ჩაი.

ბოლო პერიოდში ჩაიზე მსოფლიო მოთხოვნილების ზრდის მიუხედავად, საქართველოში იგი დაღუპვის პირას იქნა მიყვანილი. ჩაის ნარგაობის მთლიანი ფართობები, აფხაზეთის გარდა - 57 ათას ჰა-ს შეადგენდა. ამჟამად, ოპერატორული მონაცემებით, შემორჩენილია 9,6 ათასი ჰა ჩაის პლანტაცია, რომელსაც 25 წლის მანძილზე, აგროტექნიკური სამუშაოების ჩაუტარებლობის მიუხედავად, არავითარი დაავადება არ გასჩენია.

ჩაის კულტურა გავრცელებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამ რაიონში, გურიის სამივე რაიონში, სამეგრელოს შვიდ რაიონში, იმერეთის ხუთ რაიონში. ჩაის გავრცელების ზონაში ცხოვრობდა ნახევარი მილიონი ადამიანი.

დასავლეთ საქართველოში აზიური ფაროსანას გავრცელების გამო, რამაც სხვა დაავადებებთნ ერთად, საგრძნობლად დააზიანა თხილის პლანტაციები და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბოლო ორ წელიწადში სახელმწიფომ 60 მლნ ლარი გამოყო -უპრიანი იყო ჩაის პლანტაციების აღდგენაზე ფიქრი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობა იმდენად იყო შეყვარებული ჩაის ბუჩქზე, რომ 2003 წლამდე მისი ამოძირკვა არც უფიქრია, იმის იმედით, რომ სახელმწიფო ბედის ანაბარად არ მიატოვებდა მეჩაიერის რეგიონების მოსახლეობას.

როგორც ითქვა, მეჩაიერის დასაქმებული იყო 180 ათას ადამიანზე მეტი. იგი წარმოდგენილი იყო რიგითი მეჩაიერით, ჩაის ფაბრიკების მუშებით, სხვადასხვა სპეციალობების მქონე აგრონომებითა და ინჟინრებით, კონსტრუქტორებით, სხვადასხვა სპეციალობების მქონე სხვა პერსონალით.

რაც მთავარია, დარგი მაღალშემოსავლიანი იყო. ერთი კილოგრამი ჩაის ნედლეულის მოკრეფისათვის მეჩაიერის 50-80 კა-

პიკს უხდიდნენ, გარდა იმ პრემიებისა, რომელსაც ისინი წლის ბოლოს იღებდნენ.

ეს იყო სანარმოო მიმართულების სფერო, რომელიც უზრუნველყოფდა ადამიანების მაქსიმალურად დასაქმებასა და მაღალ შემოსავლებს, სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენის პირობებში. დარგი იძლეოდა ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის განხორციელების საუკეთესო საშუალებას.

ჩაის პლანტაციებისადმი სხვა დამოკიდებულება მოსახლეობამ თხილის იტალიური კომპანია - „ფერეროსათვის“ ყოფილი ჩაის სახელმწიფო მეურნეობების მიყიდვისა და მასზე კომპანიის მიერ თხილის გაშენების შემდეგ გამოავლინა. დაინყო ჩაის პლანტაციების უკონტროლოდ ამოძირკვა- გადაწვა, მიუხედავად მიწაზე საკუთრების ფორმებისა.

ნაჩაიარ ფართობებზე თხილის გაშენების ნეგატიური შედეგები მოსახლეობას ჯერ კიდევ წინ აქვს, რადგან იგი ვერ შეძლებს იმ ძვირი ღონისძიებების გატარებას, რასაც ნიადაგის მუკიანობის გასანეიტრალიზაცია კომპანია „ფერერო“ აკეთებს.

აზიური ფაროსანას გავრცელებამ და თხილის კულტურის სხვა მავნებელ- დაავადებების გააქტიურებამ გარკვეულწილად შეანელა მოსახლეობის ინტერესი თხილის კულტურისადმი, მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ თხილის პლანტაციებმა საქართველოში უკვე გადააჭარბა 60 ათას ჰა-ს, საიდანაც თითქმის 50 ათასი ჰა მეჩაიეობის ყოფილ რეგიონებზე მოდის.

მოსახლეობა კვლავ ავლენს ინტერესს მეჩაიეობისადმი, მაგრამ პლანტაციების რეაბილიტაციის, მით უფრო ახალი პლანტაციების გაშენების ფინანსური და ინტელექტუალური რესურსები მას არ გააჩნია. იგი, როგორც გასული საუკუნის 30-იან წლებში, უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მიერ, რითაც შეიქმნება მოსახლეობის სიღარიბისაგან ხსნის შესაძლებლობები, თვით მოსახლეობის აქტიური შრომითი მონაწილეობით.

ჩვენმა წინაპრებმა ბარის, თოხის, წალდის, ნაჯახისა და ცოცხალი გამწევი ძალის გამოყენებით, 1930-40 წლებში - 47

ათასი ჰა ჩაის პლანტაცია გააშენეს ანუ წელიწადში, საშუალოდ 7,5 ათასი ჰა.

დღეს, თანამედროვე ტექნიკური შეიარაღებისა და სახელმ-ნიფოს მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფის შემთხვევაში, ჩაის პლანტაციის აღდგენა, ახლის გაშენებითა თუ ძველის რე-აბილიტაციით, პრობლემას არ ნარმოადგენს. საჭიროა დარგის აღდგენის სწორი პოლიტიკის გატარება ანუ მეჩაიერების პრიო-რიტეტულ მიმართულებად გამოცხადება.

ოპერატიული მონაცემებით, საქართველოში აღსადგენად პერსპექტიული პლანტაციების ფართობი შეადგენს 9075 ჰა-ს. აქედან, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაშია 1965 ჰა, გატყევებუ-ლია-7710 ჰა.

ფოთოლსაკრეფი პლანტაციებიდან სარეაბილიტაციო სა-მუშაოების შესრულება ხელის იარაღების გამოყენებით შესაძ-ლებელია 1363 ჰა-ზე, სამექანიზაციო საშუალებებით-671 ჰა-ზე.

გატყევებული პლანტაციებიდან, ხელის იარაღებით სარეა-ბილიტაციო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია 3824 ჰა-ზე, ხოლო სამექანიზაციო საშუალებებით -3886 ჰა-ზე.

განსაკუთრებით საინტერესოა დანახარჯების მოცულობე-ბი, რომელიც უნდა იქნას განვითარებული ერთ ჰა-ზე, რაც გვაძლევს ნათელ წარმოდგენას იმ შემოსავლებზე , რომელიც სარეაბილი-ტაციო სამუშაოებში ჩართვისას, მოსახლეობამ უნდა მიიღოს.

ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში სამუშაოების ხელის იარაღე-ბით შესრულებისას სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებუ-ლება, გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით, პირველ წელს 1 ჰა-ზე შეადგენს-4598 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს შე-საბამისად-2365 ლარს.

ანალოგიურ პლანტაციაში, სამუშაოების სამექანიზაციო საშუალებებით ჩატარებისას, პირველ წელს დანახარჯი 1 ჰა-ზე შეადგენს 3602 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს შესაბამი-სად 2035 ლარს. დანახარჯები 1 ჰა გატყევებულ პლანტაციაში, სამუშაოების ხელის იარაღებით შესრულებისას, პირველ წელს შეადგენს -5554 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს, შესაბამი-სად-2035 ლარს.

დანახარჯები ერთ 1 ჰა გატყევებულ ჩაის პლანტაციაში, როცა სამუშაოები სრულდება სამექანიზაციო საშუალებებით, შეადგენს პირველ წელს 3212 ლარს, ხოლო მეორე და მესამე წელს შესაბამისად-1950 და 1496 ლარს.

ყველა სახის დანახარჯი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციაზე შეადგენს პირველ წელს 43041 ათას ლარს, მეორე წელს-19176, ხოლო მესამე წელს-17307 ათას ლარს.

ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციის ინკლუზიური ხასიათი ნათლად ჩანს 1 ჰა გატყევებულ პლანტაციაში ჩასატარებელი სამუშაოს ჩამონათვალიდან:

- ხემპერნარების მოჭრა და გამოტანა, ჩაის ბუჩქების გასხვლა და ნასხლავის გამოტანა-1500 ლარი.
- პლანტაციების გადაბარვა ერთჯერ-500 ლარი.
- აზოტიანი სასუქების შეტანა-240 ლარი.
- კომპლექსური სასუქების შეტანა-420 ლარი.
- კომპლექსური სასუქების შეტანა-75 ლარი.
- სასუქების ჩათოხნა-440 ლარი.
- პლანტაციების სარეველებისაგან გაწმენდა-300 ლარი.
- პლანტაციების შემოღობვა(100 გრძივი მეტრი) 1220 ლარი.

სამუშაოების ჩამონათვალიდან ზოგი სახის სამუშაო სრულდება 2-3 ჯერ, რაც ზრდის მუშახელის შრომით მონაწილეობას და შრომის ანაზღაურებას.

რეაბილიტირებული პლანტაციებიდან პირველ წელს მიიღება 29160 ათასი ლარის ღირებულების მზა პროდუქცია. მეორე წელს-83190, ხოლო მესამე წელს-142560 ათასი ლარის.

პლანტაციის რეაბილიტაციაზე გაწეული დანახარჯები იფარება უკვე მეორე წელს, ხოლო პლანტაციების სრულ მოსავლიანობაში შესვლის შემდეგ შესაძლებელი გახდება სულ მცირე 29-30 ათასი ადამიანის დასაქმება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და გარანტირებული ანაზღაურების გაცემა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩაის ხარისხიანი ფოთლის კრეფისათვის ანაზღაურება ყოველწლიურად იზრდება, მოყვანილი მონაცემები ყველაზე პესიმისტურად შეიძლება მივიჩნიოთ.

ამდენად, ყველა პირობა არსებობს მთავრობის მიერ მეჩაიეობის პრიორიტეტად გამოცხადებისათვის, რაც შეესაბამება დასავლეთ საქართველოში მცხოვრები სოციალური ჯგუფების ინტერესებს. ის ხელს შეუწყობს ინკლუზიური ზრდის ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებას. შრომით პროცესში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის ჩართვა გააძლიერებს მათ დამოკიდებულებას შრომის შედეგებისადმი, დადებითდ იმოქმედებს ჩაის ფოთლის კრეფაში ჩართული სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებზეც.

თავი III

მეჩაიერობის რეაგილიტაციის აგროტექნიკური საფუძვლები

3.1.ჩაის მცენარის დაბალი პროდუქტიულობის გამომწვევი ზოგიერთი მიზეზი

საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ჩაის კულტურის ნორმალური ზრდა- განვითარება განპირობებულია ზონის აგროკლიმატური მახასიათებლებით, თუმცა მცენარის ნორმალურ ზრდა- განვითარებას ხელს უშლის რიგი მიზეზებისა, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა.

მოვიყვანთ ზოგიერთ მიზეზს, რომელიც ხელს უშლის ჩაის პროდუქტიულობის მაქსიმალურად გამოვლენას და შევეხებით იმ ძირითად ღონისძიებებს, რომელთა ნორმალურად ჩატარებას ძალუძს მცენარისა და პლანტაციის ნორმალური პროდუქტიულობის აღდგენა.

ჩაის დაბალი მოსავლიანობის გამომწვევი მიზეზები შეიძლება ორ ძირითად კატეგორიად დაიყოს: ბუნებრივ-ისტორიული და ბიოლოგიური. პირველს ეკუთვნის ნიდაგისა და ჰავის გამოუსადეგარობა ჩაის მცენარისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა ნიადაგი არ შეესაბამება ჩაის მცენარის მოთხოვნებს, ან ადგილი მიკროკლიმატური პირობების მიხედვით მიუღებელია ჩაის ინტენსიური კულტურის წარმოებისათვის- ასეთი პლანტაციები ლიკვიდირებული უნდა იქნას და უნდა ვიზრუნოთ მათ შესაცვლელად. ეს მოვლენა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ჩაის გავრცელების ჩრდილოეთ რაიონებში.

ბუნებრივ- ისტორიულ მიზეზებს ეკუთვნის აგრეთვე ნიადაგის ჭარბტენიანობა, მელიჭვილის პორიზონტის ნიადაგის ახლო ზედაპირთან ყოფნა და ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები. ასეთ პლანტაციებში უნდა ვებრძოლოთ დაბალი მოსავლიანობის პირველად მიზეზებს: უნდა მოვაწესრიგოთ წყალმართვი რეჟიმი, შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დავშალოთ მელიჭვილის

ჰორიზონტი -70-80 სმ სიღრმეზე, ჩავატაროთ ღრმა გაფხვიერება, გავამდიდროთ გადარეცხილი ნიადაგები ორგანული ნივთიერებებით, უზრუნველვყოთ ჩაის მცენარის ნორმალური მინერალური კვება და ა.შ.

ამ აგროტექნიკური ღონისძიებებით, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩაის პლანტაცია აღიდგინება და ნორმალურ მოსავალს მოგვცემს. თუ ეს ღონისძიებები არ განხორციელდება და ასეთ ნიადაგებზე მაინც გაშენდება ხელახლა ჩაის პლანტაციები, შედეგი არადამაკმაყოფილებელი იქნება.

ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობის ბიოლოგიურ მიზეზებს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა ჩაის მცენარის ჯოშობრივი არასრულფასოვნება. ჩვენს სუბტროპიკებში ხშირად გვხვდება პლანტაციების გაშენების პრაქტიკა წვრილფოთოლა იაპონური ჯიშებით, რომლებიც ჩვენს პირობებში ყოველთვის დაბალმოსავლიანია.

ჩაის პლანტაციების ასეთი კატეგორია უნდა შეიცვალოს. ასეთ კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე ჩაის მცენარის ბიოლოგიური დაბერება, რაც ჩვეულებრივად ცუდი მოვლისა და ხანგრძლივი მკაცრი ექსპლუატაციის შედეგია.

თუ გამოიცადა აგროტექნიკური ზემოქმედების ყველა ხერხი და პლანტაცია არ გაუმჯობესდა- ის უნდა შეიცვალოს, ხელახლა გაშენდეს.

პლანტაციის პროდუქტიულობის კლების მიზეზთა ბიოლოგიურ კატეგორიას ეკუთვნის აგრეთვე ჯიშების ცუდი სორტიმენტი, რაც აღდგენის ამოცანებისას უნდა იყოს მიღებული მხედველობაში.

სიმეჩრის გამომწვევი ფაქტორები

მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად დასახელებულ მოვლენას. მათი კლასიფირება მრავალგვარ ლიტერატურაში- მრავალგვარია. მცენარის ბიოლოგიური დაბერების გარდა მრავალია მიზეზი, რაც პლანტაციის გამეჩრებას იწვევს. თვითონ

ფაქტი- პლანტაციის გამეჩერება, როგორც შედეგი, შესაძლოა გახდეს სათავე მრავალი თანმდევი მოვლენისა.

მცენარეთა გამოკლება ფართობის ერთეულიდან იწვევს ცარიელი ადგილის გაჩენას პლანტაციაში. ეს უკანასკნელი კი ხდება მიზეზი სარეველების მომრავლებისა.

სიმეჩერითა გამოწვეული ჰაერის მასების ინტენსიური მოძრაობა მცენარეთა ფესვთა სისტემის გავრცელების სიახლოვეს. ეს უკანასკნელი იწვევს ნიადაგის გამოშრობას. ნაკლებეფექტური ხდება მცენარეთა კვების სისტემის დადებითი ეფექტი მცენარეზე, რაც მოსავლის კლების პირდაპირი მიზეზია.

სიმეჩერის თანმდევი პროცესია ნიადაგის ეროზია და მისი ნაყოფიერი ფენის ჩამორეცხვა. ამასთან, თვალსაცემია სასარგებლო ელემენტების გადინება მცენარის რიზოსფეროს ზონიდან.

ჩაის მცენარის გასაშენებელი პლანტაციის პროდუქტიულობა დიდადაა დამოკიდებული მოსამზადებელი პერიოდის ხარისხზე და ეფექტურობაზე. სიმეჩერის ერთ-ერთი მიზეზი გასაშენებლად შერჩეული თესლების არამეთოდურ შერჩევაში უნდა ვეძებოთ.

თესლების შერჩევის ყველა პროცედურა ზუსტად უნდა იქნეს დაცული. ეს კი თანაბარი და პროდუქტიული პლანტაციის მიღების საწინდარია.

ლიტერატურაში სიმეჩერის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად თესლის აღმოცენების დაბალი უნარი სახელდება. როგორც აგრონესებით ცნობილია- დასადგენია ვადები თესვისა, რომლის დარღვევა იწვევს სიმეჩერეს. ამ არასასურველი მოვლენის მიზეზთაგანია აგრეთვე ნიადაგურ- კლიმატური პირობების არახელსაყრელი შეთანაწყობა ჩაის მცენარის მოთხოვნებთან.

დიდია სიმეჩერის გამომწვევ მიზეზთა შორის ნიადაგის წყალმართვი თვისებების როლიც. ჭარბი ტენი უარყოფითად აისახება მცენარის მოვლა- მოყვანაზე.

დიდია ტემპერატურული რეჟიმის ანომალიების უარყოფითი გავლენაც. გვალვა და დაბალი ტემპერატურა შესამჩნევად აფერხებს აღმოცენებას, აღმონაცენის ზრდა- განვითარებას და საბოლოოდ სიმეჩერის მიზეზი ხდება.

საჭიროა მკაცრად დავიცვათ მცენარის მოვლა- მოყვანის აგროტექნიკა. სიფრთხილეა საჭირო ახალი აღმონაცენისათვის მექანიკური ზიანის მიყენების თვალსაზრისით. ჯანსაღი მცენარე სიმეჩერის ლიკვიდირების პრევენციული ზომაა.

ლიტერატურაში მრავლადაა ცნობები იმის შესახებ, თუ რა უარყოფითი გავლენა შესაძლოა იქონიოს მავნებლებმა და დაავადებებმა მცენარის მოვლა- მოყვანის პერიოდში. სწორმა და ინტეგრირებულმა ლონისძიებებმა, რაც ტარდება პლანტაციაში აგრონესების შესაბამისად კარგი შედეგი უნდა მოგვცეს.

ჰერბიციდების სახეებისა და დოზების ოპტიმალური შეთანაწყობა კონკრეტულ ნიადაგურ- კლიმატურ პირობებთან, ქმნის შესანიშნავ ფონს სიმეჩერის პრევენციისათვის. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო ჰერბიციდების ახალი თაობის გამოყენების დროს ჩაის ახალგაზრდა და ფოთოლსაკრეფ პლანტაციაში. რეკომენდაციები, რაც დაშვებულია სუბტროპიკული ზონისათვის, აუცილებლად უნდა შესრულდეს.

ჩაის ინტენსიური კულტურის წარმოებისათვის კვალიფიციური მიდგომა მყარი მოსავლის მიღების ნინაპირობაა. დიდი მნიშვნელობა აქვს სპეციალისტთა კვალიფიკაციის დონეს. ეს ეხება იმ ლონისძიებების წარმატებით ჩატარებას, რაც ჩაის პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციას ეხება. სიზუსტე და თანმიმდევრობა, რაც ჩაის პლანტაციის პირველადი გაშენების დროს იყო- აქაც უნდა გაგრძელდეს.

უარყოფითად აისახება ჩაის პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციის გზაზე მცენარეთა გადარგვის ვადების დარღვევა. მკაცრად უნდა იქნას განსაზღვრული ვადები, თუ რა პერიოდში უნდა მოხდეს ახალგაზრდა პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაცია. ჩატარებული ცდები და საწარმოო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ახალგაზრდა პლანტაციის გაშენებიდან სამი წელინადი ის ოპტიმალური ვადაა, რომლის განმავლობაშიც ის უნდა აღმოიფხვრას.

სიმეჩერის აღმოფხვრის ხერხები

პლანტაციიდან მიზეზთა გამო გამოვარდნილი მცენარის ჩანაცვლების პროცესს- რემონტი ჰქვია. რემონტისათვის მრავალი მეთოდი გამოიყენება. ლიტერატურაში მეთოდთა შორის, სახელდება- რემონტი გამოთესვით. ეს, ის შემთხვევაა, როცა კონდიცირებული თესლით ხდება სიმეჩერის ლიკვიდაცია.

არის შემთხვევა, როცა რემონტს ატარებენ პლანტაციის ასაკის შესაფერისი სტანდარტული ნერგით. ეს უკანასკნელი გულისხმობს სანერგის არსებობას. ეს უკანასკნელი უნდა იყოს საგანგებოდ მოწყობილი ასეთი შემთხვევისათვის.

პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაცია ხდება მოზრდილი ბუჩქების გადარგვითაც. მკაცრადაა განსაზღვრული ასაკი, თუ რომელი მეთოდი რა ასაკის პლანტაციაში უნდა ჩატარდეს, რადგან პლანტაციის თანაბრობა მეტად მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა დუყების შემოსვლის ერთდროულობის უზრუნველსაყოფად.

სრულასაკოვანი პლანტაციის სიმეჩერის ლიკვიდაციისათვის გამოთხვით რემონტი გამოსადეგი არაა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მიზეზთა აღმოფხვრას, რამაც სიმეჩერე გამოიწვია. ამისათვის საჭიროა მცენარის ბიოლოგიისა და მოვლა- მოყვანის პირობების ზედმიწევნით კარგად ცოდნა. მიზეზის ლიკვიდაციის კვალობაზე რემონტის შესაბამისი ხერხის გამოყენება მეტად ეფექტურია.

ნარგაობის თესლით რემონტი

ამ მეთოდის გამოყენებას თავისი სპეციფიკა აქვს. რემონტის ეს სახე მკაცრადაა ლიმიტირებული ასაკით. მისაღებია მისი გამოყენება ახალგაზრდა პლანტაციაში, რომლის ასაკიც სამწლამდეა.

ბუდნაში ჩათესილი 5-6 თესლი იფარება ფხვიერი მიწით. სასურველია ნათესი ადგილი დაიფაროს მულჩით. საჭიროა ნათესი ადგილი მოვარიდოთ დაზიანებას. ამ მიზნით ბუდნის ცენტრში უნდა ჩავასოთ პალო.

თესვის ვადები ტიპურია, განსაზღვრული მოქმედი აგრონე-სებით (15 ნოემბერი-15 მარტი). უპირატესობა ენიჭება თესლის საშემოდგომო თესვას. სხვა, დანარჩენ შემთხვევაში სიმეჩერის დასაძლევად გამოიყენება ნერგი.

ნერგით რემონტის მეთოდი

ამ ღონისძიების გატარებისათვის დღის წესრიგში დგება სა-ნერგის არსებობა.

ნერგის დასარგავად ადგილი წინასწარ უნდა მომზადდეს. საჭიროა ნიადაგის დამუშავება 35-40 სმ სიღრმეზე და შეაქვთ ფოსფორიანი სასუქი. რგვის მომენტში კარგია ბუდნაში ნაკე-ლის ან ტორფის შეტანა. შესაძლოა ბუდნა გამდიდრდეს ტყის მიწით იმ ანგარიშით, რომ ერთი ვედრო მიწა ოთხ ბუდნაზე გა-ნაწილდეს.

გადარგული მცენარეების მიმართ ტარდება აგრონესებით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება. უპირატესობა ენიჭება პლანტაციის რემონტის შემოდგომის პერიოდს. რემონტის ად-გილების მონიშვნა ხდება პალოებით. თუ მოსალოდნელ შედეგს გავითვალისწინებთ, უმჯობესია ამ მიზნისათვის გამოვიყენოთ პალიეტილენის პარკებში გამოყვანილი ნერგები.

ახალგაზრდა აღმონაცენის მიმართ უნდა გატარდეს საგან-გებო ღონისძიებები, რაც ახალი აღმონაცენის დაცვაში მდგო-მარეობს. ახალი აღმონაცენები აპრილ-მაისში მზის პირდაპირი ინსოლაციისა და გვალვის მავნე გავლენისაგან უნდა დავიცვათ. უნდა მოეწყოს სპეცმონიუმბილობა ახალგაზრდა აღმონაცენის დასაჩრდილად -დოლბანდი, ჩელტი, ფარი და სხვა.

ნერგების ჩამოყალიბების გზაზე ნათესარები გადიან ჩვე-ულებრივ გზას და ექვემდებარებიან მორნყვას, ბრძოლის წარ-მართვას მავნებელებისა და დაავადებების წინააღმდეგ.

ზოგჯერ ნებადართულია ზრდის რომელიმე სტიმულატორის გამოყენება -ზრდის დასაჩქარებლად. ასეთი ნივთიერების გამო-ყენება უნდა მივუსადაგოთ მცენარის ზრდა- განვითარების რო-

მელიმე ფაზას. მათი გამოყენება შესაძლებელია 4-5 ნორმალური ფოთლის გამოჩენის ფაზაში. რწყავენ მათ ამონიუმის გვარჯილის 0,5%-იანი და ამონიუმის სულფატის 1%-იანი ხსნარით.

ჩაის ნერგებს წაეყენებათ სტანდარტების მოთხოვნები, რასაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ. ერთი ნლის ნერგი უნდა იყოს 20-25 სმ სიმაღლის. ნერგის შეფოთვლა სტანდარტის გარკვეული მაჩვენებელია. ფოთლის რაოდენობა სტანდარტულ ნერგზე 12-16 ცალი უნდა იყოს.

რაც შეეხება ფესვთა სისტემას, ის უნდა ხასიათდებოდეს ნიადაგთან მოჭიდების კარგი უნარით. მისი გავრცელების ხასიათი უნდა იყოს კარგი. ფესვი ფორმით- ფუნჯა უნდა იყოს, დამახასიათებელი ჯიშისათვის.

ნერგის შტამპის დიამეტრი უნდა იყოს არა ნაკლებ 3-5 მმ-ისა. თუ რომელიმე ნერგი არ პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს- ისინი უნდა ჩავაყენოთ მოვლა- მოყვანის საგანგებო პირობებში.

დადებითი ნერგის პარკებში გამოყვანის მეთოდში ისაა, რომ ადვილია მათი ტრანსპორტირება- მიუხედავად დანახარჯისა. რაც მთავარია, მათთვის გადარგვა- რეგენერაცია არ მოითხოვს დამატებით დანახარჯებს და უმტკივნეულოა.

რაც შეეხება ასეთნაირად ნერგების გამოყვანის დანახარჯებს, ის სხვადასხვაა ჯიშის, მცენარის გავრცელების ზონის, გაშენების მეთოდისა და კულტურის ინტენსიური ტექნოლოგიის სახეების მიხედვით.

ყველა შემთხვევაში ნერგების ამგვარი გამოყვანა ფინანსურად გამართლებულია და მეთოდიც- აპრობირებული. საჭიროა სარემონტო ადგილის საგანგებოდ მომზადება, რაც გარკვეული აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას გულისხმობს.

საჭიროა ნიადაგის გადაბარვა 35-40 სმ სიღრმეზე -40-60 სმ სიგანის ზოლით. სასურველია ნიადაგი გადაბარვისთანავე გამდიდრდეს და შევიტანოთ ფოსფორი-ანგარიშით 50 გრ ერთ კვადრატულ მეტრზე. დარგვის წინ პალოებით მონიშნულ ადგილებში იღებენ ორმოებს.

საჭიროა მკაცრად დავიცვათ ნერგის დარგვის წესი - კოშტი ისე უნდა მოვათაესოთ, რომ მისი ზედა ნაწილი უნდა იყოს 2-3 სმ მაღლა ნიადაგის ზედაპირთან შედარებით. კოშტების ირგვლივ უნდა მოვაყაროთ ფხვიერი მიწა და მივატყეპნოთ.

კარგ შედეგს იძლევა დარგვის ადგილის დამულჩვა სხვადას-ხვა მასალით. ამ მიზნისათვის შესაძლოა გამოვიყენოთ ტორფი, ხმელი ბალახი, ფოთლები, თივა.

უნდა აღინიშნოს, რომ სათესლე და სადედე პლანტაციებში მეჩერი ადგილების რემონტს ატარებენ იმავე ჯიშის ნერგებითა და თესლით.

არის რემონტის სხვა სახეც, რომელიც წარმატებით გამოიყენება ამოცანის შესასრულებლად. ამ მეთოდის გამოყენებას ხელს უნდა უწყობდეს მცენარის ფიზიოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობა. დიდადა დამოკიდებული მისი ეფექტურობა ჯიშზე, ადგილზე, მცენარის გამრავლების წესზე, აგროტექნიკის დონეზე.

რემონტი გადაწვენით

ამ ღონისძიებისათვის მცენარე უნდა იყოს მძლავრად განვითარებული, რადგან გადანაწვენი უნდა მივიღოთ მაღალმოსავლიანი ბუჩქებისაგან. ამაში იგულისხმება მედეგობა დაავა-დებისა და ავადმყოფობების მიმართ, პროდუქტიულობა და სხვა მაჩვენებლები.

გადაწვენისათვის გამოყოფენ გაზაფხულზე გვერდით ყლორტებს ბუჩქებიდან, რომლებიც მიმართულია შპალერის რიგის მხარეზე. ასეთ ყლორტებს გაზაფხულზე არ სხლავენ და კრეფას მათზე არ აწარმოებენ.

საგანგებო ღონისძიებაა შესრულების თვალსაზრისით - რე-მონტი მოზრდილი ბუჩქით. მოზრდილი ბუჩქის ამოთხრა მიწის კოშტით სწარმოებს სიფრთხილითა და მომზადებულ ორმოში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიების ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება დასახელდეს მცენარის ჯიში, მოვლა-მოყვანის პირობები, ადგილმდებარეობა, მცენარის განვითარების ხასიათი.

პროცესის ჩატარების სიადვილე დიდადაა დამოკიდებული შემსრულებლის კვალიფიკაციაზე. უპირატესობა მეთოდის ჩატარებისას უნდა მიენიჭოს შემოდგომის პერიოდს, რადგან მიწასთან კონტაქტი და შემდგომი პერიოდისათვის მომზადება უკეთესად ხდება.

უნდა ჩავატაროთ გადარგული ბუჩქების გასხვლა ფესვის ყელიდან 15-20 სმ სიმაღლეზე. ძალიან დიდია ასეთი მეთოდით გადარგული ბუჩქების გახარების პროცენტი და ის შეადგენს-95-100-ს.

ამ მეთოდის დადებითი არსი ძირითადის გარდა (პლანტაციის რემონტი) ისაა, რომ მისი განხორციელება ხდება მცენარეების შპალერების კიდეებთან, რომელსაც ამზადებენ კომპლექსური მექანიზაციისათვის. ღონისძიებისათვის შესაძლოა გამოყენოთ ნერგები ისეთი პლანტაციებიდან, რომლებიც ექვემდებარებიან ჩამოწერას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია გადარგულ მცენარეთა მოვლა, რომელიც განსაზღვრულ რეჟიმში უნდა ჩატარდეს. ზაფხულის გვალვების დროს გადანაწვენებს აუცილებლად რწყავენ და ნიადაგი უნდა დაიფაროს მულჩით. დაფესვიანებული ყლორტებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში ფოთლის კრეფას არ აწარმოებენ, ხოლო შემდეგ მას სხლავენ - ახალგაზრდა ჩაის მცენარის ფორმირების საერთო წესის შესაბამისად.

გადარგული მცენარეები ან თესლნერგები მოითხოვენ განსაკუთრებულ მოვლას, რომელიც მდგომარეობს სისტემატურ გამოხლვაში, გაფხვიერებაში, მორწყვაში, სასუქების შეტანაში, წუნდებასა და შერჩევაში.

გამორგული თესლნერგები და ნერგები, ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში მიყვანამდე, მოითხოვენ ინდივიდუალურ მოვლას.

3.2. ჩაის მცენარის დასუსტებისა და მოსავლიანობის დაქვეითების ფაქტორები

ცუდი აგროტექნიკა- აგროტექნიკის მაღალი ფონის არსებობაში დიდი დარწმუნება არავის სჭირდება. ბუნებრივია, კვების არარაციონალური წარმოება დიდ როლს თამაშობს მცენარეთა დაკნინებაში. მეცნიერული მონაცემებით დადგენილია, რომ ყველა აგროტექნიკური ღონისძიებიდან, რაც ჩაის პლანტაციაში ტარდება- ეფექტის თითქმის ნახევარი სასუქებზე მოდის.

ბოლო პერიოდში ქვეყნად განვითარებული მოვლენების გამო და სოფლის მეურნეობის სტაგნაციის მიზეზით, ბუნებრივია, დაეცა სასუქების ეფექტურად გამოყენება, რამაც დიდი როლი ითამაშა მცენარეთა დაკნინებაში. ამას დაერთო ცუდი აგროტექნიკა და, საერთოდ, აგროტექნიკის როგორც ასეთის არასებობა.

გასხვლის ღონისძიების უგულებელყოფა და მისი უხარისხოდ შესრულება

ცნობილია, რომ ჩაის კულტურის მოვლა- მოყვანის ძირითადი მიზანი მისგან ნაზი დუყების მიღებაა. მართალია, მცენარეს ფილოგენური განვითარების გზაზე ჩამოყალიბებული აქვს ზრდა- განვითარების თავისებური ბიორიტმი, მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება მისგან იძულებით გადაცვევა.

ჩაის პლანტაციის დაკნინებისა და გადაგვარების ის პროცესი, რაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა, გამოწვეული იყო გაუსხლავად მცენარეების მიტოვების გამო.

ცნობილია, რომ გაუსხლავად მიტოვებული მცენარე ხეხილს ემსგავსება. ჩაის მცენარის ბიოლოგიდან გამომდინარე, მცენარისათვის დამახასიათებელია ზაფხულის პირველი ნახევრის აქტიური ვეგეტაცია. ზაფხულის მეორე ნახევარში მცენარე გადადის რეპროდუქციული ორგანოების განვითარების ფაზა-ში- ესაა ყვავილობის ინტენსივობა და ნაყოფმსხმიარობა.

მცენარის სასიცოცხლო ბიორიტმის ჩვენს სამსახურში ჩა-
ყენება მთავარი სამეურნეო დანიშნულების ამოცანაა. საჭიროა
მცენარის ყლორტნარმოქმნის პროცესის გაუმჯობესება და შე-
სუსტება რეპროდუქციული აქტივობისა. ამ პროცესის რეგული-
რებისათვის საუკეთესო მეთოდია გასხვლა. გაუსხლავი მცენარე
აქვეითებს მოსავალს. რაც მთავარია, კნინდება ნორჩი ყლორ-
ტების ზრდა. როგორც ირკვევა ეს ქირურგიული ოპერაცია მცე-
ნარეზე ყლორტ და ფოთოლნარმოქმნის სტიმიულაციას ახდენს.
გაუსხვლელობის შემთხვევაში მყარდება გარკვეული წონას-
წორობა მცენარის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებს შორის.
არის გამოკვლევები იმის შესახებ, რომ თუ რა თანაფარდობაა
მცენარის მიერ გაუსხვლელობის შემთხვევაში ყლორტნარმოქმ-
ნისა -გასხლულთან შედარებით. პროცენტული შეფარდებით ეს
ასე გამოიხატება 20:30%. გასხვლის უპირატესობა აშკარაა. თვი-
ოთონ ჩაის მცენარის დატოტვის ტიპიც იცვლება გასხვლის გამო-
მონოპოდიურიდან დატოტვის ხასიათი სიმპოდიურით იცვლება.

გაუსხვლელობა აფერხებს ახალი ყლორტების ნარმოქმნის
უნარს. მცენარეში ნელდება ისეთი პროცესი, როგორიცაა რე-
გენერაცია- მოცილებული ვეგეტაციური ნაწილების სწრაფად
აღდგენის უნარი. გაუსხლავად დატოვებული ჩაის ბუჩქი 10-15
დღით ადრე იწყებს ვეგეტაციას, ვიდრე გასხლული. აქ არის
ერთი მომენტიც- გაუსხლავად დატოვებული ადრე წყვეტს ვე-
გეტაციას. გასხლული მცენარე კი აგრძელებს ვეგეტაციას ოქ-
ტომბრის ბოლომდე.

გაუსხლავად დატოვებულ მცენარეში ქვეითდება ფიზი-
ოლოგიური პროცესები- ფოტოსინთეზი, სუნთქვა და ტრანს-
პირაცია. გაუსხლავად დატოვებული მცენარე დატოვებულია
პროფილაქტიკური ღონისძიების გარეშე, რომ არ დაავადდეს
მცენარე დაავადებითა და არ დაზიანდეს მავნებლებით. გა-
უსხლავად დატოვებული მცენარე დატოვებულია დამატებითი
გამოკვების გარეშეც, რადგან განასხლავი მასალა ამდიდრებს
ნიადაგს ორგანული ნივთიერებებით. განასხლავი მასალა საუ-
კეთესო მულჩია ნიდაგის ტენის რეგულირებისათვის და წყალ-
მართვი პროცესების რეგულირებისათვის.

გასხვლის გარეშე პლანტაციის დატოვება აძლიერებს ისეთ პროცესებს, როგორიცაა სარეველების გამრავლება და სტიმულირდება ეროზია - გადარეცხვის პროცესები. გაუსხვლელობისას ფერხდება აგრეთვე გენერაციული ორგანოების მოქმედების ინტენსივობა.

გაუსხვლელობა უკარგავს მცენარეს სასურველ ფორმას და ამით აფერხებს პლანტაციაში ხელითა და მექანიზაციის აპარატების მუშაობის შესაძლებლობას. გასხვლის გარეშე პრაქტიკულად იხსნება დღის წესრიგიდან დუყების შემოსვლის ერთდღოულობა, ფერხდება დაავადებებისა და ავადმყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა.

ჩაის პლანტაციის დაჩაჩანაკების ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე მოსავლის აღების არასინქრონულობა, შემოსული დუყების აღების გრაფიკის დარღვევა, სამუშაოთა დაგეგმვის არაკეთილსამედოობა.

კრეფის პროცესი ერთიანი და მწყობრი პროცესია, რომლის წესების გათვალისწინება სასურველია. ის დამუშავებულია ჩაის ბუჩქის მდგომარეობის, ბიოლოგიურ-ჯიშური თავისებურებების, გარემოსა და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით. ამ სისტემის ძირითადი მახასიათებელია ჩაის ფოთლის კრეფის განუწყვეტილობა, ტექნიკურად მომწიფებული ფოთლის დროული კრეფა. დაგვიანებული კრეფა იწვევს მოსავლის დაკარგვას და ხარისხის დაცემას. რაც შეეხება შემოუსვლელი დუყების კრეფას, ის მოსავალს ამცირებს და ასუსტებს ბუჩქებს.

ტექნიკურად მომწიფებული ფოთოლი თუ დროზე არ მოიკრიფა, ის უხეშდება, გადასამუშავებლად უვარგისია და წარმოებისათვის დანაკარგი ხდება. გაუხეშება იწვევს ბუჩქების დაწინებას და ხელს უშლის ფოთლის კრეფის განუწყვეტილობას.

ბუჩქის დაკნინებისა და პლანტაციის შემდგომი მოსავლი-ანობის დაცემის ერთ-ერთი მიზეზია აგრეთვე-გასხვლის სახეებთან ფოთლის კრეფის წესისა და სახის მიუსადაგებლობა-საჭიროა გათვალისწინება იმისა, რომ მძიმედ განასხლავ ბუჩქებზე გვერდითი ტოტების ფოთოლი არ მოიკრიფოს, ვიდრე ისინი ბუჩქის საერთო სიმაღლეს არ მიაღწევენ.

არასასურველი მოვლენების სათავეა მძიმედ გასხლულ პლანტაციებში ფოთლის კრეფის გაუფრთხილებლობა და არა-პასუხისმგებელი მიდგომა, ფოთლის კრეფის ვადების დაუცველობა და ნაადრევად დაწყება. ამ უკანასკნელმა შესაძლოა გა-მოიწვიოს ბუჩქის დასუსტება და ზოგ შემთხვევაში დაღუპვაც კი.

ერთ-ერთ მიზეზად პლანტაციის დაკნინებისა-მიიჩნევა აგ-რეთვე პლანტაციაში გამოსაყენებული მექანიზაციის საშუალებების არარაციონალური გამოყენება - მათ მიერ ზოგჯერ მცენარისათვის მიყენებული მექანიკური ზიანი შესაძლოა გახდეს მცენარის მწყობრიდან გამოსვლის მიზეზიც. ნიადაგურ-კლი-მატური და ოროგრაფიული პირობების მიხედვით მექანიზაციის საშუალებების არაშეთანაწყობილმა გამოყენებამ შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს.

დღიდი და მძიმე გაბარიტების მქონე მანქანა-დანადგარების გამოყენებამ არადანიშულებისამებრ, შესაძლოა ისედაც და-ტენიანებული ჩვენი ნიადაგების დატკეპნა გამოიწვიოს, რაც ნიადაგის წყალმართვი და ფიზიკური თვისებების გაუარესების ერთ-ერთი საფუძველია. ეს უკანასკნელი კი აისახება ბუჩქებისა და პლანტაციის ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე. მექანიზაციის გამოყენებისას მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა ხელით საკრეფი, ნიადაგდამამუშავებელი და მძიმესასხლავი მოწყობილობებისა და ტრაქტორების მიზანმიმართული გამოყენება.

პლანტაციაში მექანიზებული საშუალებების ეფექტური გამოყენებისათვის და არასასიამოვნო მოვლენების გამოსარიცხად დღიდი მნიშვნელობა აქვს სამუშაოთა ხარისხიანად ჩატარებას. საჭიროა პლანტაციების წინასწარ მომზადება ასეთი კრეფისათვის და სამუშაოების ჩატარებისათვის. საჭიროა პლანტაციების მეჩერიანობის მინიმუმამდე დაყვანა და გამორიცხვა. სასურველია შეიქმნას ერთიანი შპალერები ასეთი კრეფისათვის. გასხვლები უნდა ჩატარდეს ერთიან სიმაღლეზე და ხარისხიანად. აუცილებელია სათადარიგო გზებისა და ფართო-

ბების არსებობა. მექანიზაციის სწორი გამოყენება გამორიცხავს არასასურველ შედეგს და ხელს შეუწყობს პლანტაციის ჯანსაღად შენარჩუნებას.

პლანტაციის პროდუქტიულობის შემცირებისა და დაკნინების მიზეზი შეიძლება გახდეს ვეგეტაციური ნაწილების ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ტენის დეფიციტი, რაც გამონვეულია ბუნებრივი პირობებით - ტენის არასაკმარისობის გამო საჭირო დროს და, საერთოდ, ნალექების არარაციონალური განაწილებით დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში.

წყლისა და შესათვისებელი ტენის დეფიციტი იწვევს მცენარეში რიგ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მცენარის დაკნინებას. ტენის დეფიციტი იწვევს კვირტის აქტიური ზრდის მდგომარეობაში გადასვლის შეფერხებას, ფარული ზრდის პერიოდისა და დიფერენცირების შეფერხებას.

მცენარის ზრდა- განვითარების შეფერხების მიზეზი შესაძლოა იყოს ნიადაგური და ჰაერის შეფარდებითი ტენის დეფიციტი, რაც დაწვიმებითი მორნევის შედეგად აღმოიფხვრება. მორნევის ეს მეთოდი გარდა იმისა, რომ ტენით უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფაქტორია და მოსავლის გაზრდისა, ხელს უშლის მცენარეში დეგენერაციული პროცესების წარმოშობა- განვითარებას.

მიზეზთა შორის აღსანიშნავია არახელსაყრელი კლიმატური პირობები, ცუდი აგროტექნიკა და კვების რეზიმის დარღვევა-ცნობილი მეცნიერი ს.ქ. ფირცხალაიშვილი ყრუ დუყების წარმოქმნის ერთ-ერთ მიზეზად თვლის ბუჩქების ცხოველმყოფელობის დარღვევას, განსაკუთრებით ტენისა და საკვებ ნივთიერებათა უკმარისობას. ამის გათვალისწინებას შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ყრუ ყლორტების წარმოქმნის ალბათობა.

ჩაის ბუჩქის ნორმალური ცხოველმყოფელობის დამრღვევი მიზეზები შემდეგია: 1) ყლორტების წარმოქმნის ტალღისებრი ხასიათი, 2) ტენის დეფიციტი ან სიჭარბე, 3) ჰაერის ტემპერატურის დაცემა ან მკვეთრი რყევა, 4) საკვები ნივთიერების უკმარი-

სობა, 5) ჩაის პლანტაციაში სარეველების, მავნებლებისა ავადმყოფობების გავრცელება, 6) ბუჩქის ვარჯის ზედმეტად გადაზრდა მოცულობაში და სიმაღლეზე, 7) ჩონჩხის ტოტების დაბერება, კვანძების წარმოქმნა და წვენთა მოძრაობის შესუსტება, 8) ჩაის ბუჩქის არასწორი ექსპლუატაცია ან ფოთლის ზედმეტად მკაცრი კრეფა.

ბუჩქის დასუსტება და დაჩაჩანაკება, აგრეთვე ყრუ ყლორტების წარმოქმნა, პირდაპირ კავშირშია კრეფის სახეებთან. მისი სწორი დიფერენცირება და მისადაგება ბუჩქის მდგომარეობასთან, მცენარის ჯიშთან, მოვლა- მოყვანის პირობებთან, ნაკვეთის მდგომარეობასთან, ძალიან ძლიერი ფაქტორია უარყოფითი მოვლენის გამოსარიცხად. ყრუ ყლორტების წარმოქმნის ინტენსივობა პირდაპირ კავშირშია კრეფის წესთან და, პირველ რიგში, მკაცრ კრეფასთან. ყრუ ყლორტების მასობრივი განვითარება, მკაცრი კრეფის შედეგად, განპირობებულია ბუჩქის დასუსტებით. ორგანული ნივთიერების სინთეზი განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ახალგაზრდა, ნაზ ფოთლებში, ამიტომ სჭიროა ახალგაზრდა ფოთლების გარკვეული რაოდენობის დატოვება მიმდინარე წლის ნაზარდებზე. მკაცრი კრეფის დროს ნეკზე ტოვებენ მხოლოდ თევზა ფოთოლს. დატოვებული თევზა ფოთლები თუმცა კი იჩენენ შესაფერის გააქტივებას, მაგრამ მათი ცხოველმყოფელობა არასაკმარისია ბუჩქების ნორმალური განვითარებისათვის.

ბუჩქების დაკრინება- დაჩაჩანაკების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ისეთი ღონისძიებების დროულად ჩატარება, როგორიცაა ფოთლის კრეფის დროულობის დაცვა. დარღვევადისპროპორცია ფოთლის შემოსულ მოსავალსა და ასაღებ პერიოდს შორის, უარყოფითი მოვლენის აღმოცენების წინაპირობაა. ფოთლის კრეფის ადრე დაწყება ან დაგვიანება ერთნაირი ზიანის მომტანია მცენარის ზრდა- განვითარებისათვის. მასთან კავშირშია ნედლეულის ხარისხი და, რაც მთავარია, აძლიერებს გენერაციულ აქტივობას მცენარისა. ეს უკანასკნელი კი იწვევს ვეგეტაციური მოქმედების დათრგუნვას ბუჩქზე.

ბუჩქის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს უწყობს ფოთლის სწორი და დროული კრეფა. ეს ანესრიგებს ახალი ნორმალური დუყების ნარმოქმნის ინტენსივობას და ამ-ცირებს ყრუ დუყების ნარმოქმნის პროცესს. ყრუ ყლორტების რაოდენობასა და ბუჩქის სისუსტეს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. რანაირიც არ უნდა იყოს ეს ურთიერთობა, ის მა-ინც მიუთითებს ბუჩქის ცხოველმყოფელობის შესუსტებაზე და მიანიშნებს მცენარის კვების გაუარესებაზე. ბუჩქის მდგომა-რეობის გაუარესების წინააღმდეგ და ყრუ ყლორტის ნარმოქ-მნის შესაფერხებლად მეთოდების ძიება ძალზე მნიშვნელოვა-ნია. ფაქტია, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მექანიკური კრეფის გზით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს ყრუ ყლორტების ნარმოქმნის მიზეზები და დაისახოს ამ მოვლენის თავიდან აცილების აგროტექნიკური ღონისძიებების სისტემა. მიზეზთა აღმოფხვრის მეთოდებს ჩვენ ცოტა ქვემოთ განვიხი-ლავთ, მაგრამ დავსძენთ იმას, რომ პლანტაციის განოყირების სისტემის მონესრიგება მძლავრი ფაქტორია. ამავე ღონისძიე-ბის ნაწილია მორწყვა, დამულჩვა, გაფხვიერება, მეჩერიიანობის ლიკვიდაცია, მცენარის ვარჯის მოვლა, კვების ნორმალური პი-რობების დაცვა.

მცენარეთა დაკნინებისა და გადაგვარების ერთ-ერთი მიზე-ზია ე.წ. არასტაბილური ჯიშებით პლანტაციის გაშენება - ასეთი მცენარეების არსებობა მიანიშნებს, როგორც მემკვიდრულად გამოუთანაბრებულის არსებობაზე და მათში სასარგებლო თვი-სებების არასტაბილურობაზე. ჩაის სტაბილური სელექციური ჯიშები და მათი ვეგეტაციური ნამრავლი მცენარეები პლანტა-ციის სტაბილურობის გარანტია. საქართველოში ჰიბრიდიზა-ციით, კლონური სელექციითა და ვეგეტაციური გამრავლებით მიღებულია ისეთი ჯიშები, რომლებიც გამოირჩევიან სტაბილუ-რობით და ნაკლებად ექვემდებარებიან გადაგვარებას.

პლანტაციის გადაგვარებას იწვევს ცუდი ნიადაგური პი-რობები- რომელიც რაღაც მიზეზის გამო შეირჩა ჩაის გასაშე-ნებლად. არანოყიერი, ნეშომპალით გაღარიბებული, არასტ-

რუქტურული ნიადაგები, ნიადაგის არასაჭირო რეაქციით ჩაისათვის- იწვევს პლანტაციის გადაგვარებას. ამას ,ბუნებრივია, ემატება აგროტექნიკის დაბალი დონე და სახე, რაც ხშირად გვხვდება ჩვენს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობაში.

ნიადაგის არასარულფასოვანი შემადგენლობა და არასაკმარისი წყალმართვი თვისებები მცენარის დაკნინების წინაპირობაა.

ჩაის გასაშენებლად სრულიად გამოუსადეგარია ტუტე და ნეიტრალური ნიადაგები. ეს ფაქტორიც არის ერთ-ერთი მიზეზი პლანტაციის დაკნინებისა და მწყობრიდან გამოსვლისა - დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ბიოლოგიური მარკერების არსებობას, რაც საჭიროა ჩაის გაშენების დიაგნოსტიკისათვის(გვიმრა-*Pteridium Aquilinum*).

ნიადაგის არის არასასურველი რეაქცია სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია პლანტაციის დაჩაჩანაკებისა. ნეიტრალური რეაქციის ნიადაგებზე ჩაის მცენარეები სუსტად იზრდება, ხოლო ტუტე რეაქციის მქონე კარბონატულ ნიადაგებზე, რომლებიც ერთი მეტრის სისქის ფენაში 3%- ზე მეტ *CaCO₃*- შეიცავს- ჩაის მცენარეები უბრალოდ იღუპებიან.

ჩაის ბუჩქის დაკნინების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გახდეს ტენის დეფიციტი ნიადაგში-ისე, როგორც ტენის დეფიციტს, სიჭარბესაც შეუძლია დააკნინოს მცენარე. ჭარბტენიანობა და მისგან გამომდინარე მოვლენები უარყოფითად მოქმდებენ მცენარისა და, ზოგადად, პლანტაციის მდგომარეობაზე. ჭარბტენიანი ნიადაგი ცივია და მასზე მცენარეები გვიან ინყებენ ვეგეტაციას. ტენის ნაკლებობისას ვეგეტაცია ქვეითდება. ადგილი აქვს ბუჩქებზე ყრუ ყლორტების წარმოქმნას. ბუნებრივია, განსხვავებულია ნიადაგის მექანიკური შემადგენლობი-დან გამომდინარე, ოპტიმალური ტენიანობაც (მისი ოპტიმუმი უნდა იყოს 80-85%).

ჩაის მცენარის დაკნინების მიზეზი შესაძლოა გახდეს ნიადა-გის მექანიკური შემადგენლობაც-ასევე მნიშვნელოვანია კლიმა-ტური ფაქტორების შემადგენელი ელემენტების ოპტიმუმი, რაც გამოიხატება მცენარეთა ნორმალურ ზრდა- განვითარებაში.

კლიმატური ფაქტორებიდან ჩაის მცენარისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია - სითბო, სინათლე, ჰაერის შეფარდებითი ტენი-ანობა, ატმოსფერული ნალექები, ქარები.

ნიადაგისა და ჰაერის ტენის ოპტიმალური საზღვრების დარღვევა უარყოფითად აისახება ჩაის მცენარის განვითარებაზე - ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა იმ ზონისა, სადაც ჩაის ინტენსიური კულტურით არიან დაკავებული არ უნდა იყოს 70-75%-ზე ნაკლები ან მაღალი. ვეგეტაციის მეორე პერიოდისათვის ეს მონაცემები უნდა შეიცვალოს და უნდა იყოს 75-80%-ი. უფრო დაბალი შეფარდებითი ტენი უარყოფითად მოქმედებს ყლორტების წარმოქმნაზე.

ნიადაგისა და ჰაერის ტენის ნაკლებობისას ნაზი ყლორტების ზრდა ძლიერ ნელდება, ყლორტები უზეშდება, წარმოიქმნება ყრუ ყლორტების დიდი რაოდენობა, რის შედეგად ჩაის მოსავალი ეცემა და ხარისხი უარესდება.

ჩაის მცენარის ზრდა - განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მოსული ნალექების რაოდენობის არათანაბარი და არა-რაციონალური განაწილება ჩაის კულტურის მოვლა- მოყვანის ზონაში-თუ ღონისძიებები კარგად არ ჩატარდა, მაშინ ის დადგენილი ნორმა, რაც ჩაის მცენარეს სჭირდება კონკრეტულ პერიოდში (100 მმ ნალექი თვის განმავლობაში) - ვერ მიეწოდება და ფერხდება სასიცოცხლო პროცესები. წელიწადში ჩაისათვის საჭირო ოპტიმალური ნალექების რაოდენობაა - 1200-1300 მმ ნალექი, ხოლო ვეგეტაციის პერიოდში - 600-800 მმ.

უარყოფითი ფაქტორებიდან ერთ-ერთი, რაც აფერხებს ჩაის მცენარის ცხოველმყოფელობის უნარს - ესაა ქარები - ისინი უარყოფითად მოქმედებს ჩაის მცენარის ცხოველმყოფელობაზე. მშრალი და ცხელი ქარები მკვეთრად აქვეითებს ჰაერის შეფარდებით ტენიანობას, რის შედეგად ტენის შემცველობა ჩაის ბურქის ნაზ ყლორტებში მცირდება. ეს იწვევს მცენარის ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური მსვლელობის დარღვევას. ცალკეულ შემთხვევაში - ყლორტები ჭკნება, ბურქები სუსტდება, მოსავალი მცირდება. არის მონაცემები, რომლებიც მიუთი-

თებენ იმაზე, რომ ასეთი პროცესების შედეგად, შესაძლოა მოსავლიანობის კლებამ 60 %-ს მიაღწიოს. ქარსაფარი ზოლების მოწყობა იქ, სადაც ეს აუცილებელია, არის ის აუცილებელი ღონისძიება რომლის არარსებობის გამოც მოსავალი ასე ეცემა.

ჩაის მცენარეთა სიჯანსაღის დარღვევის ერთ-ერთი მიზე-ზია აგრეთვე გაუთვალისწინებლობა ისეთი ფაქტორებისა, როგორიცაა ნიადაგის საფარის სხვადასხვაობა ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით - ცნობილია, რომ ზღვის დონიდან სიმაღლე გავლენას ახდენს ნიადაგის საფარზეც. შავი ზღვის სანაპირო დაბლობ სუბტროპიკულ ზონაში- 500 მ სიმაღლემდე გავრცელებულია ენერი, ალუვიური და ჭარბტენიანი ნიადაგები, ხოლო ბორცვიან, მთისწინა ზონაში გავრცელებულიანითელმიწები და ყვითელმიწები. ჩაის საწარმოო პლანტაციების გაშენებისას და მისი ინტენსიური კულტურის წარმოების პროცესში, ასეთი ნიუანსების გაუთვალისწინებლობა იწვევს უარყოფით შედეგებს, რომელთა გამოსწორება შემდეგ ძნელია.

ჩაის მცენარის ფიზიკური და გენერაციული აქტივობა იცვლება გასაშენებელი ფართობის ექსპოზიციის მიხედვით. საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული ექსპოზიცია, რაც თავის მხრივ პასუხობს ჩაის მცენარისათვის მოთხოვნებს ნიადაგის ტიპზე, წყალმართვ რეჟიმზე და ტემპერატურაზე. ამ პროცესის იგნორირება იწვევს დისპროპორციას ჩაის მცენარის მოთხოვნილებასა და რეალურად არსებულ პირობებს შორის. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, რაც აუცილებელია ჩაის მცენარისათვის- ჩაის გასაშენებელ სამხრეთ ექსპოზიციაზე მეტია, ვიდრე ჩრდილოეთით. მკვეთრად იცვლება ნიადაგის ტიპიც ექსპოზიციის მიხედვით. ხშირია შემთხვევა, როცა ჩაის საწარმოო პლანტაციის გაშენებისას ნაკლები ყურადღება ექცევა ამ საკითხებს და შედეგიც არასასურველი ხდება.

ბუნებრივია, სამხრეთი ექსპოზიციის ფართობებზე ნიადაგი ექვემდებარება მეტი ინტენსივობით გამოშრობას.

ცნობილია, რომ პლანტაციის გასაშენებლად 20 გრადუსამდე დაქანებულ ფერდობებს იყენებენ. საუკეთესოდ ითვლება

სწორი - 8 გრადუსამდე დაქანებული ფერდობები, რადგან ასეთ ფართობებზე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ შრომატევა-დ პროცესების მექანიზაცია.

გაუთვალისწინებლობა ისეთი მომენტებისა, რასაც ქვემოთ ჩამოვთვლით, დიდად აზიანებს ჩაის ფართობებს და შედეგად ამცირებს მოსავალს. ცუდია გაუთვალისწინებლობა იმისა, რომ ექსპოზიციის მიხედვით იცვლება ნიადაგური პირობებიც. ჩრდილო ფერდობზე ნიადაგის დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის გამო ორგანული მასის დაშლა ნელა მიმდინარეობს და ადგილი აქვს ჰუმუსის დაგროვებას. სამხრეთ ფერდობებზე კი მაღალი ტემპერატურა და ნიადაგის სიმშრალე ხელს უწყობს ორგანული მასის სწრაფ დაშლას, ხოლო მოსული ნალექების ნიაღვრისებრი ხასიათი ჰუმუსის ჩარეცხვას. შედეგად, ნიადაგები ნაკლებ ნოყიერია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამხრეთის ფერდობების ნიადაგები ნაკლებ ნოყიერია. ქარების მასების მოქმედება სამხრეთ ფერდობებზე უფრო ძლიერად არის გამოხატული, ვიდრე ჩრდილოეთისაზე.

ჩაის მცენარის მოსავლის კლების კიდევ ერთ მოვლენაზე უნდა შევჩერდეთ.

ესაა გაუთვალისწინებლობა ფართობის ფორმისა რომელიც, ზოგჯერ, მცენარეთა დაბალპროდუქტიულობის მიზეზი ხდება -ფორმის მიხედვით ამობურცული ნიადაგები ძლიერ ირეცხება. რამდენადმე ნაკლებად „აწუხებს“ ეს პრობლემა სწორ ნაკვეთებს. რაც შეეხება ჩაზნექილ ფართობებს, ისინი ყველაზე სუსტად ირეცხებიან.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი სამხრეთ ფერდობებზე უფრო იზრდება დაქანების შესაბამისად -ე.ი. რაც უფრო ციცაბოა ნაკვეთი, მით უფრო დიდია ის; ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფართობებზე კი- პირიქით.

აღმოსავლეთ და დასავლეთ ექსპოზიციის ფართობებზე აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მცირდება დაქანებასთან ერთად, მაგრამ ნაკლები სიმკვეთრით - მათში ნაკლებია ტენის მარაგიც. მათი ათვისება გაძნელებულია.

ეროვნული პროცესების შედეგად ერთი ფართობის ფარგლებშიც აღინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების სხვადასხვა ხარისხი. მაგალითად, ფერდობების ქვედა ნაწილები გამოირჩევიან უფრო მძლავრი ნიადაგებით- ფართობის ზემო ელემენტები-დან ჩამონარეცხების დაგროვების შედეგად.

3.3. ეროვნის პრევენციის ხერხები

ჩაის ინტენსიური კულტურის ნარმოებისათვის საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს ეროვნულ პროცესებს, რაც თავის მხრივ მოსავლის კლების ძირითადი მიზეზი ხდება. ნიადაგის ფენის გადარეცხვა უაღრესად უარყოფითია და მას სტიქიური ძალები და ადამიანის უარყოფითი სამეურნეო მოქმედება იწვევს. მთის ქანების გამოფიტვის ძირითად მიზეზს ნარმოადგენს მაღალი ტემპერატურა და წყალი. ნიადაგის ზედაპირზე ჩამომდინარე წყალი გადარეცხავს ნიადაგს და ეს პროცესი, ბუნებრივია, ცვლის ნიადაგის სახეს.

არის პირობები, რაც წინ ელობება ნიადაგის ჩამორეცხვის პროცესს. წინასწარი, პრევენციული ღონისძიებების გატარება საფუძველს უყრის ნიადაგის ეროვნის შემცირებას ან მის სრულად გამორიცხვას. ერთ-ერთი ხელის შემწყობი ფაქტორი, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ეროვნიას, არის სილარიბე ზონისა მცენარეული საფარით. მცენარეთა სილარიბის გამო ნიადაგის ზედა ფენა კარგავს ბუნებრივ საფარს. შედეგად უარესდება ნიადაგის სტრუქტურა. ამ პროცესის შედეგად ნიადაგში მცირდება შემცველობა ორგანული ნივთიერებისა. ეროვნული პროცესების ინტენსივობა პირდაპირპროპორციულია ფართობების დაქანების ხარისხისა. რაც უფრო დაქანებულია ფართობი და რაც მეტი სიგრძისა იგი, მით მეტია ეროვნული პროცესების ინტენსივობა. ჩამორეცხვის ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ნაკვეთის ექსპოზიცია. არის მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ სამხრეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფართობების ჩამორეცხვის ინტენსივობა მეტია სხვა ექსპოზიციაზე - 15-25%-ით. ნიადა-

გის ტიპის, მცენარის მოვლა- მოყვანის ზონის, აგროტექნიკური ფონის კვალობაზე ეს მონაცემები შესაძლოა შეიცვალოს.

ეროზიული პროცესების მასტიმულირებელი ერთ-ერთი ფაქტორია დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში ნალექების მოსვლის ინტენსივობა და მისი განაწილების არათანაბარი ხასიათი. ჩამოთვლილს მასტიმულირებლად ემატება მეჩაიერების ზონის რაიონების ფართობების ოროგრაფიული სურათი. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ მდინარე რიონს ყოველ წელს ჩააქვს ზღვაში 10 მლნ. ტონა წყალში შეტივტივებული ნაწილაკები. ოროგრაფიიდან გამომდინარე დასავლეთ საქართველოში შესაძლოა მოინახოს ადგილები, რომლებიც ამ პროცესების შედეგად გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო გამოყენების არეალიდან. ნიადაგის გამორეცხვის შედეგად ჩამონარეცხი მასალის რაოდენობა იცვლება ნიადაგის ტიპისა და დაქანების კვალობაზე. აგროტექნიკური ფონის შესაბამისად შესაძლოა ეს თანაფარდობა შეიცვალოს. გამოკვლევებით დადასტურებულია (ტ.ყ. კვარაცხელია), რომ ერთჯერადი წვიმის შედეგად 70 წუთის განმავლობაში, ერთი ჰექტარი მიწის ფართობი წითელმიწა ნიადაგიდან ჩამოირეცხა 43 ტონა ნიადაგი, ბუნებრივია, მასში მყოფი საკვები ელემენტებით. არის სხვა მკვლევარის მონაცემებიც.

აკად. მ.კ. დარასელია უთითებს, რომ 14 გრადუსი ქანობის ფართობზე, ჩაის პლანტაციაში, ერთ ჰა-ზე ირეცხება 100 ტონა მასა. არის პერიოდები, რომლის დროსაც ეს პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს. ესაა პერიოდი აგვისტოდან ნოემბრამდე.

წყლის მასის დიდი რაოდენობა, რაც მოდის დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში, მისი ხასიათის გამო რეცხავს ნიადაგს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან. საქართველოს ჩაის პლანტაციებში ნალექების გამო ყოველ წელიწადს იკარგება ზედაპირული ჩამორეცხვის კვალობაზე - 2000 ტ. საერთო აზოტი, ფოსფორი 1000 ტ., ხოლო ჰუმუსის რაოდენობა, ჩამორეცხილ ნიადაგებთან ერთად - 30000 ტონას აღემატება. ჩამონათვალი მიგვითითებს გარკვეული ღონისძიების გატარე-

ბისაკენ, რომელიც თუ არ გამორიცხავს- საგრძნობლად შეამ-
ცირებს ნიადაგების ეროზიის მავნე მოქმედებას. ღონისძიებები,
რომლებიც მიმართულია ამ პროცესის შეჩერებისაკენ მოიცავს
სამუშაოთა სისტემას, რომლებსაც უნდა აწარმოებდეს სხვა-
დასხვა პროცესის ადამიანები. ღონისძიებების მთელი სისტემა
შესაძლოა დაიყოს პრევენციულ და მიმდინარე ღონისძიებებად,
რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ.

არის სამუშაოები, რომლებიც უნდა ჩატარდეს გასაშენებე-
ლი ფართობის გამოყოფის პირველივე დღიდან. ტერიტორიის
სწორ ორგანიზებას ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.
მთავარია კულტურ- ტექნიკური ღონისძიებებისა და მცენარე-
თა სწორი გაადგილების ორგანიზაცია. უზუსტობა, დაშვებული
ამ ღონისძიებების წარმოებისა და ამოქმედების დროს, იწვევს
უარყოფით შედეგებს.

ნიადაგის ჩამორეცხვისა და ეროზიის ღონისძიებები იყოფა
ორ ჯგუფად: 1) საიუნირო-სამელიორაციო და 2) აგრონომიული.

ღონისძიებების პირველი ჯგუფი წმინდა ინჟინრულია და
მასში დარგის სპეციალისტებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. სა-
მუშაოთა სახეებში შედის წყალსადენი თხრილების, ღარების და
სადრენაჟო ქსელის მოწყობა, ფერდობისა და ხრამის ძირების
გამაგრება, ტერასების მოწყობა. სფერიფიკურია ეროზიის სა-
წინააღმდეგო მეორე ჯგუფის ღონისძიებების სახე და განხორ-
ციელების ხასიათი. ჩაის კულტურაში ეროზიის საწინააღმდეგო
აგრონომიულ ღონისძიებებს ეკუთვნის ფართობის გარდიგარდ-
მო დამუშავება, ტყის საფარი ზოლების მოწყობა. ამ უკანასკნე-
ლის ეფექტურობა დამოკიდებულია გასაშენებელი ტყის მასივის
ჯიშობრივ შემადგენლობაზე, რადგანაც შემაკავებელი ეფექტი
სხვადასხვა ჯიშის მცენარისა, სხვადასხვანაირია. დიდი მნიშვ-
ნელობა აქვს ფერდობების დაგეგმვის წესებს. არის მონაცემები
იმის შესახებ, რომ ეფექტურია ამ ღონისძიებისათვის კონტუ-
რული დაგეგმვა. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა
კვების არეს. ნაკლები დაშორება მცენარეთა და რიგთაშორის
ამცირებს ჩამორეცხვის პროცესს. დიდი მნიშვნელობა აქვს სი-

დერატების თესვას, აგრეთვე ახალგაზრდა პლანტაციებში ორგანული მულჩის გამოყენებას. ყველაზე მეტად შემაკავებელი ფაქტორია მცენარეული საფარი. აქ, უპირატესობა ენიჭება სიდერატებს- კერძოდ, თეთრ ხანჭკოლას. ის ითესება აგვისტოს ბოლოს რიგვამოშვებით. როდესაც ქანობი 20 გრადუსზე მეტია- სიდერატებს მოთიქმვენ და მულჩად ტოვებენ. ნაკლებად დაქანებულზე კი - ნიადაგში ჩააკეთებენ. ეს პროცესი უნდა ჩატარდეს ხანჭკოლის ყვავილობის დაწყებისას.

გამომდინარე ჩაის რაიონების ოროგრაფიიდან, ჩაის საწარმოო პლანტაციები ჩვენში გაშენებულია ფერდობებზე. ამ ფართობებზე ამგვარ ღონისძიებებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ეროზია, როგორც პროცესი და მის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ უნდა იყოს.

ეროზიული პროცესების მავნეობა მკვეთრად ამცირებს სასოფლო- სამეურნეო სავარგულების რაოდენობას არა მარტო ჩაის კულტურის ქვეშ, არამედ ზოგადად, მთელს მსოფლიოში. დანაკარგები სავარგულებისა, რომელიც არ გამოიყენება სასოფლო- სამეურნეო კულტურის- ქვეშ ძალზე დიდია. არის მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მსოფლიოში 50 მლნ. ჰექტარი მიწა ამჟამად მთლიანად გამოისადეგარია.

ჩაის მცენარისადმი უდიერმა დამოკიდებულებამ, რაც ამბოლო დროს ჩვენში შეინიშნება, მკვეთრად შეცვალა ფართობების რიცხვი და ზოგიერთი მათგანი მთლიანად გამოიყვანა მწყობრიდან.

ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის კლების ერთ-ერთი მიზე- ზია მისი დასარევლიანების ხარისხი. საყოველთაოდაა ცნობილი ის მავნეობა, რასაც ეს მცენარეები აყენებენ კულტურულ მცენარეებს. უნდა აღინიშნოს მათი ადაპტირების მაღალი ხარისხი ბუნებაში კულტურულთან შედარებით. ეს მცენარეები ითვისებენ ნიადაგის ნოყიერ ფენებს.

ისინი უარყოფით გავლენას ახდენენ ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე, მათი ჰაერისა და წყლის რეჟიმზე. ისინი ხელს უწყობენ დაავადებებისა და მავნებლების გავრცელებას. ხვიარა

სარეველები ხელს უშლიან მცენარეთა მოსავლის აღებას, ანაგვიანებენ ხარისხს. ინტეგრირებული მეთოდების გამოყენება მათ წინააღმდეგ მეტად ეფექტურია და დიდად შეუწყობს ხელს ჩაის მცენარის მოსავლიანობის გაზრდას.

მავნებლობის ხარისხითა და სახით მათი მოქმედება კულტურულ მცენარეზე გამოიხატება პირდაპირი მოქმედებით: ესაა კონკურენცია, რასაც ისინი აყენებენ კულტურულ მცენარეებს-ართმევენ საკვებ ელემენტებს, აფერხებენ მათ ზრდა- განვითარებას და აუარესებენ პროდუქციის ხარისხს.

მათვის დამახასიათებელია შემგუებლობა ,დიდი ამტანობა და გავრცელების მაღალი ხარისხი.მრავლდებიან სწრაფად და მათი აღმოცენების ენერგია ძალზე დიდია. რაც მთავარია, მათი თესლებისათვის დამახასიათებელია აღმოცენების მაღალი უნარი დიდი ხნის მანძილზე.

არაპირადპირი მავნება, რასაც ისინი აყენებენ ჩაის მცენარეს ისაა, რომ ისინი ხელს უშლიან მკრეფავებს, მობილურ მანქანებს. გამოკვლევებით დადგენილია,თუ რამდენად შეიძლება შემცირდეს მოსავალი დასარევლიანების ხარისხის მიხედვით. ძირეული მიზეზი, რაც ხელს უწყობს სარეველების ასე გავრცელებას ჩვენში- არის დაბალი აგროტექნიკა. აღსანიშნავია ის გარემობა, რომ მიტოვებულ პლანტაციებში დომინირებენ კარგად ადაპტირებული სარეველები, როგორიცაა- გვიმრა-*Pteridium Aquilinum*, მაყვალი- *Rubus*, ეკალიფი- *Smilax Eqselsa*.

არის მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად მცირდება მოსავლიანობა დასარევლიანების ხარისხთან დამოკიდებულებით (რ. კოპალიანი). პლანტაციის სამი ბალით დასარევლიანების შემთხვევაში მოსავლიანობა კლებულობს 16%-ით, ორბალიანი დასარევლიანებისას-9,5%-ით, ხოლო ერთბალიანი დასარევლიანებისას კი 4,2%-ით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბალები ათვლილია 5 ბალიანი სისტემიდან.

სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები შეიძლება დაიყოს ბრძოლის ქიმიურ, მექანიკურ და ბიოლოგიურ მეთოდებად.

ჩაის მცენარის ზრდა-განვითარების ხასიათი ცუდი აგროტექნიკის ფონზე

ჩაის მცენარე ბუნებით ტროპიკულია და ატარებს ფილოგენური ნიშნების კომპლექსს, რაც მას ისტორიულად საკუთარ სამშობლოში ჰქონდა. მცენარის მოვლა-მოყვანა უკავშირდება ძვირფას დუყებს, რომლის შემცველობაც და მნიშვნელობაც ცნობილია. მცენარეს მისი ტროპიკული ბუნების გამო მიღრეკილება აქვს ზრდისაკენ. ჩაის მოვლა-მოყვანის ზონაში, ანუ ჩვენში, მცენარეს ბუჩქისებრი ფორმა აქვს. ეს იძულებითა და ნაკარნახევი ფოთლის მაქსიმალური მოსავლის მიღების მოლოდინით. მცენარის ბუჩქისებრი ფორმა ოპტიმალურია და წარმოადგენს მცენარეზე აგროტექნიკური ღონისძიების ზემოქმედების შედეგს.

საქართველოში ჩაის კულტურის ინტენსიურმა ტექნოლოგიამ მიაღწია დონეს, რაც ტოლი იყო ჩაის კულტურის მოყვანის კლასიკური ქვეყნების დონისა. განვითარებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ბუნებრივია თავისი კვალი დაატყო ჩაის მცენარის კულტურის განვითარებას. დარგი დაზარალდა და ეკონომიკაც, ბუნებრივია, ჩავარდა.

კულტურტექნიკური ღონისძიებების დაბალმა დონემ და ზოგჯერ მისმა არარსებობამ, ჩაის მცენარე გააველურა და პლანტაციების გადაგვარება გამოიწვია. ხანგრძლივმა უყურადღებობამ დაარღვია მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების ტრადიციული მიმდინარება და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ნაზი მცენარე თავისი ბუნებით მოექცა მძაფრ კონკურენციაში საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში გაბატონებულ სარეველებთან და მავნებელ- დაავადებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ სარეველათა უმრავლესობა მათი წარმოშობის მიუხედავად, შესანიშნავადაა ადაპტირებული ჩვენს სუბტროპიკებში. ჩაის პლანტაციის დასარევლიანების ხარისხი რაიონების მიხედვით სხვადასხვაა. ბუჩქებისა და პლანტაციის დასარევლიანების ხარისხი დიდადაა დამოკიდებული კულტურული მცენარის ჯიშზე, გაშენების წესზე, რეგიონზე და მოვლა-მოყვანის კონკრეტულ ზონაში აგროტექნიკის დონეზე.

სხვადასხვაა ჩაის პლანტაციების დასარევლიანების ხარის-
ხი ნიადაგის ტიპის მიხედვით. ნიადაგის ტიპი და ნალექების სი-
უხვე პირდაპირ კავშირშია დასარევლიანებასთან. გამოკვლე-
ვები ცხადყოფენ, რომ წითელმიწა ნიადაგებზე გაშენებული
პლანტაციები უფრო მედეგნი არიან დასარევლიანებისადმი.

ზონალობა და დასარევლიანების ხარისხი გავლენას ახდენს
მცენარის დაჩაჩანაკებაზე.

ნიადაგურ- კლიმატური პირობები და ცუდი აგროტექნიკა,
რაც დაკინინებისაკენ მიდის, ქმნის შესანიშნავ პირობებს მცენა-
რის გენერაციული აქტივობისათვის, თუმცა პლანტაციის ასეთი
მდგომარეობის არსებობის გამო დაბალია თესლის ფიზიოლო-
გიური და ტექნიკური სიმწიფის მაჩვენებლები.

საბოლოო ჯამში ცუდი აგროტექნიკა, ზრდა- განვითარების
შეფერხება, გენერაციული აქტივობის მატება- მიდის პლანტა-
ციის დაჩაჩანაკებისაკენ.

ცუდი აგროტექნიკა ქმნის პირობებს ბურქების ვეგეტაცი-
ური ზრდის სტიმულაციისათვის. ბუნებრივია ასეთ პირობებში
ნიადაგში არსებული საკვები მარაგის დეფიციტის გამო მატუ-
ლობს გამოვარდნა მცენარეთა რიცხვისა და ინკება სიმეჩხერე,
რომლის გამომწვევ მიზეზებსაც ჩვენ გავეცანით. გვერდითი
ყლორტების განვითარების ხასიათი შეიმჩნევა ამ დროს წითელ-
მიწა ნიადაგებზე გაშენებულ პლანტაციებში.

არსებობს საინტერესო გამოკვლევა, რომლის ავტორია აკა-
დემიკოსი რ. კოპალიანი. ამ ავტორის მონაცემების მიხედვით,
გამომხმარი ღეროების რაოდენობა (პირველი და მეორე რი-
გის ტოტებიდან) საშუალოდ ერთ ბურქზე, ეწერმიწა ნიადაგებ-
ზე შეადგენს - 12,2 ცალს, წითელმიწა ნიადაგებზე -10,0 ცალს,
ყვითელმიწა ნიადაგებზე -14,0 ცალს. პირველი და მეორე რიგის
ტოტების საერთო რაოდენობითა და გვერდითი ყლორტების რა-
ოდენობით- უკეთესი მაჩვენებელი ოზურგეთის წითელმიწა ნი-
ადაგების პირობებში გაშენებული ჩაის ნარგაობაში შეიმჩნევა.
ხავსებითა და ლიქენებით ბურქების დაზიანების ხარისხი ყველა
ზონაშია შესამჩნევი, თუმცა ბალური შეფასებით უარესი მდგო-

მარეობა წყალტუბოს ზონის მცენარეებშია.ჩვეულებრივ აგრო-ტექნიკურ ფონთან შედარებით, მკვეთრად შემცირებულია ბუჩქებზე განვითარებული ფოთლის ფირფიტის საშუალო ფართები და იგი ზუგდიდის პირობებისათვის შეადგენს- 12,2 კვადრატულ სანტიმეტრს, ოზურგეთის პირობებისათვის 14,1 კვადრატულ სანტიმეტრს, წყალტუბოს ზონისათვის კი-10,8 კვადრატულ სანტიმეტრს. სხვაობაა აგრეთვე თესლის პარამეტრების ზომებითაც. თესლის საშუალო დიამეტრი 7-8 მმ-ია, ხოლო 1000 ცალი თესლის წონა, ყველა ზონისათვის ორჯერ ნაკლებია.

მონაცემები ცხადყოფენ, რომ ცუდი პირობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს მცენარის ყველა დადებით მახასიათებელზე. საგანგებო ღონისძიებებით, რომელიც ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციისათვის არის განკუთვნილი, შესაძლებელია მდგომარეობის გამოსწორება, თუმცა სხვა საკითხია მცენარის მდგომარეობის გამოკვლევა, რომელიც დაექვემდებარება აღგენას და ეფექტურობა ღონისძიებისა აზრიანი იქნება.

მოვლის ცუდი პირობები ერთნაირად აზიანებს მცენარის ყველა ორგანოს და, ბუნებრივია, მათი პროდუქტიულობა ეცემა. კორელაცია არსებობს მცენარის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებს შორის. სურათის დადგენა საჭირო იყო დუყების შემოსვლის ინტენსივობის დასადგენად. თუ ეს ცუდი აგროტექნიკის ან, აგროტექნიკის საერთოდ, არარსებობის ფონზე ხდება, კორელაცია სხვა სურათს იძენს.

როგორც გამოკვლევები მიუთითებენ, ჩვეულებრივი აგრო-ტექნიკის ფონზე რიზოსფეროს აქტიური ნაწილი თითქმის ნახევარ მეტრზე არის. ეს ეხება ყველა ღონისძიების წარმატებით ჩატარებას. ძირითადი საკვები ელემენტებით მცენარის მომარაგება უნდა მოხდეს ამ სილრმეზე, მაგრამ როცა აგროტექნიკა ცუდია, მცენარის ფესვთა სისტემა მოქცეულია ნიადაგის ზედა-პირთან ახლოს. ეს ფაქტორი უარყოფითად აისახება ჩაის მცენარის ზრდა- განვითარებაზე.

მცენარის დაჩარჩანაკებასთან ირიბი დამოკიდებულება აქვს ბუნების სხვა მოვლენებსაც. ატმოსფეროს ფიზიკური მდგომა-

რეობის გამომხატველი ელემენტების გამოვლენას გარკვეულ დროში, გარკვეული ადგილისათვის. მხედველობაშია მისაღები ქარების ხასიათი და სიჩქარე, ნალექების ცუდი განაწილება ან უნალექობა.

3.4.მცენარის პროდუქტიულობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები

საინტერესოა ჩვენი ცნობილი მეცნიერების დ. პატარავასა და ს. ფირცხალაიშვილის მიერ შემოთავაზებული კვლევა, რომელიც აქტუალობას დღესაც არ კარგავს და რომლის გათვალისწინებაც დიდად წაადგება ჩვენს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას და კერძოდ- მეჩაიერობას. ეს მეთოდი სწრაფად აღმომავრის იმ მდგომარეობას, რაც ჩვენ დღეს მეჩაიერობაში გვაქვს. საკითხი ჩაის ყლორტების წარმოქმნის აღდგენასა და ძველი, დაბალმოსავლიანი პლანტაციის შეცვლის ხერხებს ეხება. ეს ხერხები და მისი არსი დიდად დააინტერესებს მათ, ვისაც ჩაის პლანტაციის რებილიტაცია დაუსახავს მიზნად.

პრაქტიკული მუშაობის პროცესში- ჩაის ბუჩქის გასხვლასა და ფოთლის კრეფაზე დაკვირვებისას, აგრეთვე ფოთოლსაკრეფი მცენარის ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლისას, დადგენილია ჩაის ბუჩქის ყლორტების წარმოქმნის აღდგენის რამდენიმე ხერხი: 1) ყლორტის წარმოქმნის აღდგენა ფოთლის კრეფის დროებითი შეწყვეტის გზით, სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარში, 2) ბუჩქის გაუსხლავად დატოვება, 3) ბუჩქის გასხვლის სხვადასხვა სახის მორიგეობა.

ამ საკითხის შესასწავლად ცდები დაყენებულიქნა ანასეულ-ში- უსასუქო ფონზე და NPK აგროტექნიკური დოზების შეტანის ფონზე.

მონაცემებმა უჩვენეს, რომ უსასუქო ფონზე ცდის პირველ სამ ვარიანტში არა აქვს ადგილი ჩაის პლანტაციის მოსავლი-ანობის გადიდებას, ხოლო ნახევრადმძიმე გასხვლის ფონზე, კონტროლთან შედარებით (I ვარიანტი) მიღებულია მოსავლია-

ნობის გადიდება 18 %- ით. ეს მონაცემები დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს პრაქტიკისათვის, მაგრამ ზოგიერთი საკითხის თეორიული დასაბუთებისათვის განსაზღვრულ ინტერესს წარმოადგენს. მაგალითად, სასუქის უქონლობის შემთხვევაში ნახევრადმძიმე გასხვლის ხშირად ჩატარება განსაზღვრული ხარისხით ხელს უწყობს ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის გადიდებას, ყოველწლიურად- მხოლოდ შპალერულ გასხვლასთან შედარებით. უსასუქო ფონზე აგროტექნიკური დოზით, საწყის წელთან შედარებით, ცდის ყველა ვარიანტზე მოსავლიანობა დიდდება 4-5 ჯერ, მაგრამ ამ ფონზეც ბუჩქების ნახევრადმძიმე გასხვლა იძლევა კიდევ უკეთეს შედეგს. კონტროლთან შედარებით მიღებულია მოსავლის გადიდება 17%-ით.

მაშასადამე NPK ფონზე ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ბუჩქების ნეკებზე მე-3 ნორმალური და თევზა ფოთლის დატოვება საესებით საკმარისია ჩაის ბუჩქის ყლორტების წარმოქმნის აღსადგენად. ნახევრადმძიმე გასხვლის პირველი გამოყენება, ბუჩქის ყოველწლიური შპალერული გასხვლის ფონზე, ჩაის მცენარის ყლორტების წარმოქმნისა და, მაშასადამე, ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის გადიდების უფრო მისაღები აგროტექნიკური ღონისძიებაა.

ყლორტების წარმოქმნის აღდგენის სხვადასხვა ხერხის
გავლენა ჩაის პლანტაციის მოსავლიანობაზე (კგ -ობით ჰა -ზე).

ვარიანტები	ფსასუქი			NPKფონზე		
	მოსა ვლის ნონა სნარი ალრი ცხვის ნელი	ცდის დაყე ნების პირველი ნელი	10 ნლის საშუალო	მოსავლის ნინასნარი ალრიცხვის ნელი	ცდის დაყენების პირველი ნელი	10 ნლის საშ უალო
1.შპალერული გასხვლა. ჩას ფოთლის კრეფა აგრონესტბის შიხვდვით კგ/ ჰა..... %.....	767 100	699 100	899 100	1260 100	1570 100	4907 100
2.გურებების გასხვლად დაუკვება ერთი სავაკეტაციო ტერიტორიას განხვავლობაში. კრეფის დაწყება ჩას შემდგა, რაც პირველი რიგის ყლორტებიზე გაზიარდობა 7-8 ფითოლი. შემდეგ ნლების შეალერული გასხვლა და ფოთლის კრეფა აგრონესტბის შიხვდვით კგ/ ჰა..... %.....	767 100	427 61	934 104	1265 100	568 56	4769 97
3.შპალერული გასხვლა ფოთლის კრეფის დაწყება ჩას საშედებო, რაც პირველი რიგის ყლორტებიზე გაზიარდობა 7-8 ფითოლი. შემდეგ ნლების შეალერული გასხვლა და ფოთლის კრეფა აგრონესტბის შიხვდვით კგ/ ჰა..... %.....	775 101	325 46	757 84	1267 101	679 43	4697 96
4.ნხავრადმიმე გასხვლა ზედა ქვემდებარების ქვემოთ(პირველი ნელის ექვენის ნონს შეაძლებელი)- შეალერული გასხვლა. მომდევნო ნელს საალერული გასხვლა მთელი ერთზომინი ნაზრდნას 4 ნლის გამზალობაში შეალერული გასხვლა..კგ/ ჰა..... %.....	780 102	151 165	1058 118	1267 101	1571 100	5744 117

ჩაის მცენარის პროდუქტიულობის რეგულირებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ პროდუქტიულობის აღდგენას და მიჩნეულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად. ესაა ნედლეულის სპეციალური კრეფა. კრეფის დადგენილი წესების კორექტირება ხდება იმ დროს, როცა აწარმოებენ კრეფას განსაკუთრებული დანიშნულებისათვის ან ბუჩქების მდგომარეობაა განსაკუთრებული.

თუ წარმოებს ორი და სამფიოთლიანი დუყების კრეფა- მაშინ ხარისხი ბუნებრივია მაღალია, მაგრამ ამ დროს შრომის ნაყოფიერება დაბალია და დაბალია მოსავალიც.

ფოთლის ხარისხი და მოსავალი წლის პერიოდების მიხედვით, იცვლება და იცვლება კრეფის წესი ამოცანის შესაბამისად. თუ ამოცანაა უმაღლესი ხარისხის პროდუქციის წარმოება-ნედლეული უნდა მოიკრიფოს ივლის-აგვისტოში ერთ-სამფიოთლიანი ნორმალური და ერთ-ორთოთლიანი ყრუ ყლორტებიდან, ნეკზე თევზა ფოთლის დატოვებით.

თუ ბუჩქის მდგომარეობა განსხვავებულია და ის ზრდაში ჩამორჩება- მაშინ კრეფის წესი იცვლება და კრეფას ვიწყებთ 45 სმ სიმაღლის მიღწევის შემდეგ. სრულასაკოვან დაბალ და სუსტ პლანტაციებში კრეფა იწყება, როცა პლანტაციები მიაღწევენ 45 სმ სიმაღლეს და პირველი კრეფის დროს კრეფენ ორფოთლიან დუყებს და ნეკზე ტოვებენ 3-5 და მეტ ნორმალურ ფოთოლს. განსხვავებულია მიდგომა რეგიონების მიხედვით. მაგალითად, იმერეთის რეგიონისათვის კრეფას იწყებენ ბუჩქების 35-40 სმ მიღწევის შემდეგ.

განსაკუთრებულია მიდგომა მძიმედ გასხლული პლანტაციების მიმართ. დაუშვებელია კრეფის დაწყება მანამდე, სანამ ბუჩქები არ მიაღწევენ 45-50 სმ სიმაღლეს. გვერდით ტოტებზე კრეფა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი გაუტოლდებიან სიმაღლით ძირითად ტოტებს. ამ დროს იკრიფება 2-3 ფოთლიანი დუყები იმ ანგარიშით, რომ დარჩეს 4-5 ნორმალური ფოთოლი.

გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ბუჩქების მსუბუქი მოსწორებითი გასხვლა და ფოთლების გაძლიერებული კრეფა მოსავ-

ლის გაზრდის ცნობილი ხერხია. ამ ხერხის გამოყენებას რიგი მიზეზებისა განაპირობებს, რომელზეც შეჩერება მიზანშეწონილი არაა. ღონისძიება ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების გაზრდასა და პლანტაციის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ასეთი ტიპის გასხვლას აქვს რიგი უპირატესობებისა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ დროს მსუბუქად გასხლული ბუჩქების ნეკებზე რჩება მეტი მზარდი კვირტი, შპალერულთან შედარებით.

მსუბუქი გასხვლასა და გაძლიერებულ კრეფას ერთი მეტად მნიშვნელოვანი უპირატესობაც აქვს- ფოთოლი საკრეფად ადრე შემოდის და მოსავლის უმეტესობა საწარმოო წლის პირველ ნახევარში იკრიფება. ეს კი, რესურსების რაციონალური განაწილებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

მოსავლისა და ბუჩქების მდგომარეობის რეგულირების ამ ხერხს გამოყენების თავისებური გრაფიკიც აქვს. მისი სისტემატური გამოყენება არ შეიძლება. ამ დროს დიდია ალბათობა ფოთლების დაწვრილებისა და ბუჩქებზე ყრუ დუყების წარმოქმნისა. დღის წესრიგში დგას მისი მორიგეობა ბუჩქების მდგომარეობისა და აგროტექნიკის გათვალისწინებით-ყოველ მეორე-მესამე წელს. საჭიროა გასხვლის სხვა სახეების მორიგეობაც.

მსუბუქი მოსწორებითი გასხვლა წარმოებს ბუჩქებისათვის ოვალური ფორმის მისაცემად- ბუჩქის ნეკებისათვის მოუმნიფებელი მწვანე წვერების წაჭრით. ამ დროს ნეკები, რომლებიც უფრო მოკლეა, გაუსხლავი რჩება. გასხვლის აგროვადებია- თებერვალი- მარტი.

ფოთლის კრეფა მსუბუქად გასხლულ ნაკვეთებზე უნდა ვაწარმოოთ გაძლიერებულად. ეს ნიშნავს 3-4 ფოთლიანი ყლორტების განვითარებას ბუჩქებზე. იკრიფება ამ დროს ორ-სამ-ფოთლიანი ნაზი დუყები და ნეკებზე აპრილში, მაისსა და ივნისში ვტოვებთ ძირითადად ერთ ნორმალურ ფოთოლს, ზოგჯერ კი ნეკზე მხოლოდ თევზა ფოთოლს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ღონისძიების ეფექტურობა პირდაპირ კავშირშია პლანტაციის სიჯანსალესთან.

3.5. ამორტიზებული და მცირემოსავლიანი პლანტაციის შეცვლის აუცილებლობა

ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობის შესახებ მრავალი მიზეზია განხილული.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ მათ იმისათვის, რომ დავაკავშიროთ ისინი სხვა საკითხებთანაც. ვთქვით, რომ ისინი შეიძლება დაიყოს ორ ძირითად კატეგორიად: ბუნებრივ-ისტორიული და ბიოლოგიური. ბუნებრივ-ისტორიულ მიზეზებს ეკუთვნის ნიადაგისა და ჰავის გამოუსადეგარობა ჩაის მცენარისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ნიადაგი არ შეესაბამება ჩაის მცენარის განვითარებას ან ადგილი მიკროკლიმატური პირობების მიხედვით არ არის შესაფერი ჩაის კულტურისათვის - ასეთი პლანტაციები უნდა იქნეს ლიკვიდირებული და არ უნდა ვზრუნავდეთ მათს შესაცვლელად. ეს მოვლენა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძირითადად ჩაის გავრცელების ჩრდილოეთ რაიონებში. ბუნებრივ- ისტორიულს ეკუთვნის ასევე ნიადაგის ჭარბტენიანობა, მელიჭვილის ჰორიზონტის ნიადაგის ახლო ზედაპირთან ყოფნა და ძლიერ გადარეცხილი ნიადაგები. ასეთ პლანტაციებში საჭიროა ვებრძოლოთ დაბალი მოსავლიანობის პირველად მიზეზებს: მოვაწესრიგოთ ნიადაგის წყალმართვი რეჟიმი, შესაძლებლობის ფარგლებში დავშალოთ მელიჭვილის ჰორიზონტი-70-80 სმ სიღრმეზე, ჩავატაროთ ღრმა გაფხვიერება, გავამდიდროთ გადარეცხილი ნიადაგები ორგანული ნივთიერებებით, უზრუნველვყოთ ჩაის მცენარის ნორმალური მინერალური კვება და ა.შ. ამ აგროტექნიკური ღონისძიებებით, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩაის პლანტაცია აღიდგინება და საკმაოდ მაღალ მოსავალს მოგვცემს. თუ ეს ღონისძიებები არ განხორციელდება და ასეთ ნიადაგზე მაინც გაშენდება ხელახლა ჩაის პლანტაციები, შედეგი იქნება არადამაკმაყოფილებელი.

დაბალი მოსავლიანობის ბიოლოგიურ მიზეზებს ეკუთვნის უნინარეს ყოვლისა ჩაის მცენარის ცუდი ჯიშიანობა. ხშირად გხვდება ჩაის პლანტაციები, გაშენებული იაპონური წვრილფო-

თოლა ჯიშებით, რომლებიც ჩვენს პირობებში ყოველთვის დაბალმოსავლიანია. ჩაის პლანტაციების ასეთი კატეგორია უნდა იქნას შესწავლილი პირველ რიგში. ამ კატეგორიას ეკუთვნის ჩაის მცენარის ბიოლოგიური დაბერება, რაც ჩვეულებრივად, ცუდი მოვლისა და ხანგრძლივი, მკაფრი ექსპლუატაციის შედეგია. უკანასკნელ შემთხვევაში, თუ გამოიცადა აგროტექნიკური ზემოქმედების ყველა ხერხი (გაძლიერებული განოყიერება, ნიადაგის გულდასმით დამუშავება და სხვა), მაგრამ პლანტაცია მაინც არ გაუმჯობესდა, ის უნდა შეიცვალოს, ხელახლა გაშენდეს. დაბოლოს, ბიოლოგიურ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ჩაის პლანტაციების შეცვლა, ჩაის ბუჩქის სორტიმენტის გაუმჯობესება, პირველ რიგში, ჩაის სელექციური ჯიშებით (აკად. ქ. ბახტაძე).

შესაცვლელი პლანტაციები შესაძლოა აღდგენილიქნას, როგორც თესლის თესვით, ასევე ნერგებითაც. როგორც წესი, შესაცვლელი, დაბალმოსავლიანი პლანტაცია გამოირჩევა მცენარეთა ვარჯის შეუკერძლობით რიგთაშორისებში, სიმეჩერით. პირველ რიგში უნდა გამოირკვეს თესლის თესვის ან ნერგის დარგის შესაძლებლობა, მძიმე გასხვლის ჩატარების გარეშე, პლანტაციის შეცვლის დაწყების წელს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რიგთაშორისებში არის თავისუფალი გასასვლელი - არა ნაკლებ 70 სმ სიფართისა, ხოლო თუ დაბალმოსავლიანი პლანტაცია უფრო შეკრულია, საჭიროა ნახევრადმძიმე ან კიდევ - მძიმე გასხვლის ჩატარება. ამ შემთხვევაში, გასხვლის ჩატარების შემდეგ, ნასხლავი მასალა საჭიროა გატანილიქნას პლანტაციიდან და შემდეგ ჩატარდეს ნიადაგის გადაბარვა რიგთაშორისებში. გადაბარვა უნდა ჩატარდეს 45-50 სმ სიღრმეზე, აუცილებლად პლანტაჟით ან გადაბარვის მთელ სიღრმეზე შევიტანოთ ფოსფორიანი სასუქის ოთხმაგი დოზა-ფოსფორიტის ფქვილის სახით.

ნიადაგის დამუშავებისას, გადაბარვის მთელ სიგანეზე და სიღრმეზე არსებული შესაცვლელი ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემა, თავისთავად იგულისხმება, გადაიჭრება. გადაბარვის შემ-

დეგ, აგრონესების შესაბამისად, ტარდება დაგეგმვა და თესლის თესვა ან- ნერგის რგვა. ახალი ნათესებისა და ნარგავების მოვლა იგივეა, რაც ჩვეულებრივი ახალგაზრდა პლანტაციისათვის. ნასხლავი მასალის ნაწილი გამოდგება ჩაის ნათესარების ან ნარგავების დასამულჩად. მძიმედ გასხლულ შესაცვლელ ბუჩქებზე მათი დასუსტების მიზნით, ახალგაზრდა პლანტაციების განვითარების მიხედვით, ტარდება მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი კრეფა-4-5 წლის განმავლობაში. ამის შემდეგ, როცა საჭირო გახდება ძველი ბუჩქების ამოძირკვა-ეს უკანასკნელი ტარდება ნიადაგის პლანტაციურად 45-50 სმ სიღრმეზე გადაბარვასთან და ფოსფორიტის ფევილის სახით შეტანასთან ერთდროულად. აგრეთვე ოთხმაგი დოზით- გადაბარვის მთელ სიგრძეზე.

ძველი, დაბალმოსავლიანი პლანტაციების შეცვლის ამ ხერხის გამოყენებისას არსებული პლანტაცია ერთბაშად კი არ ისპობა, არამედ განსაზღვრული დროით გამოიყენება ფოთლის მოსავლის მისაღებად და ამასთან ერთად, თანდათან, აღიზრდება ახალგაზრდა პლანტაციაც.

3.6.პლანტაციების მდგომარეობა და გამოსწორების დიფერენცირებული ხერხები

ისტორიულად მოკლე პერიოდის განმავლობაში საქართველოში მეჩაიერება ინდუსტრიულ საფუძველზე გადავიდა და ციკლი- ნედლეულიდან პროდუქციამდე ისეთივე იყო, როგორიც ჩაის მწარმოებელ კლასიკურ ქვეყნებში.

საუბედუროდ, მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან დარგისადმი დამკვიდრდა მეურნეობრიობის არარაციონალური პრაქტიკა. ბუნებრივია, მას გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზები უძლოდა. პირველსაწყისად, ყურადსალებია გეგმების არარაციონალური და არარეალური ზრდა, რაც მაშინ ხდებოდა. გეგმის ზრდის ეს პრაქტიკა სრულებით არ ითვალისწინებდა ჩაის მცენარის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს. გეგმის გამოდევნებამ და ფოთლის კრეფის ჯერადობის ნორმაზე მეტად ზრდამ

გამოიწვია ნედლეულისა და შემდგომ -პროდუქციის ხარისხის დაცემა. ყოველივე ამან მცენარის ბიოლოგიურ აქტივობას გა-მოუწოდებელი ზიანი მიაყენა.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა პერიპეტიებმა, ბუნებ-რივია, ითამაშა ნეგატიური როლი - დაიკარგა პროდუქციის გა-საღების ტრადიციული ბაზარი. შინააშლილობამ კი დარგისადმი ყურადღება მოადუნა, რასაც შედეგად მისი სრული კოლაფსი მოჰყვა.

მიზეზები და მისი დეტალური კვლევა, ჩვენ სხვა თავში გან-ვიხილეთ და მას აქ არ შევეხებით.

ჩაის მწარმოებელ რეგიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი) ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობების ტერიტო-რიაზე, კერძო მეურნეობების ნაკვეთებზე- დარჩენილია კიდევ პლანტაციები, რომელთა რეაბილიტაცია შესაძლებელია და სას-წრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ღონისძიებების გატარების დაყოვნება, ბუნებრვია, შეამცირებს ფართობების რაოდენობას, რომლის რეაბილიტაციასაც აზრი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ მიზეზები ყველგან ერთნაირი იყო (რამაც ეს პროცესები გამოიწვია) სხვადასხვა რეგიონის ბუნებ-რივ-ეკონომიკურმა პირობებმა, ატმოსფეროს ფიზიკური მდგო-მარეობის გამომხატველი ელემენტების სხვადასხვა ხარისხით გამოვლენამ, მაინც თავისი გავლენა იქონია პლანტაციების და-ზიანების ხარისხზე სხვადასხვა რეგიონში. გამომდინარე აქედან, პროცესების მართვა და ღონისძიებების გატარება დიფერენცი-რებულ მოდგომას საჭიროებს. მეთოდების სწორი შესატყვისო-ბა პლანტაციების რეალურ მდგომარეობასთან -გარანტიას იდ-ლევა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მთავარია, გასატა-რებელი ღონისძიება ზუსტად იქნას მისადაგებული თითოეული ბუჩქის რეალურ მდგომარეობასთან. ბუნებრივია, კონკრეტული რეგიონის ბუნებრივ- კლიმატური მახასიათებლების გათვალის-წინება კარგი შედეგის საწინდარია.

რეაბილიტაციის მეცნიერულად შემუშავებული მეთოდი-კა სახეობების მიხედვით, დაგვიზოგავს დამატებით კაპიტა-

ლურ დანახარჯებს და მოკლე პერიოდში მოგვცემს სასურველ შედეგს, პლანტაციების ხელახლა გაშენებასთან შედარებით. დროისა და კაპიტალური დანახარჯების დანაზოგი გამოდგება სანერგის მოწყობაზე, რაც აგრერიგ საჭიროა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

მოკლედ მიმოვიხილავთ ჩაის პლანტაციების დაზიანების ხარისხს მიზეზების გათვალისწინებით, დღეს არსებულ მდგომარეობას და მივუთითებთ გამოსწორების მეთოდებზეც. ეს და ადგილზე გარკვეული პრაქტიკული ხასიათის მანიპულაციების ჩვენება დაინტერესებულთათვის დარგის აღორძინებას დიდად წაადგება.

დამოკიდებულებით დაზიანების ხარისხისაგან და პროდუქტიულობის კლების სახისაგან - პლანტაცია შესაძლებელია იმყოფებიდეს სხვადასხვა მდგომარეობაში: სჭირდებოდეს კულტურ-ტექნიკური ღონისძიებების გატარება, რემონტი თესლით, ნერგით (ზოგჯერ ვეგეტაციურად გამოყვანილით), რემონტი გადაწვენით, იყოს დაბალპროდუქტიული და სჭირდებოდეს ღონისძიებათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია გასხვლასთან და გაახალგაზრდავების ღონისძიებებთან და სხვა.

რეალური მდგომარეობის აღნერა და საჭირო ღონისძიებების გატარება თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტში (რასაც ადგილზეც გაეცნობიან დაინტერესებულნი), ერთგვარ საგანმანათლებლო ტრენინგ -პროგრამადაც გამოდგება ან, შესაძლოა, იყოს მეთოდურ- პრაქტიკული ხასიათის მითითება დარგით დაინტერესებული პირებისათვის.

ნინამდებარე თავში მიმოვიხილავთ პლანტაციების მდგომარეობას და იქვე მივუთითებთ კონკრეტულ მდგომარეობაში მყოფი პლანტაციის აღდგენის გზებზე. დანართის სახით დავურთავთ ზოგად ღონისძიებებს, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად:

1. ჩაის პლანტაციის მოსავლიანობის დაბალი დონე, გამოწვეული ბუნებრივ - ისტორიული მიზეზით - ასეთი მიზეზია, როცა ნიადაგი არ შეესაბამება ჩაის მცენარის მოთხოვნებს ან ადგილი მიკროკლიმატური პირობების მიხედვით მიუღებელია ჩაის მცენარისათვის.

გასატარებელი ღონისძიება:

ასეთი პლანტაციების ლიკვიდაცია არის საჭირო და უნდა ვიზრუნოთ მათს შესაცვლელად.

2.დაბალი მოსავლიანობა, გამოწვეული მეორე ბუნებრივ-ისტორიული მიზეზით -ესაა ნიადაგის ჭარბტენიანობა, მელიჭ-ვილის ჰორიზონტის ნიადაგის ახლო ზედაპირთან ყოფნა და გა-დარეცხილი ნიადაგები.

გასატარებელი ღონისძიება:

უნდა მოწესრიგდეს ნიადაგის წყალმართვი რეჟიმი, უნდა დაიშალოს მელიჭვილის ჰორიზონტი -70-80 სმ სიღრმეზე, ჩავა-ტაროთ ღრმა გაფხვიერება, გავამდიდროთ გადარეცხილი ნია-დაგები ორგანული ნივთიერებებით, უზრუნველვყოთ ჩაის მცე-ნარის ნორმალური მინერალური კვება.

3.პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, როცა დაბალომოსავ-ლიანობა გამოწვეულია ჯიშობრივი არასრულფასოვნებით.

გასატარებელი ღონისძიება:

ჩვენს სუბტროპიკებში გაშენებულ წვრილფოთოლა იაპო-ნური ჯიშების (რაც, ხშირად გვხვდება) შეცვლა, რადგან ისინი ყოველთვის დაბალმოსავლიანია.

4. პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, როცა საჭიროა რემონ-ტი თესლით ან ვეგეტაციურად.

გასატარებელი ღონისძიება:

გატარდეს ყველა ღონისძიება, რაც დაკავშირებულია სი-მეჩერის ლიკვიდაციასთან. (იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონის-ძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯო-ბესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

5. ჩაის პლანტაციის დასუსტებული მდგომარეობა, გამოწ-ვეული ცუდი აგროტექნიკით.

გასატარებელი ღონისძიება:

აგროტექნიკის ჩატარება საჭირო დონეზე და განვითარების მოწესრიგება, რადგან ამ უკანასკნელზე ჩაის პლანტაციაში გატარებული ღონისძიებებიდან ნახევარი მოდის.

6. პლანტაციის ცუდი მდგომარეობა, გამოწვეული გასხვლის ღონისძიებების უგულებელყოფით ან მისი ცუდი შესრულებით.

გასატარებელი ღონისძიება:

საჭიროა მცენარის ყლორტნარმოქმნის პროცესის გაუმჯობესება და შესუსტება რეპროდუქციული აქტივობისა (იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

7.ჩაის ბუჩქის დაჩაჩანაკებული მდგომარეობა, დაკავშირებული მოსავლის აღების არასინქრონულობასთან.

გასატარებელი ღონისძიება:

ასაღები დუყების მოკრეფის სინქრონულობის დაცვა, დაძლევა მოსავლის აღების დაგეგმვის არასაკრისობისა (იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

8.ჩაის პლანტაციის ცუდი მდგომარეობა, გამოწვეული გასხვლის სახეებთან ფოთლის კრეფის წესისა და სახის მიუსადაგებლობით.

გასატარებელი ღონისძიება:

(იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

9.პლანტაციის ცუდი მდგომარეობა და პროდუქტიულობის შემცირება, გამოწვეული ვეგეტაციური ნაწილების ზრდისა და განვითარებისათვის საჭირო ტენის დეფიციტით.

გასატარებელი ღონისძიება:

ნიადაგისა და ჰაერის შეფარდებითი ტენიანობის დეფიციტის აღმოფხვრა დაწვიმებითი მორწყვის შედეგად.

10. პლანტაციის დაჩაჩანაკებული მდგომარეობა, გამოწვეული ნიადაგის არის რეაქციით.

გასატარებელი ღონისძიება:

პლანტაციის გაშენებისათვის საჭირო არის რეაქციის შესწავლა და გათვალისწინება ბიოლოგიური მარკერებისაც (მაგ. გვიმრა -*Pteridium Aquilinum*). გათვალისწინება იმისა, რომ ტუტე რეაქციის ნიადაგზე მცენარე ვერ ვითარდება, ხოლო კარბონატულ ნიადაგზე, ერთ მეტრი სისქის ფენაში 3%-მდე CaCO_3 არსებობა მომაკვდინებლად მოქმედებს ჩაის მცენარეზე.

11. ჩაის მცენარეთა დარღვეული მდგომარეობა, გამოწვეული ნიადაგის საფარის სიჭრელით ზღვის დონიდან.

გასატარებელი ღონისძიება:

გაშენებისას გათვალისწინება იმისა, რომ ინტენსიური კულტურის ნარმოებისათვის საჭიროა ნიადაგის სხვაობის გათვალისწინება და მისი ცელილების პარამეტრების მხედველობაში მიღება ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით.

12. ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობა, გამოწვეული ყლორტწარმოქმნის უნარის დაქვეითებითა და დაბალმოსავლიანი პლანტაციის შეუცვლელობით.

გასატარებელი ღონისძიება:

ყლორტის ნარმოქმნის აღდგენა ფოთლის კრეფის დროებითი შეჩერების გზით - სავეგეტაციო პერიოდის პირველ ნახევარში; ბუჩქის გაუსხლავად დატოვება; ბუჩქის გასხვლის სხვადასხვა სახის მორიგეობა (დეტალურად იხ.პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

13. ჩაის პლანტაციის დაბალი მოსავლიანობა, გამოწვეული ბიოლოგიური დაბერებით, როცა ეს უკანასკნელი გამოწვეულია ცუდი მოვლისა და ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად (ეს, ის შემთხვევაა, როცა გამოიცადა ყველა აგროტექნიკური ღონისძიება - გაძლიერებული განოყირება, ნიადაგის გულდასმით დამუშავება და სხვა).

გასატარებელი ღონისძიება:

პლანტაცია უნდა შეიცვალოს, ხელახლა გაშენდეს.

14. ჩაის პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ღონისძიებათა სისტემის მთელი კასკადის ჩატარებას, დაკავშირებულს პლანტაციის შეცვლასთან, აგროლონისძიებების გატარებასთან. ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარება საჭიროა მდგომარეობის კარდინალურად შესაცვლელად ან, შესაცვლელი პლანტაციის აღდგენის შესაძლებლობათა ძიებასთან.

გასატარებელი ღონისძიება:

სიმერჩრის აღკვეთის ღონისძიებათა გატარება, პლანტაციის შეცვლის დაწყების წელს ძიება თესლის თესვის ან ნერგის დარგვის შესაძლებლობისა, მძიმე გასხვლის ჩატარების გარეშე. ნიადაგის დამუშავებისა და განოყიერების სისტემის სრულყოფა. მკაცრი კრეფის ორგანიზება, დასუსტების მიზნით, რომ შესაცვლელი პლანტაცია დროებით გამოვიყენოთ ფოთლის საკრეფად (ღონისძიებები დეტალურად იხილეთ პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებებში), როლებიც დაკავშირებულია პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან).

15. პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს აღდგენის ღონისძიებათა სისტემის კომპლექსურად ჩატარებას.

გასატარებელი ღონისძიება:

ისეთი სამუშაოს ჩატარება, რაც უზრუნველყოფს სრულფასოვან აღდგენას. საკითხი ეხება პასპორტიზაციას, ჯიშობრივ ანალიზს, განსაზღვრას გაშენების ასაკისა, 30-35 წლის ასაკის მცენარეთა გამოყოფას, აღდგენის ეფექტურად ჩატარებისათვის - მათ გადასაჭრელად -35-50 სმ სიმაღლეზე. საჭიროა აპრობირებული მცენარეების თესლისა და სარგავი მასალის წარმოების ორგანიზაცია. სადედებისა და სანერგების მოწყობა მეცნიერულ საფუძველზე. სხვა საკითხების მოგვარება, რაც ეფექტურია ამ მიზნის გასასაწყვეტად. დეტალურად (იხ. პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები, დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და პროდუქტიულობის ამაღლებასთან, პუნქტი 24).

**3.7.თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებები,
დაკავშირებული პლანტაციის მდგომარეობის
გაუმჯობესებასა და პროდუქტიულობის ამაღლებასთან**

**(საგანმანათლებლო და პრაქტიკული ხასიათის
ტრენინგ-პროგრამის პროექტი)**

**1.თესლით გამრავლება-გამრავლებისათვის თესლის შეგ-
როვებას იწყებენ მაშინ, როცა კოლოფები გახსნას იწყებენ. გა-
სუფთავებული და დახარისხებული თესლი უნდა იყოს არა ნაკ-
ლებ 12 მმ-ისა დამატებითი. თესლის შენახვის საუკეთესო ხერხია
მისი შენახვა ტრანშეებში. ეს უკანასკნელი სიგრძით ნებისმიერი
ზომისაა, ხოლო სიღრმე 25 სმ-ია. გამომრობისა და განიავების
შემდეგ, თესლს ჩაყრიან 20 სმ ფენად ტრანშეაში და ზემოდან
ფარავენ ხმელი გვიმრით. დაყრილი მინა ორმხრივი დაქანებისა
უნდა იყოს, რომ მან დრენაჟის ფუნქცია შეასრულოს. თესლის
შენახვის ასეთი ხერხი ცვლის სტრატიფიკაციას.**

**2.ვეგეტაციური გამრავლება - ყველაზე გავრცელებულია
ჩაის მცენარის კალმით გამრავლება. კალმები ბუჩქის ტოტის,
ყლორტისა და ფესვის ამონაყრის მოჭრილი ნაწილია, რომელიც
ირგვება გრუნტში დასაფესვიანებლად, დამოუკიდებელი მცე-
ნარის მისაღებად. კალამი მდიდარი უნდა იყოს პლასტიკური
ნივთიერებით. კალმის დაფესვიანების საუკეთესო პერიოდია
შემოდგომა. ყველაზე კარგია ვეგეტაციური გამრავლება მწვანე
კალმის დაფესვიანებით.**

**3.პლანტაციის რემონტი გადაწვენით-არსებობს ხერხი,
რომლის დროსაც ხდება ყლორტის დაფესვიანება. ეს ის შემთხ-
ვევაა, როცა ყლორტს ბუჩქიდან რკალისებურად გადაღუნავენ
და ნიადაგში კავით დაამაგრებენ. პროცესის ჩატარებისათვის
ყლორტს გარკვეული მოთხოვნები წაეყენება. ღონისძიება წარ-
მატებით ტარდება, როცა ყლორტი 55-65 სმ სიგრძისაა. სიგრძის
ეს მონაცემები დაახლოებით ემთხვევა ნაზარდების სიგრძეს
ერთი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში. შემოდგომით კი**

დაფესვიანებული ყლორტები გადაირგვება პლანტაციაში ან სა-ნერგებში. დაფესვიანებულ მცენარეთა გამოსავალი ამ დროს შე-ადგენს 85-95 %-ს.

4. სადედე პლანტაცია-ვეგეტაციურად გამრავლებული ჯი-შებისა და კლონების ნერგებისათვის საჭიროა სადედე პლანტა-ციები და სანერგე. სადედე პლანტაციითა და სანერგით უნდა იყოს გარანტირებული სარგავი მასალის წარმოება და პროდუქ-ტიულობის ზრდა. სადედეში მცენარეების გაშენება ხდება კვე-ბის არით 1,75x0,5 მ.

სადედებისათვის იყენებენ ვეგეტაციურად გამრავლებულ ნერგებს, გამოყვანილს პოლიეთილენის პარკებში. დარგვის ვა-დაა სექტემბერ-ოქტომბერი ან გაზაფხულზე- მარტი-აპრილი.

სადედე პლანტაცია ექსპლუატაციაში შედის მეხუთე- მე-ექვსე წელს. ახალგაზრდა მცენარეთა პირველი გასხვლა სწარ-მოებს დარგვიდან მეორე წელს- 20-22 სმ სიმაღლეზე ფესვის ყელიდან. მეორედ - მომდევნო წელს -35-40 სმ-ზე. კალმებისათ-ვის მწვანე ყლორტების დამზადება ახალგაზრდა სადედე პლან-ტაციაში იწყება მეხუთე-მეექვსე წელს. სრულასაკოვან სადედე პლანტაციაში შეიძლება დამზადდეს ერთ ჰა-ზე 1,5- 2,0 მილიონი კალამი. მწვანე კალმების აჭრა დასაფესვიანებლად სწარმოებს ერთ-ორ კვირტზე. დასაფესვიანებლად საუკეთესო სუბსტრა-ტია-ნითელმინების 0-30 სმ ფენა, შემდეგაა - ნითელმინის 30-45 ფენა და ბოლოს- ტორფი. პირველ შემთხვევაში დაფესვიანების პროცენტია-97-98, ხოლო მეორეში-91%-ი.

5. ჩაის სანერგე- ადგილია, სადაც გამოჰყავთ სარგავი მასა-ლა პლანტაციის გასაშენებლად, რემონტისათვის და ამრავლე-ბენ ახალ სელექციურ ჯიშებს.

სანერგები თესლის თესვას ანარმოებენ როგორც ლენტისე-ბურად, ასევე ბუდობრივად. ჩვენთან თესვის საუკეთესო ვადაა 15 ნოემბერი-15 მარტი.

აღმოცენებას იწყებენ აპრილ-მაისში. გამოხელვასა და გაფხვიერებას ანარმოებენ ერთნლიანი ნერგების პლანტაციაში -არანაკლებ 5-6 ჯერ, ორნლიანში კი-3-4 ჯერ. 2-3 ფოთლის გა-მოჩენის ფაზაში ანარმოებენ პიკირებას.

თუ სარგავი მასალა გადააქვთ მცირე მანძილზე, მას არ ფუ-
თავენ, მაგრამ ფესვებზე მაინც აფარებენ ტენიან ხავსა. ამოთხ-
რისთანავე ნერგებს სხლავენ 10-12 სმ სიმაღლეზე.

**6. ჩაის ვაგეტაციური გამრავლების სანერგე - ადგილია, სა-
დაც ფართობის შერჩევას საფუძვლად უდევს სარწყავი წყლის
სიახლოვე. ფართობის დაქანება უნდა იყოს რვა გრადუსამდე.**

ნაკვეთი იგეგმება ცალკე ბლოკებად -40×18 მეტრი სიდი-
დით, რომელიც მოიცავს ექვს სექციას, თითოეულის ზომით $-18 \times$
 6 მეტრი.

ხელოვნური კლიმატის ბურუსის შესაქმნელად ეწყობა სპე-
ციალური მოწყობილობა. კალმებს დასაფესვიანებლად რგავენ
პოლიეთილენის პარკებში, რომელიც შევსებულია მცენარისათ-
ვის გამოსადეგი ნიადაგით. ერთ კვადრატულ მეტრზე თავსდება
120 პარკი. ყოველ პარკში ირგვება ერთი კალამი.ჩარგვის სიღ-
რმეა $-3-4$ სმ. ერთ ჰექტარზე თავსდება $- 1,2$ მილიონი კალამი.
კალმებს, დარგვიდან $3-4$ კვირის შემდეგ, წარმოექმნებათ კალუ-
სი, ხოლო ფესვი მასობრივად წარმოექმნებათ $- 2$ თვის შემდეგ.

მეორე წლის ბოლოს ნერგები აღწევენ $-35-45$ სმ სიმაღლეს.
მცენარებს აქვთ კარგი ფესვთა სისტემა და გამოდგება საწარ-
მო პლანტაციის გასაშენებლად.

**7. სასუქების შეტანა ახალგაზრდა და სრულასაკოვან პლან-
ტაციაში - ჩაის პლანტაცია მოითხოვს განოყიერებას ორგანული
და მინერალური სასუქებით. ბუნებრივია, დადგენილია დოზები,
რომელსაც იყენებენ ჩაის პლანტაციაში.**

ორგანული სასუქი შეიტანება ოთხ წელიწადში ერთხელ -50
ტონა ნაკელი ან $80-100$ ტონა ტორფის კომპოსტი.

რაც შეეხება აზოტიან სასუქებს - ის განისაზღვრება ასაკის,
მოსავლიანობისა და რეგიონის მიხედვით.

1-5 წლიან პლანტაციაში შეიტანება 100 კგ/ჰა- მოქმედი ნივ-
თიერების სახით. 6-7 წლიანში შეიტანება -150 კგ/ჰა. ასაკით უფ-
რო ხნიერში - აზოტი შეიტანება მოსავლიანობის მიხედვით.

თუ მოსავლიანობა 50 ცენტნერამდეა, მაშინ შეიტანება 200
კგ, $50-100 -250,101-150-300,151$ და მეტი -350 .

რაც შეეხება ახალგაზრდა პლანტაციას (1-4 წელი) -აზოტი-ანი სასუქი შეიტანება ლენტის სახით. ფოსფორიანი სასუქი შეიტანება 150- კგ/ჰა-ზე.

კალიუმიანი სასუქის სრული აგროტექნიკური დოზაა-100 კგ/ჰა.

8.მინერალური სასუქის ნორმების გაანგარიშება - სასუქში მოქმედი ნივთიერების გარდა ყოველთვის არის მინარევები. სა-სუქის ნორმების გაანგარიშება, როგორც წესი, ხდება მოქმედ ნივ-თიერებაზე. სასუქის ნორმის დასადგენად საჭიროა გაანგარიშება.

თუ ერთ ჰექტარზე შესატანია 100 კგ აზოტი. ამონიუმის სულფატი შეიცავს მოქმედ ნივთიერებას -20 %-ს. ამ დროს, სა-სუქის 100 კგ, მოქმედი ნივთიერების -20 კგ-ია. 100 კგ სასუქი - 20 კგ მოქმედი ნივთიერება, x კგ სასუქში -100 კგ.

$X = 100 \times 100 : 20 = 500$ კგ-ე.ი ერთ ჰექტარს უნდა მიეცეს 500 კგ ამონიუმის სულფატი.

სასუქის ნორმის გასაანგარიშებლად იყენებენ ფორმულას:

$Y = H \times 1000 : \Pi, \text{სადაც } Y - \text{ჰექტარზე } \text{შესატანი } \text{სასუქის } \text{რაო-} \text{დენობა } \text{კგ-ში}, H - \text{საკვები } \text{ნივთიერების } \text{ნორმა } 1 \text{ ჰექტარზე } \text{კგ-ში}, \Pi - \text{საკვები } \text{ელემენტის } \text{შემცველობა } \text{სასუქში } \%-\text{ში}.$

9. ახალგაზრდა პლანტაციის გასხვლა - ფორმირება-ღონისძიება იწყება გაშენებიდან მესამე-მეოთხე წელს და მთავრდება მერვე-მეცხრე წელს. პირველი გასხვლა - ფორმირების მიზანია ძლიერი დაბუჩქების გამოწვევა. მეთოდები განსხვავებულია რეგიონების მიხედვით. აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმერეთში ღონისძიება ტარდება 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე. აჭარასა და გურიაში- 15 თებერვლიდან 10 აპრილამდე. საჭიროა ბუჩქის ფიზიკური მდგომარეობის კონდიციები, რომ პირველი გასხვლა ჩატარდეს. ამისათვის საჭიროა ბუჩქების 75%-ი უნდა იყოს 30-35 სმ სიმაღლის. საჭიროა ბუჩქებს ჰქონდეთ 2-3 გვერდითი ტოტი. თუ ასეთი მდგომარეობა არაა, საჭიროა გასხვლა გადაიდოს.

პირველი გასხვლა ტარდება ფესვის ყელიდან 10-15 სმ-ზე. ასეთი გადანაჭერი ვეგეტაციის ბოლოს აღწევს- 40-50 სმ სიმაღლეს და კარგი საფუძველია ჩონჩხის შესაქმნელად.

მეორე გასხვლა ქმნის კარგ ჩონჩხს - ვარჯი განზე იზრდება და მკვრივი ხდება. გასხვლა ტარდება სასხლავი მანქანით ან

მაკრატლით. გადანაჭერი ჰორიზონტალური უნდა იყოს. ყლორტები, რომლებიც ვერ აღწევს სიმაღლეს - გაუსხლავი უნდა დარჩეს. როგორც წესი - გვერდითი ტოტები არ ისხვლება. თუ რომელიმე მცენარე ვერ აღწევს სიმაღლეს - გაუსხლავი რჩება.

მესამე და შემდგომი გასხვლის მიზანია ბუჩქის გაგანიერება და მათთვის სიმაღლის მიცემა. ეს კეთდება ისეთი გათვლით, რომ 8-9 წლის ბუჩქი სიმაღლით - 60-70 სმ სიმაღლისა იყოს. იმერეთისათვის ეს მონაცემი შეადგენს - 50-55 სმ-ს.

მესამე და შემდგომი გასხვლა ტარდება ყოველ წელს იმავე ვადებში, იმ ანგარიშით, რომ მომდევნო წელს ბუჩქები გაისახლას 5-10 სმ -ით უფრო მაღლა.

10. სრულასაკოვანი ფოთოლსაკრეფი პლანტაციის გასხვლა-პლანტაცია 8-9 წლის ასაკში - სრულასაკოვანია. ასეთ პლანტაციაში ტარდება ორი სახის გასხვლა - შპალერული და ნახევრადმძიმე და მძიმე. შპალერული გასხვლა იყოფა სახეებად: მსუბუქი ანუ ზერელუ გასხვლა და ჩვეულებრივი გასხვლა - აგროწესებით.

მსუბუქი შპალერული ტარდება მაშინ, როცა ცალკეული ბუჩქის სიმაღლე - 40 სმ-ს არ აღემატება და საჭიროა მათი ამაღლება.

აგროწესებით შპალერული გასხვლა ყველაზე გავრცელებული სახეა, რითაც ბუჩქების ყლორტნარმოქმნის უნარი უნდა გაძლიერდეს და გენერაციული აქტივობა შესუსტდეს. ამ ღონისძიებით ბუჩქს უნდა მიეცეს სასურველი ფორმა.

11. ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა - დაკავშირებულია სასიცოცხლო პროცესის დარღვევასთან და პროდუქტიულობის დაცემასთან. ღონისძიების მიზანია ბუჩქის მოპერებული თაღის განახლება.

ნახევრადმძიმე გასხვლა 1-2 წლიანი ნაზარდების მოცილებით ტარდება მაშინ, როცა ყლორტები დაკნინებულია. გასხვლა ტარდება 5-10 სმ სიღრმეზე ბუჩქის ზედაპირთან.

ნახევრადმძიმე გასხვლა 3-4 წლიანი ნაზარდების მოცილებით - ამ ღონისძიების მიზანია იგივე ამოცანა, მხოლოდ სიღრმეშია განსხვავება და ტარდება 20-25 სმ სიღრმეზე.

ნახევრადმძიმე გასხვლა ფესვის ყელიდან 35-60 სმ სიღრმეზე ტარდება მაშინ, როცა ბუჩქს ცუდად განვითარებული, დეფორმირებილი, მეჩხერი ვარჯი აქვს.

მძიმეა გასხვლა, როცა ის ტარდება ფესვის ყელიდან 35 სმ-ზე უფრო დაბლა. ეს იგივეა, რაც გაისხლას მცენარე ფესვის ყელიდან 10-15 სმ სიმაღლეზე.

გაახალგაზრდავებას მიმართავენ მაშინ, როცა ბუჩქის შტამბი 10-15 სმ-ზე დაზიანებულია, მძიმე გასხვლას აზრი არა აქვს. ამ დროს, ბუჩქს ბალის მაკრატლით ან ხერხით გადაჭრიან ფესვის ყელთან.

ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლა შესაძლოა ჩატარდეს შემოდგომა-ზამთრის თბილ ამინდებში ან გაზაფხულზე, მარტში, ოლონდ პირველ შემთხვევაში, განასხლავი მასალა ბუჩქზე უნდა დარჩეს.

12. ჩაის ფოთლის კრეფა- მის დროულ და სწორ ორგანიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. მთელი სეზონის განმავლობაში მისი ერთიანად კრეფა შეუძლებელია ზრდა-განვითარების ცვლილების გამო.

სეზონის მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა დიფერენცირებულია:

1) კრეფა და მისი წესები აპრილ- მაისში - ფოთლის შემოსვლის დაგვიანების გამო, კრეფის გეგმა აპრილში ცალკე არ განიხილება და აპრილ- მაისი ერთად იგეგმება. სრულმოსავლიან პლანტაციაში, რომელიც შპალერულად ისხვლება, შემოსულად ითვლება 4-5 ფოთლიანი ნორმალური და 3-4 ფოთლიანი ყრუნაზი დუყები. პირველიდან იკრიფება 2-3 ფოთლიანი ყლორტები კვირტით, ხოლო ბუჩქის ნეკზე რჩება ორ-ორი ნორმალური ფოთოლი, თევზა ფოთლით. მეორიდან იკრიფება 1-2 ფოთლიანი ნაზი დუყები და რჩება ორი ნორმალური ფოთოლი. ამ პერიოდის განმავლობაში კრეფა 4-5 ჯერ მაინც უნდა ჩავატაროთ.

კრეფა ივნისში- ამ დროს, 3-4 ფოთლიანი დუყები მზადაა საკრეფად და კრეფენ 2-3 ფოთლიან ნაზ დუყებს, ხოლო ნეკზე რჩება თითო ნორმალური ფოთოლი და თევზა ფოთოლი.

კრეფა ივნისიდან სეზონის ბოლომდე- ამ კრეფის დროს, ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი ანუ იკრიფება 2-3 ფოთ-

ლიანი ნორმალური და 1-2 ფოთლიანი ყრუ ყლორტიდან იკრი-
ფება 2-3 ფოთლიანი ნორმალური დუყი და 1-2 ფოთლიანი ნაზი
ყრუ დუყი.

13. ფოთლის კრეფა ახალგაზრდა პლანტაციებში- ფოთლის კრეფა გაშენებიდან მეხუთე წელს უნდა დაიწყოს. ეს ემთხვევა გასხვლა- ფორმირების მეორედ ჩატარების წელს. იკრიფება ამ დროს ისეთი ბუჩქებიდან, რომლებმაც - 45-50 სმ სიმაღლეს მი-
აღწიეს. კრეფის პირველ ნლებში გვერდითი ფოთლები არ უნდა მოიკრიფოს.

**14. ფოთლის კრეფა სუსტსა და ზრდაში ჩამორჩენილ ბუჩ-
ქებზე-** სანამ, ისინი არ მიაღწევენ 45 სმ სიმაღლეს- კრეფა არ უნდა ვაწარმოოთ. პირველი კრეფისას ორფოთლიანი დუყები უნდა მოიკრიფოს, ხოლო ნეკზე ბუჩქის პირველადი სიმაღლის მიხედვით -3-6 და მეტი ფოთოლი უნდა დატოვოთ.

**15. ფოთლის კრეფა ნახევრადმძიმე და მძიმედ გასხლულ
პლანტაციებში-ამ დროს, კრეფა სწარმოებს მაშინ, როცა გან-
ვითარდება 6-7 ფოთლიანი ყლორტები. აქედან მოიკრიფება 2-3
ფოთლიანი ნაზი დუყები.**

მძიმედ გასხლულზე დუყები მოიკრიფება მაშინ, როცა ისი-
ნი მიაღწევენ 45-50 სმ სიმაღლეს. იკრიფება 2-3 ფოთლიანი ნა-
ზი დუყები. მძიმედგასხლულ ბუჩქებზე გვერდითი ყლორტების ფოთოლი არ უნდა მოიკრიფოს, ვიდრე ისინი არ მიაღწევენ სა-
ერთო სიმაღლეს.

**16. გაძლიერებული კრეფა -ტარდება სრულმოსავლიან, მა-
ღალმოსავლიან პლანტაციაში, მსუბუქი გასხვლის ფონზე. კრე-
ფის ეს სახე შეიძლება ვაწარმოოთ ერთსა და იმავე პლანტაციი-
აში 1-2 წლის განმავლობაში. ასეთი კრეფისას მაის-ივნისში ნეკ-
ზე რჩება თითო ნორმალური ფოთოლი და თევზა ფოთოლი. თუ
ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი, ამ კრეფისას არ ელო-
დებიან 4-5 ფოთლიანი ყლორტების განვითარებას და კრეფას იწყებენ 8-10 დღით ადრე.**

**17. ფოთლის მსუბუქად კრეფა -მიმართავენ სუსტ პლან-
ტაციაში, რომლის სიმაღლე არ აღემატება 45 სმ სიმაღლეს. იკ-**

რიფება ასეთნაირად ნახევრადმძიმე და მძიმე გასხვლის წელს. აპრილ- მაისში კრეფას იწყებენ 6-7 ფოთლიანი ყლორტებიდან და კრეფენ 2-3 ფოთლიან ნაზ დუყებს, ხოლო ნეკზე ტოვებენ 3-4 ნორმალურ ფოთლოს და თევზა ფოთოლს.

18. ფოთლის მკაცრი კრეფა - ასეთი კრეფის დროს 2-3 ფოთლიანი ყლორტებიდან იკრიფება 2-3 ფოთლიანი დუყი და ნეკზე რჩება მხოლოდ თევზა ფოთოლი. მართალია პირველ წლებში მოსავალი მატულობს, მაგრამ შემდგომ, ბუჩქი სუსტდება და მოსავალი კლებულობს. გამონაკლისია კრეფა ზაფხულში გასასხლავად დატოვებულ პლანტაციაში.

19. ფოთლის სპეციალური კრეფა - მიმართავენ განსაკუთრებული ხარისხის ნედლეულისა და პროდუქციის მიღების მიზნით. ასეთი ნედლეული იკრიფება მძლავრ პლანტაციაში, რომელიც განლაგებულია მზიან ადგილებში. კრეფა სწარმოებს ივლის- აგვისტოს თვეში, როცა ორგანოლეპტიკა პიკშია. ამ დროს ნორმალური ყლორტებიდან იკრიფება 1-2 ფოთლიანი ნაზი დუყი კვირტით. ყრუ ნაზი ყლორტებიდან ფოთოლი არ იკრიფება. ფოთოლი იკრიფება დილის ნამის შეშრობის შემდეგ, პატარა სპეციალურ კალათებში და დაუყონებლივ იგზავნება გადასამუშავებლად.

20. საფოთლე პლანტაციის გაშენება, რემონტი, მოვლა - ჩაის სამეურნეო პლანტაციების ბორდიურული წესით გაშენებისას თესლი ბუდნაში ითესება $1,75 \times 0,35$ მ ან $1,5 \times 0,35$ მ კვების არით. ბუდნები ეწყობა ერთმანეთისაგან $0,35$ მ დაშორებით, რომელიც თესვის წინ ფხვიერედება $5-10$ სმ სიღრმით და მასში $4-6$ სმ სიღრმეზე ითესება $5-6$ ცალი თესლი. ბუდნის შუაში ასობენ პალოს და იფარება ორგანული ნარჩენით. წუნდება- გამოხშირვის შემდეგ ბუდნაში რჩება $2-3$ მცენარე.

21. 1-3 წლიანი პლანტაციის რემონტი - ტარდება გამოთესვის ან ბუჩქის გადაწვენით. გამეჩხრებული პლანტაციის რემონტი სათანადოდ მომზადებულ ბუდნაში $5-5$ ცალი თესლის ჩათესვით ხდება.

22. ხნიერი პლანტაციების რემონტი პოლიეთილენის პარკებში გამოყვანილი ნერგებით- ბუდნაში რგავენ თითო ნერგს

და უხვად რწყავენ. ნერგებით რემონტის საუკეთესო ვადაა სექტემბერი-ოქტომბერი.

23. სრულმოსავლიანი პლანტაციის რემონტი ბუჩქების გადაწვენით-მოცდენილ ადგილზე გაზაფხულზე იღებენ ორმოს სიღრმით 40 სმ, შეაქვთ ნაკელი - 10-11 კგ და სუპერფორმანტი.ამის შემდეგ გადააწვენენ მეზობელი ბუჩქიდან ერთნლიან ტოტს და ჯოხით ამაგრებენ შევსებულ ორმოში - 15-20 სმ სიღრმეზე. ორმოს ავსებენ ნაკელშერეული მინით და ტკეპნიან. გადანაწვენს ქვედა მხარეზე დანით სერავენ, დაფესვიანების დაჩარების მიზნით.

24. ჩაის პლანტაციის ისეთი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს ღონისძიებათა სისტემის მთელი კასკადის ჩატარებას, დაკავშირებულს პლანტაციის შეცვლასთან, აგროღონისძიებების გატარებასთან. ღონისძიებათა კომპლექსის ჩატარება საჭიროა მდგომარეობის კარდინალურად შესაცვლელად ან შესაცვლელი პლანტაციის აღდგენის შესაძლებლობათა ძიებასთან.

შესაცვლელი პლანტაციები შესაძლოა აღდგენილიქნას, როგორც თესლის თესვით, ასევე ნერგებითაც. როგორც წესი, შესაცვლელი, დაბალმოსავლიანი პლანტაცია გამოირჩევა მცენარეთა ვარჯის შეუკერელობით, რიგთაშორისებში სიმეჩრით. პირველ რიგში უნდა გამოირჩევს თესლის თესვის ან, ნერგის დარგვის შესაძლებლობა, მძიმე გასხვლის ჩატარების გარეშე, პლანტაციის შეცვლის დაწყების წელს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რიგთაშორისებში არის თავისუფალი გასასვლელი - არა ნაკლებ 70 სმ სიფართისა, ხოლო თუ დაბალმოსავლიანი პლანტაცია უფრო შეკრულია, საჭიროა ნახევრადმძიმე ან, კიდევ- მძიმე გასხვლის ჩატარება. ამ შემთხვევაში, გასხვლის ჩატარების შემდეგ, ნასხლავი მასალა საჭიროა გატანილიქნას პლანტაციიდან და შემდეგ ჩატარდეს ნიადაგის გადაბარვა რიგთაშორისებში. გადაბარვა უნდა ჩატარდეს 45-50 სმ სიღრმეზე, აუცილებლად პლანტაციით ან - გადაბარვის მთელ სიღრმეზე შევიტანოთ ფოსფორიანი სასუქის ოთხმაგი დოზა-ფოსფორიტის ფქვილის სახით.

ნიადაგის დამუშავებისას, გადაბარვის მთელ სიგანეზე და სიღრმეზე არსებული შესაცვლელი ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემა, თავისთავად იგულისხმება, გადაიჭრება. გადაბარვის შემდეგ, აგრონესების შესაბამისად, ტარდება დაგეგმვა და თესლის თესვა ან- ნერგის რგვა. ახალი ნათესებისა და ნარგავების მოვლა იგივეა, რაც ჩვეულებრივი ახალგაზრდა პლანტაციისათვის. ნასხლავი მასალის ნაწილი გამოდგება ჩაის ნათესარების ან ნარგავების დასამულჩად. მძიმედ გასხლულ შესაცვლელ ბუჩქებზე, მათი დასუსტების მიზნით, ახალგაზრდა პლანტაციების განვითარების მიხედვით, ტარდება მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი კრეფა-4-5 ნლის განმავლობაში. ამის შემდეგ, როცა საჭირო გახდება ძველი ბუჩქების ამონირკვა-ეს უკანასკნელი ტარდება ნიადაგის პლანტაციურად- 45-50 სმ სიღრმეზე გადაბარვასთან და ფოსფორიტის ფქვილის სახით შეტანასთან ერთდროულად.

ძველი, დაბალმოსავლიანი პლანტაციების შეცვლის ამ ხერხის გამოყენებისას არსებული პლანტაცია ერთპაშად კი არ ისპობა, არამედ განსაზღვრული დროით გამოიყენება ფოთლის მოსავლის მისაღებად და ამასთან ერთად, თანდათან, აღიზრდება ახალგაზრდა პლანტაციაც.

3.8.ჩაის მცენარის პროდუქტიულობის აღდგენა გასხვლის სახეების მიხედვით

პლანტაციების დღევანდელი მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია ღონისძიებათა გონივრული მორიგეობითა და მათი ჩატარების დროულობით. მიზეზთა გამო ყურადღებას მოკლებული პლანტაციების აღდგენა გულისხმობს ამოცანების შესრულებას, რომელთა შორის ძირითადი ყურადღება გასხვლა-ფორმირებას უნდა მიექცეს. მოსალოდნელი პროდუქტიულობა მცენარეებისა დიდადა დამოკიდებული გასხვლის სახეების შერჩევაზე და მის შემდგომ გასატარებელ აგროლონისძიებებზე. აღნიშნული აუცილებელია პლანტაციის აღდგენისათვის.

გასხვლის სხვადასხვა სახის გამოყენების მიუხედავად, ამოცანა მხოლოდ ერთია- უნდა შეიზღუდოს ისეთი პროცესი, რო-

გორიცაა ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობისაკენ მიდრეკი-
ლება და გააქტიურდეს ბუჩქის ვეგეტაციური აქტივობა.

რაღაც მიზეზის გამო დაკარგული ნაწილის აღდგენა- მცე-
ნარისათვის ძალზე რთული ფიზიოლოგიური პროცესია, რომე-
ლიც ყურადღებას მოითხოვს.

გასხვლის სხვადასხვა სახე- ნახევრადმძიმე ,მძიმე და შპა-
ლერული- სხვადასხვა სახის დაზიანებას აყენებს მცენარეს.

დაკარგული ნაწილის აღდგენა კი დიფერენცირებულ მიდ-
გომას საჭიროებს.

დაკარგული ნაწილების აღდგენის პროცესის სიჩქარე და-
მოკიდებულია ნიადაგის საკვები ელემენტებით გაჯერების ხა-
რისხზე, მცენარის ფესვთა სისტემის მდგომარეობასა და კვების
ინტენსივობის გაძლიერებაზე.

დიდადაა დამოკიდებული აღდგენის პროცესის სიჩქარე
ჯიშობრივ თვისებებსა და მოვლა-მოყვანის ზონის ნიადაგურ-
კლიმატურ პირობებზე.

მძიმე გასხვლის მიზანენონილობა დიდადაა დამოკიდებული
ჩაის მცენარის სტადიურ განვითარებაზე, რადგან თუ მცენარე
სტადიური მობერების სტადიაშია, მაშინ მძიმე და ნახევრადმძი-
მე გასხვლის სახეების ჩატარება გარკვეულ რისკთან არის და-
კავშირებული.

არის მონაცემები, რომლის მიხედვითაც გასხვლის სახეების
მიხედვით აღდგენის პროცესი ნარიმართოს სხვადასხვა სახით:

1. გასხვლა ბუჩქებისა-40-45 სმ სიმაღლეზე.

2. გასხვლა -18-20 სმ სიმაღლეზე.

3. გასხვლა- გაახალგაზრდავება ფესვის ყელზე.

რეკომენდებულია ნასხლავი მასალის გატანა პლანტაციი-
დან და მწერივთაშორისების დამუშავება -15-20 სმ სიღრმეზე.
საჭიროა ინტენსიური გამოკვება მცენარეებისა ფოსფორიანი,
კალიუმიანი და აზოტიანი სასუქით. მიზანშენონილია სასუქე-
ბის გაზრდილი დოზების გამოყენება.

სასუქების შეტანა საჭიროა და უპირატესობა ეძლევა მათ
შეტანას ადრე გაზაფხულზე.

როგორც მონაცემები მიუთითებს -გასხლულ ბუჩქებზე, გასხვლის სახეების მიხედვით, კვირტების გაღვიძების დრო სხვადასხვანაირია. ეს კი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგან მომავალი მოსავლის ფორმირება დიდადაა და-მოკიდებული მასზე.

გასხვლის სხვადასხვა სახის ფონზე- ვეგეტაციის დასაწყი- სი სხვადასხვანაირია და ვადებს შორის არსებითი განსხვავება შეინიშნება.

ყველაზე ადრე იწყება ვეგეტაცია ნახევრადმძიმე გასხვლის ფონზე და ის ივნისის პირველი დეკადისათვის იწყება. რაც შეე- ხება მცენარეების ვეგეტაციის საწყისს მძიმედ გასხვლის ფონ- ზე- აქ, ვეგეტაცია ივნისის თვის მესამე დეკადას ემთხვევა.

სხვარადა საკითხი, როცა მცენარეები გასხლულია ფესვის ყელზე. ამ დროს მცენარეთა ვეგეტაცია იგვიანებს და ის იწყება ივ- ლისის პირველი დეკადის დასასრულსა და მეორის დასაწყისში.

მცენარეზე არსებული მძინარე კვირტების გაღვიძების ხასი- ათი დამოკიდებულია, როგორც მცენარის ფიზიოლოგიურ მდგო- მარეობაზე, ასევე გასხვლის სახეებზე. ფესვის ყელზე მცენარეთა გადაჭრის შემთხვევაში მცენარეთა ვეგეტაცია იგვიანებს.

გასხვლის სახეების პირველ ორ ვარიანტში ყლორტები ძი- რითადად მეორე-მესამე რიგის ტოტებიდან იწყებენ განვითარე- ბას, რადგან ისინი ასაკით უფრო ახალგაზრდანი არიან და ადრე შედიან ვეგეტაციაში.

რაც შეეხება ფესვის ყელთან არსებულ კანწვეშა მძინარე კვირტებს, ისინი გამერქნებულნი არიან და მათი ვეგეტაციაში შესვლა რთულია. მორფოლოგიის მიხედვით ფესვის ყელიდან გამოსული ყლორტები უფრო იუვენილურ ხასიათს ატარებს- გრძელი მუხლთშორისებით, მსხვილი ღეროებითა და ფოთლის დიდი ზომის ფირფიტებით.

საინტერესოა რეგენერაციის ხასიათი გასხვლის სახეების მიხედვით. ყლორტის რაოდენობა სხვადასხვაა და ის პირდაპირ კავშირშია გასხვლის ხასიათთან.

თუ ბუჩქები გაისხვლება 40-45 სმ სიმაღლეზე, მაშინ -გას- ხვლის პირველ წელს ყველაზე მეტი რაოდენობით ყლორტები

წარმოიშობა. გასხვლის წელს ყლორტების მცირე რაოდენობა აღინიშნება- გასხვლისას ფესვის ყელზე.

ბიომეტრული მაჩვენებლები ყლორტისა (ყლორტის სიგრძე, ფოთლების რაოდენობა, ფოთლის ფირფიტის საშუალო ფართი) უფრო უპირატესი მაჩვენებლებით ხასიათება ფესვის ყელთან გასხვლის შემთხვევაში.

უპირატესობა ამ შემთხვევაში, ასეთი გასხვლისას , მაინც მისაღები არაა რეაბილიტაციისათვის, რადგან ფესვის ყელიდან ბურქების რეაბილიტაცია ძნელად მიმდინარეობს, კვირტების გაღვიძების დაგვიანების გამო (ზოგჯერ 2-3 თვით).

დროის ამ პერიოდში დიდია პლანტაციების დასარევლიანების რისკი, რომლებიც თავის მხრივ კონკურენციას უწევენ ყლორტებს.

ამ დროს თავს იჩენს აგრეთვე პირუტყვის უარყოფითი მოქმედების ფაქტორიც -ისინი ეტანებიან ნაზ ,იუვენილურ ყლორტებს.

